

ISSN 1512 – 0902

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის  
ტომი № 114

TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY OF  
GEORGIA  
VOL.Nº114

ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ  
ТОМ № 114



მეტეოროლოგიის პრობლემები  
PROBLEMS OF METEOROLOGY  
ПРОБЛЕМЫ МЕТЕОРОЛОГИИ

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2009

ISSN 1512 – 0902

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი შრომები  
ტომი № 114

მეთეოროლოგიის პრობლემები

---

---

---

**TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY OF  
GEORGIA  
VOL.№114**

**PROBLEMS OF METEOROLOGY**

---

---

---

**ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ  
ТОМ № 114**

**ПРОБЛЕМЫ МЕТЕОРОЛОГИИ**

**08090\_ TBILISI – თბილისი**

**2008**

**მთავარი რედაქტორი****Editor in Chief****Главный редактор****სარედაქციო****კოლეგია****სარედაქციო საბჭო****Editorial Board****Editorial Council****Редакционная коллегия****Редакционный  
совет**

ნოდარ ბეგალიშვილი

N.Begalishvili

Бегалишвили Н.А.

ბ.ბერიტაშვილი (რედაქტორის მოადგილე), გ.გა-  
ჩხილაძე, გ.გუბიაძე, გ.გრიგოლიძე, გ.ელიზბარა-  
შვილი, დ.გერესელიძე, გ.მელაძე, რ. სამუკა-  
შვილი, ვ. ცომაია, თ.ცინცაძე (პასუხ. მდივანი)  
ნ.ბუაჩიძე ი.გელაძე დ.დემეტრაშვილი, ჯ.ვაჩნაძე,  
ლ.ინწკირველი, გ.უჭავა, ი.ჩოგოვაძე, გ.ხერხე-  
ულიძე.

B.Beritashvili (Deputy Ed.-in-Chief), G.Ga-chechiladze,  
G.Gunia, G.Grigolia, E.Elizbarashvili, D.Kereselidze,  
G.Meladze, R. Samukashvili, V.Tsomaia, T.Tsintsadze  
(Executive secretary)

N.Buachidze, J.Vachnadze, I.Geladze, D.Demetrashvili,  
L.Intskirveli, G.Kuchava, I.Chogovadze, G.Kherkhe-  
ulidze

Бериташвили Б.Ш. (зам.гл. редактора), Гачениладзе  
Г.А., Григолия Г.Л., Гуниа Г.С., Кереселидзе, Д.Н.,  
Меладзе Г.Г., Самукашвили Р.А., Цомая В.Ш.,  
Цинцадзе Т.Н. (отв. секретарь), Элизбарашивили Э.Ш.  
Буачидзе Н.С., Вачнадзе Д.И., Геладзе И.М., Деме-  
трашвили Д.Л., Инцикврели Л.И., Кучава Г.Л.,  
Чоговадзе И.В., Херкеулидзе Г.И.

სსიპ ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი 0112 თბილისი-12,დავით აღმაშენებლის გამზირი 150 <sup>ა</sup> ,	E-mail: <a href="mailto:nb@gw.acnet.ge">nb@gw.acnet.ge</a>		
Institute of Hydrometeorology of Georgia 150 <sup>a</sup> David Agmashenebeli ave.,Tbilisi, 0112, Georgia,	ტელ	(995 32) : 951 047, 952 028,	
Институт гидрометеорологии Грузии 0112,Тбилиси-12, пр.Д. Агмашенебели 150 <sup>ა</sup> .	ფაქს	ვაქები Fax Факс	(995 32) 95-11-60
საიდენტიფიკაციო № Identification № Идентификационный №	202054720		

**ISSN 1512-0902**

	ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი Institute of Hydrometeorology of Georgia Институт гидрометеорологии Грузии	2009
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------	------

წინამდებარე შრომათა კრებული მოიცავს 5 თავს. კერძოდ, I. ღრუბლებისა და საღრუბლო პროცესების თეორიული მოდელები. ღრუბლებში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის მათემატიკური მოდელირება; II. რადიოლოგიური მეტეოროლოგია. კონცექციური ღრუბლის ემპირიულ-სტატისტიკური მოდელები; III. ღრუბლებზე ზემოქმედებით გამოწვეული ნალექთა დაბინძურება; IV. მეზომასტრიური და ლოკალური ატმოსფერული პროცესების თეორიული მოდელირება და V. მეტეოროლოგიის პრობლემები. თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება.

კრებული მიძღვნილია გამოჩენილი გეოფიზიკოსის ნოდარ ბიბილაშვილის სსოფლისადმი.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

The presented collection of papers contains 5 chapters: I.Theoretical models of clouds and cloud processes. Mathematical modelling of natural and induced precipitation formation in clouds; II. Radar Meteorology. Empirical – statistical models of convective cloud; III.Precipitation pollution caused by cloud seeding; IV. Theoretical modelling of mesoscale and local atmospheric processes; V. Problems of Meteorology. Application of satellite information.

The collection is dedicated to the memory of prominent geophysicist Dr. Nodar Bibilashvili.

It would be of interest for experts working in different branches of Geophysics, Masters and Doctors in relevant sciences.

Предлагаемый сборник Трудов состоит из 5 глав: I. Теоретические модели облаков и облачных процессов. Математическое моделирование естественного и искусственного осадкообразования в облаках; II. Радиолокационная метеорология. Эмпирико-статистические модели конвективного облака; III. Загрязнение осадков. вызванное воздействием на облака; IV. Теоретическое моделирование мезомасштабных и локальных атмосферных процессов; V. Проблемы метеорологии. Использование спутниковой информации.

Сборник посвящен памяти известного геофизика Нодара Шалвовича Бибилашвили.

Он рассчитан на специалистов, работающих в различных областях геофизических наук, магистрантов и докторантов.

**გრებული ეძღვნება ცნობილი გეოფიზიკოსის  
ნოდარ ბიბილაშვილის ხსოვნას**

**The volume is dedicated to the memory of prominent gophysicist  
Dr. Nodar Bibilashvili**

Сборник посвящен памяти известного геофизика  
**Нодара Шалвовича Бибилашвили**



2010 წლის 2 დეკემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა ატმოსფეროს ფიზიკისა და ამინდის მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების დარგში გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საბჭოთა კავშირში სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების ერთ-ერთ ფუძემდებელს, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნოდარ შალვას ძე ბიბილაშვილს.

შრომითი საქმიანობა მან დაიწყო 1954 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც იგი განაწილებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდგა. აქ ის მუშაობდა იალბუზის ექსპედიციაში (ქნალჩიკი) აკადემიკოს გ-პ-ვ-დოროვის ხელმძღვანელობით, შემდგა კი გააგრძელა მოღვაწეობა გამოჩენილ საბჭოთა გეოფიზიკოსთან პროფ. გ.პ. სულაქველიძესთან. 1956 წელს ნ.ბიბილაშვილი ჩაირიცხა მოსკოვის გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიწყო მუშაობა დრუბლების ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების საკითხებზე. ამ პერიოდში, 1962 წლამდე, მის მიერ ჩატარებულ იქნა გამოკვლევების ციკლი ღრუბლებთა რადიოლოგაციური შესწავლის დარგში. ამ წლებში იგი მონაწილეობდა ატომური იარაღის გამოცდებში (იმიერკოლარეთი, ახალი მიწა), რისტვისაც მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდო. ჩატარებული გამოკვლევები დაკავშირებული იყო გამოცდის უზრუნველყოფასთან რადიოლოგაციური დაკვირვებებით.

ნ.ბიბილაშვილის შემდგომი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განუყორდა დაკავშირებული 1961 წელს იალბუზის ექსპედიციის ბაზაზე შექმნილი მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის ორგანიზაციასა და ჩამოყალიბებასთან. თითქმის 20 წელი იმსახურა მან ინსტიტუტში და განვლო გზა უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობიდან სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე. 1963 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელ შიც შეაჯამა გამოკვლევების შედეგები გროვა-საწვიმარი ღრუბლებისა და სეტყვის წარმოქმნის შესწავლის სფეროში.

მისი ხელმძღვანელობით და უშავლო მონაწილეობით პირველად საბჭოთა კავშირში ჩატარებულ იქნა ღრუბლებისა და ნალექების სისტემატური რადიოლოგაციური გამოკვლევები, შესწავლილ იქნა ღრუბლებში წყლის ფაზური გარდაქმნის საკითხები, თხევადი და მყარი ნალექების წარმოქმნის პროცესები, ღრუბლებში ხელოვნურად შეტანილი რეაგენტის ნაწილაკებზე წვეთებისა და კრისტალების ჩასახვა და მათი შემდგომი ზრდა.

ნ.ბიბილაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული რადიოლოგაციური კვლევების სფეროში შედის სეტყვის ღრუბლების ემპირიული მოდელების დამუშავება, მათში ნაკადების სტრუქტურის წარმოდგენა, ზემდლავრი ღრუბლების წარმოქმნის პირობებისა და სტაბილურობის მიზეზების დადგენა.

ნ.ბიბილაშვილი ბუნებით ექსპერიმენტატორი ფიზიკოსი იყო. მას ჩატარებული აქვს მეტად მნიშვნელოვანი ლაბორატორიული და სა-ვალე აკლევები. მისი სტიქია იყო გამოგონებები და მათთან და-კავშირებული ტექნიკური ამოცნების გადაწყვეტა. მიუხდავად ამისა, მას შესრულებული აქვს მნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევებიც. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული თეორიული კვლევები ეხება სეტკვის ღრუბლებში პროცესების მოდელირებას, მათში კონდენსაცი-ურ-კოაგულაციური პროცესების შესწავლას, რეაგენტის ნაწილაკებ-ზე ნალექების ხელოვნურ ჩანასახვას. ყველა გამოკვლევების საბო-ლოო მიზანი იყო სეტკვის პროცესებზე ხელოვნური ზემოქმედების ფიზიკური საფუძვლების შემუშავება.

ნ.ბიბილაშვილი ერთ-ერთი ავტორია სეტკვის ღრუბლებზე ზემოქ-მედების მეთოდისა და რეაგენტის შეტანის ტექნიკური საშუალებე-ბისა. მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა სეტკვის სა-წინააღმდეგო სპეციალური ჰურგები და რაკეტები, სეტკვის პრო-ცესების შესწავლის რადიოლოგიური მეთოდები. ამ დარგში იგი 10 გამოგონების ავტორია.

მას დიდი წლებითი აქვს შეტანილი საბჭოთა კავშირში სეტკვის საწინააღმდეგო სამუშაოების ორგანიზაციაში. მისი მონაწილეობით შემუშავებული სეტკვის პროცესებზე ზემოქმედების მეთოდები ფარ-თოდ იყო დანერგილი თითქმის 11 მლნ ჰექტარ ფართობზე. ისინი გა-მოიყენებოდა აგრეთვე საზღვარგარეთ: ბულგარეთში, უნგრეთში, იუ-გოსლავიასა და არგენტინაში. ამ კვლევის მნიშვნელოვანი შედეგების გათვალისწინებით მას მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია (1969).

1980-1985 წლებში სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნ.ბიბილაშვილი მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვ-ლევით ინსტიტუტში, სადაც იგი დირექტორის მოადგილის თანამდე-ბობაზე მიიწვია აკადემიკოსმა გიგი სვანიძემ. ამ პერიოდში ის ხელ-მძღვანელობდა სეჭანის ტბის აუზში მიმდინარე ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა კომპლექსურ “სევანის” პროექტს (1981-1985 წწ). პროექტი შედგებოდა ორი დამოუკიდებელი ეტაპისგან: ზამთრის ექს-პერიოდები, რომლის დროს ზემოქმედება ტარდებოდა მძლავრ ფენა და ფენა-საწვიმარ ღრუბლელთა სისტემებზე, ასევე ოროგრაფიული ტიპის ღრუბლებზე და ზაფხულის ექსპერიმენტი, როცა ზემოქმედება სრულდებოდა კონვექციურ ღრუბლებზე. ორივე შემთხვევაში გამოყე-ნებული იყო მაკრისტალიზებელი რეაგენტი – იოდოვანი ვერცხლი. ზამთრის ექსპერიმენტში ღრუბლებში რეაგენტის შეტანა ხორცი-ელდებოდა სრულიად ახალი ტექნიკის – მეორე თაობის მიწისპირა აეროზოლური გენერატორების ავტომატიზებული ქსელის მეშვეობით, ხოლო ზაფხულის ექსპერიმენტში – ორი მფრინავი დაბორა-ტორის იაკ-40-ის დახმარებით. გენერატორების ქსელის შექმნაში და თვითმფრინავების სპეციალური აპარატურით აღჭურვაში დიდი წვლი-

ლი შეიტანა ნ.ბიბილაშვილმა. გარდა ამისა, მთიან პირობებში ზემოქმედების ცდების ჩასატარებლად და ეფექტის შესაფასებლად მისი ხელმძღვანელობით პირველად კავკასიაში შეიქმნა სევანის ტბის აუზში დრუბელთა და ნალექთა ველების გამზომი მეტეოროლოგიური რადიოლოგიკაციური გამოთვლითი კომპლექსი. იგი შედგებოდა რადიოლოკაციური სადგურების მრლ-2-ისა და გამომთვლელ მანქანა მ-1200-ის გაერთიანებული სისტემიდან. იმ დროისათვის ეს სისტემა სრულიად ახალ ტექნოლოგიას წარმოადგენდა. მოხერხდა მთიან პირობებში ნალექთა ჯამების განსაზღვრის სპეციალიზებული პოლიგონის ორგანიზება და საკალიბრო გაზომვების ჩატარება. 1985 წლისთვის დამუშავდა და დაინერგა სევანის ტბის აუზის ტერიტორიაზე დროის რეალურ მასშტაბში ნალექთა რადიოლოგიკაციური გაზომვების მეთოდიკა, რომელიც შემდგომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში გამოყენებული იქნა ზემოქმედების ფიზიკური ეფექტის დასადგენად. რანდომიზებული ცდების შეფასებაში ნ.ბიბილაშვილმა ჩართო მკვლევართა რამდენიმე დამოუკიდებელი ჯგუფი. ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში შეფასებები ჩაატარეს ნ.ბეგალიშვილმა (ხელმძღვანელი), მ.ა.ზნაურიანმა, დ.ს.მირნოვმა და კ.ა.ირაკეტიანმა. უკრაინის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში ამ შეფასებებს ახდენდა პროფესორი მ. ბუკოვი, ხოლო დნეპროპეტროვსკის კვლევით ცენტრში – ა.ფურმანი. შეფასებები შესრულდა ასევე მოსკოვის გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტში ო.შიპილოვის მიერ. პრაექტიკულად უკეთ შეფასებამ დაადასტურა 5-წლიანი ექსპერიმენტების დადგებითი ეფექტის არსებობა 0.90-0.95 ალბათობის დონეზე, რაც პროექტის შესრულების წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

1980-1985 წლებში ნ.ბიბილაშვილმა შეასრულა, აგრეთვე, აეროლოგიური, თანამგზავრული, რადიოლოგიკაციური, ბურთილოტური, ხელოვნური ამრეკლადი დიპოლებით მიღებული გაზომვების შემაჯამებელი გამოკვლევა, რის შედეგად დამუშავდა სეტეპს მძლავრი განსაკუთრებით კი სუპერუჯრედოვანი დრუბლების, ემპირიულ-სტარისტიკური მოდელები. მათი დახმარებით შესწავლილი იქნა ის თერმო-ჰიდროდინამიკური პროცესები და მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავენ სტაციონალურ მდგრამარებაში მყოფი სუპერუჯრედოვანი სეტეპის დრუბლის არსებობას. ეს გამოკვლევები ნ.ბიბილაშვილმა შეასრულა ნალჩიკის მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად (ი.ბურცევი, ლ.ფედინენკო, გ.გორალი და სხვ.).

ნ.ბიბილაშვილი 3 მონიგრაფიისა და 90 შრომის ავტორია დრუბლების ფიზიკისა და აქტიურ ზემოქმედების დარგში. იგი არაერთხელ წარმოადგენდა საბჭოთა მეცნიერებას საზღვარგარეთ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. იყო მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ექსპერტი, ჰიდრომეტეოროლო-

გიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების საბჭოს წევრი, მონაწილეობას ღებულობდა უცხოეთში საღრუბლო პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სამუშაოებში. კერძოდ, ესაბ-ნეთში, საფრანგეთში, ბულგარეთსა და ლიბანში ნალექების ხელო-ვნეური გაზრდისათვის გამიზნულ პროექტებში.

იგი იყო კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი: მისი ხელმძღვა-ნელობით მომზადდა და დაცულ იქნა 10 საკანდიდატო დისერტაცია. ის მონდომებით გადასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს. მძიმე ავადმყოფობის გამო არ დასცალდა უპვე მომზადებული და გაფორმებული სადოქტორო დისერტაციის დაცვა.

ნ.ბიბილაშვილის სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა აღნი-შნელი იყო მთავრობის ჯილდოებით – როგორც აღვნიშნეთ 1969წ. მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია, მრავალჯერ იყო დაჯილდოე-ბული საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, არაერთხელ იყო სსრკ სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოყენის მონაწილე, სადაც გაჯილდოვდა დიპლომებითა და მედლებით. ნ.ბიბილაშვილი სამეცნიერო სამუშაოს უთავსებდა საზო-გადოებრივ მოღვაწეობასაც – არაერთხელ იყო არჩეული ქ.ნალჩიკის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ნ.ბიბილაშვილი, საკავშირო მასშტაბის მეცნიერი, საერთაშორისო დონის აღიარებული სპეციალისტი, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიკეთით და თაგმდაბლობით, იყო კარგი ამხანაგი და ყოველთვის მზად იყო აღმოეჩინა დახმარება და თანადგომა კოლეგებისათვის. მი-სი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ბევრი ქვეყნის გეოფიზიკოსთა ფართო წრეში.

*I.ღრუბლებისა და საღრუბლო პროცესების თეორიული მოდელები.*  
*ღრუბლებში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექების მათგანის მოდელირება.*

*I.Theoretical models of clouds and cloud processes. Mathematical modelling of natural and induced precipitation formation in clouds.*

*I. Теоретические модели облаков и облачных процессов, Математическое моделирование естественного и искусственносного осадкообразования в облаках*

აზორომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტომ 114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

უაკ 551.576

ნ.ბეგალიშვილი,  
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
ქ.მალბახოვი,  
დასავლეთ ციმბირის რეგიონალური  
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
ს.რობიტაშვილი, თ.რობიტაშვილი  
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

**აფარისფერობი ზართმოასშტაბიანი კონვენციის გავლენა  
კონვენციურ ღრუბელთა გამრთიანებაზე**

დღეისათვის მრავალი გამოკვლევაა ცნობილი, რომელიც ეძღვნება აონგექციური ღრუბლების წარმოქმნა – განვითარების და სინოპტიკური პროცესების ურთიერთკავშირს [6]. მაგალითად, შესწავლილია ციკლონების გავლენა ღრუბელთა სისტემის ევოლუციაზე. დაგვენილია, რომ დიდმასშტაბიანი მოძრაობები მიმდინარეობს იმ ენერგიის ხარჯზე, რომელიც გამოიყოფა ღრუბელთა სისტემებში ნალექწარმოქმნის პროცესში. მრავალრიცხოვანი დაკვირვებების მასალები გვიჩვენებენ, რომ ციკლონებში წარმოქმნილი გროვა ღრუბლის საშუალო ზომები ბევრად აღემატება შიდამასიური ღრუბლის ზომებს, ხოლო მათგან მოსული ნალექების საერთო რაოდენობა კი დაახლოებით ერთი რიგით მეტია, ვიდრე შიდამასიურიდან [3]. ვგიქრობთ, რომ კონგექციური უჯრედების ზომებზე ძირითად გავლენას ახდენს პროცესი, რომელიც დაკავშირებულია საშუალო და მაღალ დონეებზე იმ წელის ორთქლის კონდენსაციის – სუბლიმაციასთან, რომლის მიმწოდებელია ციკლონებისათვის დამასასიათებელი კონვერგენციული ნაკადები [5]. ექსავრომენტული დაკვირვების მასალებიდან ცნობილია, რომ ღრუბელთა სისტემების განვითარება ციკლონებში მიმდინარეობს უფრო ინტენსიურად, ვიდრე შიდამასიური პროცესების დროს. ამასთან ერთად ციკლონებში აქტიურად წარმოებს ღრუბელთა ურთიერთშერწყმის პროცესი. როდესაც ხდება ღრუბელთა შეკროება, მაშინ აღილი აქს გაერთიანებული ღრუბლის სიმძლავრის მკეთრ

ზრდას და ნალექწარმომქმნელი პროცესების ინტენსიფიკაციას. ღრუბელთა გაერთიანებისას, როგორც წესი, კონვექციური უჯრედების სრული შერწყმა არ წარმოებს, ამიტომ ღრუბელი ინარჩუნებს მრავალუჯრედოვან სტრუქტურას, რომელიც დამასასიათებელია ციპლონებისა და ფრონტალური პროცესებისთვის. ცნობილი ფაქტია, რომ ტროპიკულ ციკლონებში და ატმოსფერული ფრონტების არსებობისას აღინიშნება გროვა ღრუბლის გუმბათის მეტად სწრაფი-ფერებადი ზრდა, როცა 2-3 წუთში ღრუბლის სიმაღლე იზრდება რამდენიმე კილომეტრით. ამგვარად დიდმასშტაბიანი ცირკულაცია გავლენას ახდენს არა მარტო ღრუბელთა სისტემის ევოლუციაზე, არამედ მის სტრუქტურაზე, ზომებზე და ამ სისტემაში შემავალი ცალკეული ღრუბლის განვითარების სიჩქარეზე.

ზემოთ სსენებული მოვლენები თეორიულად ნაკლებადაა შესწავლილი. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანს შეადგენს მათემატიკური მოდელირების საშუალებით განვსაზღვროთ გროვა ღრუბლის გაერთიანებაზე დიდმასშტაბიანი კონვერგენციის გავლენის თავისებურებანი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია კონვექციურ ღრუბელთა სისტემის ორგანზომილებიანი თერმოჰიდროდინამიკური მოდელი პარამეტრიზებული მიქროფიზიკით [1,2,4]. ამიტომ ამოსავალი განტოლებები, საწყისი და სასაზღვრო პირობები ისეთივეა, როგორც [1,2,4] შრომებში განხილულ ამოცანაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სიჩქარის ჰორიზონტალურ  $\pi$  და  $\varphi$  რტიკალურ  $w$  მდგრებულებში შემოგვაქვს შესაკრებები  $bx$  და  $bz$ , რომლებიც პირველ მიახლოებაში ითვალისწინებენ სინოპტიკური მასშტაბის კონვერგენციის გავლენას ჰაერის ნაბადების სიჩქარის მდგრებულებზე. მაშასადამე სიჩქარის  $U$  და  $W$  მდგრებულები შეგვიძლია ჩავწეროთ შემდგენ სახით:

$$\begin{aligned} u &= -bx + v(z) + u_k, \\ w &= bz + w_k, \end{aligned} \tag{1}$$

სადაც  $v(z)$ -ფონური ნაკადის სიჩქარეა, რომელიც იცვლება მხოლოდ სიმაღლის მიხედვით.  $u_k$  და  $w_k$  კონვექციური მოძრაობის სიჩქარის შესაბამისი მდგრებულებია. ამოცანის გამარტივების მიზნით ვუშებთ, რომ  $b = \text{const}$ . ცხადია (1) გამოსახულება აკმაყოფილებს უწყვეტობის განტოლებას

$$\frac{\partial u \rho}{\partial x} + \frac{\partial w \rho}{\partial z} = 0. \tag{2}$$

ჩატარებული იქნა რიცხვოთი ექსპერიმენტები  $b$ -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის, როცა  $v(z) = 0$ . აქედან პირველი ჯგუფი იძლეოდა ცალკეული ღრუბლის განვითარებას, რომელიც წარმოიშვება

დიდმას შტაბიანი კონვერგენციის ზონაში ( $b = 2 \cdot 10^{-5} \text{ წ}^{-1}$  და  $b = 10^{-4} \text{ წ}^{-1}$ ), ხოლო ექსპერიმენტების მეორე ჯგუფი აღწერდა იგივე პირობებში ორი ღრუბლის ურთიერთქმედებას. მოცემულ ნაშრომში დასმული ამოცანის შესაბამისად დაწვრილებით განვიხილავთ მეორე ჯგუფის ექსპერიმენტების შედეგებს. აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ პირველი ჯგუფის ექსპერიმენტებში  $b$ -ს გათვალისწინებამ გამოიწვია ნალექწარმოქმნის პროცესების დაჩქარება, ღრუბლის სიმძლავრისა და მოსულ ნალექთა რაოდენობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ კონვერგენციის ზონაში წარმოქმნილი ღრუბლის წყალშემცველობა მისი მაქსიმალური განვითარების მომენტში 3-ჯერ და მეტად აღმატება იგივე მომენტისათვის შიდამასიური ღრუბლის წყალშემცველობას.

მეორე ჯგუფის რიცხვით ექსპერიმენტებში კონვექციურ ღრუბელთა წარმოშობის ინიცირებას ვაწარმოებთ  $t = 0$  მომენტში არა-მდგრადად სტრატიფიცირებული ატმოსფეროს ფენის ორ სხვადასხვა წერტილში მძლავრი სითბური იმპულსის ჩართვით, რომელიც აღიწერება შემდეგი გამოსახულებით:

$$T' = T_0 \left[ 1 - \frac{(x - x_0)^2}{x_0^2} \right] \left[ 1 - \frac{(z - z_0)^2}{z_0^2} \right]. \quad (3)$$

პირველი იმპულსისათვის  $T_0 = 40^\circ\text{K}$ ,  $x_0 = 3 \text{ ქმ}$  და  $z_0 = 1.5 \text{ ქმ}$ , ხოლო მეორესათვის  $T_0 = 5^\circ\text{K}$ ,  $x_0 = 9 \text{ ქმ}$ ,  $x_0 = 1.5 \text{ ქმ}$ . სითბური იმპულსი (3) მოქმედებდა მხოლოდ იმ წრის შიგნით, რომლის ცენტრია  $(x_0, z_0)$  წერტილი, ხოლო რადიუსი ტოლია 3 კმ-ის. ამ წრის გარეთ ტემპერატურის შეშფოთება ნულის ტოლია. რაც შექება ტემპერატურის, წნევის და ფარდობითი ტენიანობის სიმაღლის მიხედვით საწყის განაწილებას, იგი აღებული იყო 1977 წლის 18 სექტემბრის სოფელ რუისპირის (კახეთი) რადიოზონდის მონაცემების მიხედვით. აღნიშნული მეტეორელემენტების ვერტიკალური განაწილება მოცემულია ცხრ. 1-ში. ამ დღეს განვითარდა ფრონტალური ტიპის კონვექციური ღრუბელი, რომლის სიმაღლემ მაქსიმალური განვითარების მომენტში მიაღწია 13 კმ-ს. ვინაიდან სენენდული ზონდირება მოხდა ცივი ფრონტის გავლის მომენტში, ამიტომ (1) ფორმულაში მსხვილმასშტაბიანი კონვერგენციის ფონური ნაკადისათვის აღებული იქნა  $b = 10^{-4} \text{ წ}^{-1}$ .

ნახ. 1 და ნახ. 2-ზე მოცემულია იმ ექსპერიმენტების შედეგები, რომ ელთათვის შესაბამისად  $b = 0$  და  $b = 10^{-4} \text{ წ}^{-1}$ . ორივე ნახაზი შევსაბამება ღრუბელთა მაქსიმალური განვითარების მომენტს. ნახაზებზე მსხვილი უწყვეტი წირი წარმოადგენს ჯამური წყლიანობის იზოხაზს, წვრილი უწყვეტი მრუდი აღნიშნავს  $w > 0$  შესაბამის იზოხაზს, ხო-


დღო წევეტილი -  $w < 0$  შესაბამის იზოხაზს. დრუბლის პერიფერიულ ნაწილში არსებული სუსტი დაღმავალი ნაკადები ნახაზებზე გამოსახული არ არის.

ცხრილი 1.სოფ. რუსპირის (კახეთი, სეტყვასაწინააღმდეგო სამსახური) 1977 წლის 18 სექტემბრის 12 საათის რადიოზონდის მონაცემები


სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან $H \text{ მ}$	წნევა $P \text{ ჰპა}$	ტემპერატურა $T^0 K$	ტემპერატურის გრადიენტი გრად/100მ	ფარდობითი ტენიანობა %
0	955	297,36		65
440	908	291,56	1,32	70
740	876	288,66	0,97	73
940	856	287,76	0,45	79
1000	850	287,36	0,67	80
1440	807	284,56	0,64	83
1940	760	281,76	0,56	85
2440	715	278,36	0,68	85
2610	700	277,16	0,71	85
3240	648	274,16	0,48	77
3440	632	272,16	1,00	73
4440	557	264,16	0,80	71
5260	500	257,96	0,77	57
5440	488	257,36	0,33	57
6440	427	250,36	0,70	53
6910	400	247,16	0,68	51
7440	372	242,96	0,79	47
8440	322	235,76	0,72	42
8930	300	231,96	0,78	41
9340	293	230,26	0,41	41
9440	278	230,16	0,10	41
10160	250	229,16	0,14	40
10440	240	228,56	0,21	40
11440	206	225,16	0,36	40
12440	177	220,16	0,50	40
14440	129	212,16	0,40	40

ნახ.1-დან ჩანს, რომ ყოველ სითბურ იმპულსს შეესაბამება თავისი დრუბელი. ცხადია მძლავრი დრუბელი წარმოიშვება ტემპერატურის საწყისი შეზფოთების დიდი მნიშვნელობისათვის ( $T_o = 5^0 K$ ). როგორც ვხედავთ, ამ დრუბელთა გაერთიანება არ ხდება, ვინაიდან

მბლავრი ღრუბლის კონვერგენციის არე არ ემთხვევა სუსტი ღრუბლის დივერგენციის არქს [1]. საწყისი იმპულსების კოორდინატების გათვალისწინებით ვდებულობთ, რომ ღრუბელთა ცენტრებს შორის მანძილი 6 კმ-ია. ამიტომ ისინი ურთიერთქმედებენ და განსხვავებულ წევათა ძალების გავლენით იძენენ ასიმეტრიულ სახეს (ნახ.1).



ნაბ.1 შიდამასიური პროცესების დროს წარმოქმნილი გროვა დრუების სისტემა მაქსიმალური განვითარების მომენტში.



ნახ.2 კონვერგენციულ ნაკადში წარმოქმნილი გროვა დრუბელი, მაქსიმალური განვითარების მომენტში. მასშტაბები ნახაზზე:  
 პორიზონტალურად 2 სმ – 1.5 კმ ვერტიკალურად 1.2 სმ – 1 კმ,  
 $d = 1.5$  კმ

იმ შემთხვევაში, როცა  $b > 0$  (ნახ.2) მაქსიმალური განვითარების მომენტისათვის ორი დრუბლის ნაკვლად გვაძეს ერთი მტლავრი

დრუბელი. მართალია, ამ დრუბლის შიგნით დაიკვირვება ცალკეული უჯრედები, მაგრამ დენის წირების განლაგებამ აჩვენა, რომ იგი სიძეგრიულია. თანახმად [1,2] შრომებისა, ეს მიგვითოთებს იმაზე, რომ გვაქვს ერთი მრავალუჯრედიანი დრუბელი, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დამახასიათებელია ფრონტალური პროცესებისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიდმასშტაბიანი კონკრეტული გათვალისწინებით მიღებული დრუბლის მასშტაბები (პორიზონტალური და ვერტიკალური ზომები, ნახ.2) ბევრად აღმატება შიდამასიური წარმოშობის დრუბლის ზომებს (ნახ.1). როცა  $b > 0$ , სველრითი წყლიანობა რაიმე მომენტისათვის ერთი რიგით მეტია, ვიდრე  $b = 0$  შემთხვევაში იგივე დროისათვის მიღებული ორივე დრუბლის სველრით წყლიანობათა ჯამი. ამრიგად გაერთიანების შედეგად მიღებულ დრუბელში კონკენტრაციური მოძრაობის და ნალექწარმოქმნის პროცესის ინტენსივობა მკვეთრად იზრდება.

მსგავსი შედეგები მოგვცა იმ რიცხვითმა ექსპერიმენტებმა, რომლებისათვის  $b > 0$  და ვითვალისწინებო დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის დღევამურ სვლას. ამ შემთხვევაში მცირე სიმძლავრის დრუბლები, რომლებიც წარმოიქმნებიან თერმიკების შეერთებით, სწრაფად ჯგუფდებიან ე.წ. კლასტერების (გროვა დრუბელთა თავმოყრა) სახით, ერწყმიან ერთმანეთს და უკვე 2 სთ ფიზიკური დროის შემდგებ გაბალევენ თრ მბლავრ გროვა-საწვიმარ დრუბლებს. თოთოეული მათგანი მსგავსია ნახ.2-ზე წარმოდგენილი დრუბლის კონფიგურაციისა. აღსანიშნავია არსებითი განსხვავება მოდელირების შედეგებში შესაბამისად  $b = 0$  და  $b > 0$  შემთხვევებისათვის. [4] შრომაში მიღებულია, რომ როცა  $b = 0$  დაიკვირვება ორიარუსიანი გროვა დრუბელი.  $b > 0$  შემთხვევაში კი დრუბელი იკავებს თითქმის მთელ ტროფოსფეროს და ორიარუსიანი დრუბლიანობა არ წარმოიქმნება. როცა  $b > 0$  დრუბლის მახასიათებელი სიდიდეები აღარა დამოკიდებული დედამიწის ზედაპირზე ტემპერატურის დღევამური სვლის პარამეტრებზე, რაც დამახასიათებელი იყო  $b=0$  შემთხვევისათვის. ამსახური მნიშვნელოვნად (დაახლოებით 3-ჯერ) გაიზარდა ნალექთა ინტენსივობა.

ამგვარად, მათგმატიკურმა მოდელირებამ დაადასტურა ის ძირითადი ფაქტები, რომლებიც ცნობილია საველე-ექსპედიციური დაკვირვებებიდან. კერძოდ, დადგენილი იქნა, რომ დიდმასშტაბიანი კონკრეტული ნაკადები, რომელიც დამახასიათებელია ციკლონებისა და ფრონტებისათვის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გროვა დრუბლების სივრცითი ზომების გაზრდაზე. თუ შიგამასიური კონკენტრაციური დრუბლის დამახასიათებელ სივრცითი მასშტაბების ფრონტი რებაში მთვარი როლი ენიჭება იმ თერმიკების ურთიერთშერწყმას, რომლებიც განლაგებული არიან თითქმის ერთი ვერტიკალის სხვა-

დასხვა სიმაღლეზე, ციკლონური წარმოშობის დრუბელთა ( $b > 0$ ) მასასიათგბელი მასშტაბის ფორმირებაში ძირითადი როლი ეკუთვნის ერთი და იგივე სიმაღლეზე გვერდი-გვერდ მდებარე დრუბელთა შეერთების პროცესს. ამ შემთხვევაში დრუბელთა დაახლოებას ხელს უწყობს დიდმასშტაბიანი კონვერგენციული ნაკადები. როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს (ნახ.2), დრუბელთა სრულ შერწყმას ადგილი არა აქვს და ამიტომ შეერთების შემდეგ დრუბელი ინარჩუნებს მრავალუჯრედოვან სტრუქტურას. მაშასადამე შეგვიძლია დაგასხვნათ, რომ მრავალუჯრედოვანი კონვექციური დრუბელი წარმოშვება ცალკეული გროვა დრუბლების გაერთიანებით.

### **ლიტერატურა- REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ნ.ჯაფარიძე, თ.რობიტაშვილი, ნ.ჩახვაშვილი. კონვექციურ დრუბელთა ურთიერთქმედების გამოკვლევა. საქ. მეცნ. აკადემიის პმი-ს შრომები, გ.101, 1998.
2. ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ნ.ჯაფარიძე, თ.რობიტაშვილი. მრავალუჯრედოვანი გროვა დრუბლის რიცხვითი მოდელი. საქ. მეცნ. აკადემიის პმი-ს შრომები, გ.104, 2001.
3. Мазин И.П., Шметер С.М. Облака, строение и физика образования. Л., Гидрометеоиздат, 1983.
4. Чахвашвили Н.К., Васкевич Л.А., Мальбахов В.М., Робиташвили Г.А. Численное моделирование ансамбля кучевых облаков с учетом процессов осадкообразования. Труды ЗапСибНИГМИ, вып. 89, 1989.
5. Kuo H.L., Further studies of the parameterization of tropical cyclones through latent heat release by cumulus convection. J. Atm. Sci., V.22, N1,1965.
6. Ogura Y. Modeling studies of convection. Advances in Geophysics. V.28, 1985.

### **უაგ 551.576**

ატმოსფეროში ფართომასშტაბიანი კონვერგენციის გავლენა კონვექციურ დრუბელთა გაერთიანებაზე. /ნ.ბეგალიშვილი, ვაჟალბახოვი, გ.რობიტაშვილი, თ.რობიტაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული. -2009.-გ.114.-გვ.11-18;ქართ.; რეზ. ქართ.; ინგლ.; რუს.

ატმოსფეროში ჰაერის ნაკადების ფართომასშტაბიანი კონვერგენციის ფონზე შესრულებულია კონვექციურ დრუბელთა ურთიერთქმედების თავისებურებების გამოკვლევა. დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია კონვექციურ დრუბელთა სისტემის ეკონდუციის ორგანზომილებიანი თერმოპიდროდინამიკური მოდელი, მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზებით. რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე განსაზღვრულია კონვერგენციის არეში კონვექციური უჯრედების დაახლოების და გაერთიანების პირობები, რასაც მოჰყვა მძლავრი მრავალუჯრედიანი კონვექციური დრუბლის წარმოშობა და ნალექწარმომქნელი პროცესების ინტენსიფიკაცია.

**UDC 551.576**

**The influence of largescaled convergence on the aggregation of convective clouds in the atmosphere.** /N.Begalishvili, V.Malbaxov, G.Robitashvili, T.Robitashvili /Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - т.114. – p.11-18 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The interaction features of the convective clouds in the atmosphere against a background of the large-scale convergence of air flows have been investigated. To solve the assigned task two-dimensional thermohydrodynamical model of the evolution of the convective cloud system is used, considering parameterization of the microphysical processes. On basis of the numerical experiments the convergence and aggregation conditions of convective cells have been determined in the convergence area, resulted in the formation of powerful multicellular convective cloud and intensification of precipitation formatting processes.

**УДК 551.576**

**Влияние широкомасштабной конвергенции в атмосфере на объединение конвективных облаков.** /Н.А.Бегалишвили, В.М.Мальбахов, Г.А.Робиташвили, Т.Г.Робиташвили/ Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии-т.114;-с.11-18 - Груз. рез.Груз.; Англ.; Русск.

Выполнено исследование особенностей взаимодействия конвективных облаков на фоне широкомасштабной конвергенции воздушных потоков в атмосфере. Для решения поставленной задачи применена двухмерная термогидродинамическая модель эволюции системы конвективных облаков с параметризацией микрофизических процессов. На основе численных экспериментов определены условия сближения и объединения конвективных ячеек в области конвергенции, приводящие к образованию мощного многоячейкового конвективного облака и интенсификации осадкообразующих процессов.

პირველი გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

ნ.ბეგალიშვილი, [გ.რობიტაშვილი],

მ.ტატიშვილი, თ.რობიტაშვილი

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უკ 551.576

პრცენტურ ღრუბლებში გუნდებრივი და ხელოვნური

ნალექაროვანის გამოყვავლება ოპერატიული

თერმოჰიდროლინაზონი მოძღვის საზოგადოება

ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყანა განიცდის მტკნარი წელის ნაკლებობას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება. აღნიშნული დეფიციტის შევსების ერთ-ერთი საშუალებაა ატმოსფერული ნალექების ხელოვნური გაზრდა და გადანაწილება. ამ მიზნით კონვექციურ ღრუბლებზე დაიწყო აქტიური ზემოქმედების სამუშაოები ჯერ კიდევ გასული საუგუნის 60-იანი წლებიდან. საქართველოში ასეთი ფართო მასშტაბიანი ექსპერიმენტები და საცდელ-საწარმოო სამუშაოები შესრულდა 70-80-იან წლებში. ეს საქმიანობა მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს იმ რეგიონებისათვის, სადაც ხშირია გვალვები და ამის გამო დიდია წელის დეფიციტი [1]. საველ ექსპერიმენტების ჩატარებამ მოითხოვა კონვექციური ღრუბლის ისეთი მათემატიკური მოდელების შექმნა და განვითარება, რომელიც აღწერდნენ ზემოქმედების ფიზიკურ მექანიზმებს და სქემებს. კერძოდ, დამუშავდა გროვა ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების გამარტივებული ერთგანზომილებინი მოდელები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყო ოპერატორულ პრაქტიკაში.

მაგალითად, [2]-ში განხილულია ერთგანზომილებიანი პროგნოზული მოდელი, მიკროფიზიკის პარამეტრიზებული სქემებით. მოდელით მიღებული შედეგები შედარებულია ოგურა-ტაკახაშის ერთგანზომილებიან [5] და ამინდის კვლევის და პროგნოზის (Weather Research and Forecast Model) სამგანზომილებიან მოდელთან. მოდელში მიკროფიზიკის დეტალურად ჩართვის გამო, დანარჩენებისგან განსხვავებით, მან წარმოიანია ვერტიკალური სიჩქარის მკეთრი მაქსიმუმი. უფრო მეტიც, შედეგებმა უჩვენა, რომ იგი უკეთ აღწერდა კონვექციური ღრუბლის თვისებებს, ვიდრე სამგანზომილებიანი.

[3]-ში წარმოდგენილ მოდელში ღრუბელს აქვს ცილინდრული ფორმა და გამოიყენებულია ოგურა-ტაკახაშის მოდელის განტოლებები [5]. იგი შეიცავს მოძრაობის, უწყვეტობის განტოლებებს, ასევე წელის ორთქლის, ღრუბლის წელის, წვიმის წელის და კრისტალების გადატანის განტოლებებს. ჩართულია შემდეგი მიკროფიზიკური პროცესები: კონდენსაცია, ავტომონვერსია, სუბლიმაცია, დნობა, აორთქლება. მოდელი გამოიყენება ატმოსფეროს სხვადასხვა სტრატიფიკაციის შემთხვევებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის გამოკვლევისათვის გამოყენებულია ერთგანზომილებიანი ოპერატორული მოდელი, რომელიც განხილულია [4]-ში. ამიტომ, მოცემულ ნაშრომში ამოსავალ განტოლებებს, საწყის და სასაზღვრო პირობებს არ მოვიყვანო. აღნიშნული მოდელის მიხედვით დრუბელს პირობითად აქვს ცილინდრის ფორმა დროში უცვლელი რადიუსით. ჩათვლილია, რომ უარყოფით ტემპერატურაზე დრუბლის ტენი იმყოფება გადაცივებულ მდგრმარეობაში. დრუბლის თერმო- და ჰიდრო- დინამიკისათვის გამოყენებულია [5]-ში განხილული მოდელის განტოლებები, ხოლო ნალექის წარმოქმნის და გამოყოფისათვის პარამეტრიზებული სქემები, რომლებიც ითვალისწინებენ შემდეგ მიკროფიზიკურ პროცესებს: კონდენსაციას, სუბლიმაციას, კრისტალიზაციას, კოაგულაციას და აორთქლებას. ზემოქმედების აღწერისათვის გამოყენებულია [6]-ში შემოთავაზებული ხელოვნური კრისტალიზაციის პარამეტრიზებული სქემა.

ნალექწარმოქმნის შეფასებისთვის უპირველეს ყოვლისა შესრულებულია დრუბლის ბუნებრივი განვითრების მოდელირება.

ზემოქმედების იმიტაცია შემდეგნაირად ხდება: დროის რადაც განსაზღვრულ მომენტში დრუბლის გადაცივებულ ნაწილში (-6:-12°C) შეგვაქვს გარკვეული რაოდენობის მაკრისტალიზებელი რეაგენტი. დიფუზიის გამარტივებული განტოლების ანალიზური ამოსსნით ვიგებთ დროის გარკვეულ შეაღედში პასიური რეაგენტის მიერ დაკავებულ მოცულობას, სადაც უნდა გაიყინოს განსაზღვრული რაოდენობის დრუბლის და წვიმის წყალი. ვთვლით ხელოვნურად განხილ კრისტალებზე წყლის ორთქლის სუბლიმაციისას გამოყოფილ სითბოს რაოდენობას. ჩათვლილია, რომ ეს სითბო მთლიანად გადაეცემა განსაზილვებლ არეში პარის აღმავალ ნაკადს და ათბობს მას  $\Delta T^0$ -ით. ამით იქმნება ნაკადის სიჩქარის დამატებითი გაზრდის შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს დრუბლის სიმძლავრის მატებას, ე.ი. დრუბლის მიკროფიზიკის ხელოვნური მართვა იწვევს მისი დინამიკის ცვლილებას. ატმოსფეროს განურჩევითი წონასწორობისას ( $\gamma = \gamma_0$ ) აღმავალი დენის სიჩქარის და დრუბლის სიმძლავრის ზრდის მაქსიმუმი ითვლება შემდეგი გამოსახულებით [7]:

$$\Delta W_{\max} = \frac{uv}{a^3 \rho} \sqrt{\frac{\lambda \theta}{\pi c_p \rho}} , \quad (1)$$

$$\Delta h = \sqrt{\frac{\lambda \theta}{\pi c_p \rho s^2 a^2}} , \quad (2)$$

სადაც  $v$ -ტურბულენტობის კინემატიკური კოეფიციენტია,  $a$  - დრუბლის რადიუსი,  $\lambda$ -კონვექციის პარამეტრი,  $\theta$ -რეაგენტის მიერ დაკა-

ვ მოცულობაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა,  $S = \sqrt{\lambda(\gamma_a - \gamma)}$ .

ერთჯერადი ზემოქმედებისას გამოორიგილი პარამეტრების მნიშვნელობებია  $\Delta W_{\max} \approx 1\text{d}/\text{წ}$  და  $\Delta h \approx 600\text{მ}$ . მათი სიდიდეები მცირეა, თუ მცა მრავალჯერადი ზემოქმედებისას ღრუბლის მოცულობის ნაზრდმა შეიძლება მიაღწიოს რამდენიმე კმ-ს, ხოლო მასში კონდენსირებული წყალი უზრუნველყოფს დამატებითი ნალექების წარმოქმნას.

ზემოქმედების მოდელირება ჩატარდა ღრუბლის განვითარების სხვადასხვა სტადიაში. მიღებული შედეგები უზვენებენ, რომ დამატებითი წყლის მიღების თვალსაზრისით უკეთესი შედეგები მიღება იმ შემთხვევაში, როცა რეაგენტის შეტანა ღრუბელში ხდება მისი განვითარების სტადიაში.

აქტიური ზემოქმედების რიცხვითი უქსეკრიმენტები ჩატარდა ატმოსფეროს სტრატიფიკაციის აღმწერი სამი რადიოზონდის მონაცემებისათვის: ორი რეალურისა და ერთი ჰიპოთეტური პროფილებისათვის. ჰიპოთეტურის შემთხვევაში ტემპერატურა ზედაპირზე  $298^0\text{K}$ -ის ტოლი იყო და  $10\text{ კმ-ის}$  სიმაღლემდე ეცემოდა  $6.3^0\text{K}$ -ით თოვლეულ კმ-ზე, რის შემდეგაც უცვლელი რჩებოდა.

დედამიწის ზედაპირზე სითბური იმულსის გადაცემის შემდეგ შეიქმნა კონგექციური ღრუბელი, რომლის სიმაღლე მაქსიმალური განვითარების მომენტში შეადგენდა  $8.2\text{ კმ-ს}$ , ხოლო მისი სიცოცხლის სანგრძლივობა იყო  $72^{\circ}\text{C}$ . ბუნებრივი განვითარების შემთხვევაში ღრუბლიდან გამოიყო  $5*10^5\text{ ტ}$ . ნალექი.


ღრუბლის განვითარების სტადიაში (მე- $20^{\circ}\text{C}$ ) მის გადაცივებულ არეში ( $-6\text{--}12^0\text{C}$ ) მოვახდინეთ მაკრისტალიზებელი რეაგენტით მრავალჯერადი ზემოქმედება (რაც უკივიალუნტურია მაგ.  $5^{\circ}\text{C}$ -ში  $10^0\text{ "ელბრუსის"}$  ტიპის საზენიტო ჭურვის აფეთქებისა). ამან შეცვალა ღრუბლის დინამიკა, გაიზარდა მისი სიმაღლე და აღმავალი დენების სიჩქარე. ზემოქმედებამ დასაწყისში გამოიწვია ნალექთა ინტენსივობის შემცირება, ხოლო შემდეგ მისი გაზრდა. მოიმატა ღრუბლის სიცოცხლის სანგრძლივობამ და დაფიქსირდა  $5.95*10^5\text{ ტ}$  ნალექის გამოყოფა, წყლის რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით  $20\%-ით$ .

ნალექთა ინტენსივობის დროში მსვლელობისათვის დაიკვირვებოდა რამდენიმე მაქსიმუმი. ეს ახასიათებს, როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურ ნალექწარმომქმნელ პროცესებს.


რაც შეეხება ატმოსფეროს რეალურ სტრატიფიკაციას, პირველი იყო რუსპირის (კახეთი, 1977წ.) ზონდი. დაკვირვებულ ღრუბელს მაქსიმალური განვითარების მომენტში ჰქონდა  $13\text{ კმ}$  სიმაღლე,  $3\text{-}5\text{-იანი}$  რადიუსი, ხოლო მაქსიმალური რადიოლოკაციური ამრეგვლადობა დაფიქსირდა  $9\text{ კმ}$  სიმაღლეზე. მოდელურმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ განვითარების უმაღლეს სტადიას ღრუბელი აღწევდა  $55^{\circ}\text{C}$ -ზე და

მისი სიმაღლე შეადგენდა 13.2 კმ-ს, მაქსიმალური წყლიანობა 6.3 გ/კგ აღინიშნა 8.8 კმ-ზე და მოსული წვიმის რაოდენობა იყო  $8.5 \cdot 10^5$  ტ.

მე-40 წთ-ზე გადაცივებულ ნაწილში (-6- $-10^0$  C) მოვახდინეთ 6- ჯერადი ზემოქმედების იმიტაცია, რის შედეგადაც  $\Delta W_{max}$  და  $\Delta h$ -ს მნიშვნელობები შესაბამისად 1.8 ტ/ტ და 1.3 კმ აღმოჩნდა. ნახ. 1-ზე მოცემულია აღმავალი დენის სიჩქარის გრაფიკები ბუნებრივი განვითარების და ზემოქმედების შემთხვევებში, დროის სხვადასხვა მომენტისათვის. ნახ. 2-ზე მოცემულია ნალექის ინტენსივობის დროში ცვლილება განხილული ორივე შემთხვევისათვის.



ნახ. 1 ნაკადის აღმავალი დენის სიჩქარის განაწილება სიმაღლის მიხედვით დროის სხვადასხვა მომენტებში (X-ზემოქმედების შემდეგ)



ნახ. 2 ნალექების ინტენსივობის ცვლილება დროში (X-ზემოქმედების შემთხვევაში)

მეორე ზონდის (თეთრიწყარო, 1974წ.) პირობებში დრუბლის ბუნებრივი განვითარების სიმაღლე იყო 12.6 კმ, დაიკვირვებოდა ძლიერი ნალექი. მოდელირებით მიღებულმა დრუბლის სიმაღლემ მიაღწია 13 კმ-ს. მაქსიმალური წყლიანობის სიმაღლემ შეადგინა 8 კმ.

მოსული ნალექების რაოდენობა იყო  $3.2 \times 10^5$  ტ. ზემოქმედების შედეგად მოსული ნალექების რაოდენობა გაიზარდა 22%-ით.

ზემოქმედების შედეგად დინამიკას და წვიმის ინტენსივობის დროში ცვლილებას ერთნაირი სახე აქვს: საწყის მომენტში ხდება ნალექის ინტენსივობის შემცირება ბუნებრივიან შედარებით. ამ მოვლენის ასენა ფიზიკურად შემდეგნაირად არის შესაძლებელი: მაკრისტალიზებელი რეაგენტით ზემოქმედებისას ხდება დამატებითი სითბური ენერგიის გამოყოფა, რის შედეგად იზრდება აღმავალი დენის სიჩქარე. ეს იწვევს ნალექთა წყლის დრუბლის ზედა ნაწილში გადატანას და დრუბლიდან მოსული ნალექების ინტენსივობის შემცირებას. ინტენსივობის დროში ცვლილებას აქვს იმპულსური სასიათო, თუმცა მაინც შეიმჩნევა ორი მაქსიმუმი, რომლებიც ზემოქმედების შემთხვევაში დროში წანაცვლებული აღმოჩნდა.

სხვადასხვა სიმძლავრის დრუბელზე ზემოქმედების იმიტაციაშ აჩვენა, რომ სუსტ დრუბელში ნალექის ფარდობითი ნამატი დიდია. თუმცა უფრო სელსაყრელია ზემოქმედების ჩატარება მძლავრ კონკეციურ დრუბელზე.

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ყოველი დრუბლისათვის არსებობს რეაგენტის ექსტრემალური რაოდენობა, რომლისთვისაც ზემოქმედებით მიღებული დამატებითი ნალექის რაოდენობა მაქსიმალურია. რეაგენტის რაოდენობა დამოკიდებულია დრუბლის სიმძლავრეზე და მისი განვითარების დინამიკაზე. ნალექების გაზრდისათვის საჭიროა ზემოქმედების წარმოება დრუბლის განვითარების სტადიაში. რეაგენტის შეტანა უნდა მოხდეს დრუბლის გადაცივებულ ნაწილში  $-6\text{--}10^\circ\text{C}$  ტემპერატურულ არეში, ხოლო ზემოქმედების დროითი ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს 5წთ-ს.

რეაგენტის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა მოითხოვს მოდელის შემდგომ განვითარებას, როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურად განვითარებულ დრუბლებზე დაკვირვებათა მონაცემებს.

## ლიტერატურა- REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Сванидзе Г.Г., Бериташвили Б.Ш. О современном состоянии проблемы искусственного увеличения осадков. Обнинск, 1978.
2. Shu-Hua Chen, Wen-Yih Sun. A one-dimensional time dependent cloud model. Journal of the Meteorological Society of Japan. Vol.80, N1, 2002.
3. Lester Alfonso, Martinez Daniel, Perez Carlos. Numerical simulations of tropical convective clouds over Cuba using one-dimensional and time-dependent cloud model. 12-th International Conf. On Clouds and Precipitation Proceedings. Switzerland, 1996.
4. ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ვ.შაქარაშვილი. კონკეციური დრუბლის ოპტიმატიზაცია რიცხვითი მოდელი. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.100, 1996.

- Ogura J.,Takahashi T. Numerical simulation of the life cycle of a thunderstorm cell. Mon. Weath. Rev. V.99, N12, 1971.
- თ. რობიტაშვილი, მ.ტატიშვილი. ღრუბელში მიმდინარე მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზაცია. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ.104, 2001.
- კონვექციონ ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მათემატიკური მოდელირება. ოქმა 2.21-ის ანგარიში. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ფონდები, 1995.

### უაკ 551.576

კონვექციურ ღრუბლებში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის გამოყვავება ოპერატორული თერმოპიდროდინამიკური მოდელის საფუძველზე /ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, მ.ტატიშვილი/ თ.რობიტაშვილი/. ჰმის-შრომათა კრებული. -2009.-ტ.114 -გვ.19-25. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. კონვექციური ღრუბლის ერთგანზომილებიანი ოპერატორული პიდროდინამიკური მოდელით შესრულებულია ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის გამოყვავება ორი რეალური და ერთი პიპლოებური რადიოზონდის მონაცემების საშუალებით. მიკროფიზიკური პროცესები მოდელში წარმოდგენილია პარამეტრიზებული სახით. ზემოქმედების მოდელირება განხორციელდა მაკრისტალიზებული რეაგენტის შეგანით ღრუბლის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. დადგინდა, რომ ყოველი ღრუბლისათვის არსებობს მისი განვითარების განსაზღვრული მომენტი და რეაგენტის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის ღრუბელში შეტანით ნალექების დამატებითი რაოდენობა მაქსიმალურია. რეაგენტის ეს რაოდენობა დამოკიდებულია ღრუბლის მაქსიმალურ სიმძლავრეზე და დინამიკის თავისებურებებზე. ზემოქმედების შედეგად იცვლება ღრუბლის მიკროფიზიკა, რაც იწვევს დინამიკის ინტენსიფიკაციას. ასეთ პირობებში იზრდება ღრუბლის სიცოციხლის ხანგრძლოვობა, მისი სიმძლავრე და მოსული ნალექების რაოდენობა.

### UDC 551.576

**Investigation of natural and artificial precipitation formation in convective clouds in terms of operational thermohydrodynamical model./N.Begalishvili, G.Robitashvili, , M.Tatishvili, T.Robitashvili/.Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2009. – v.114,-p.19-25.-Georg.-Summ. Georg., Ing., Russ.**

Natural and artificial precipitation formation processes have been investigated using one-dimensional operational hydrodynamical model of convective cloud applying two real and one hypothetic radiosonde data. Microphysical processes are presented by parameterization schemes. The modification modelling has been carried out on the different stages of cloud growth by insertion of crystallizing reagent. It has been ascertained that for every cloud there exist the definite moment in its growth and optimal quantity of reagent, when additional precipitation increase is maximal. The mentioned amount of reagent depends on the features of growth dynamics and clouds maximal capability. In the result of modification changes were occurred in cloud microphysics, causing intensification of its dynamics. On such conditions clouds life time and the amount of precipitations have been increased.

**УДК 551.576**

**Исследование естественного и искусственного осадкообразования в конвективных облаках на основе оперативной термогидродинамической модели.** /Н.А. Бегалишвили, Г.А.Робиташвили, М.Р.Татишвили, Т.Г.Робиташвили/ сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. –2009.-т.114- с.19-25 -Груз. рез. Груз., Анг., Русск.,

С помощью одномерной оперативной термогидродинамической модели конвективного облака выполнено исследование естественного и искусственного осадкообразования, используя данные двух реальных и одного гипотетического радиозондов. Микрофизические процессы в модели представлены в параметризованном виде. Моделирование воздействия проведено на разных стадиях развития облака имитацией вноса кристаллизующего реагента. Установлено, что для каждого случая существует определенный момент в развитии облака и оптимальное количество реагента, когда дополнительное увеличение осадков является максимальным. Это количество реагента зависит от особенностей динамики развития и максимальной мощности облака. В результате воздействия изменяется микрофизика облака, что вызывало интенсификацию его динамики. В этих условиях увеличиваются продолжительность существования облака и количество выпавших осадков.

გ.გელაძე, გ. რობიტაშვილი,

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
მდინარაძე ჭ., სხირგლაძე ნ.

თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი  
ქადა 551.51

“**ଭେଦ ଭାବରେ ମନ୍ଦିରରେ ପାଇଲା କଥା କଥା**” ଏହାର ଅଧିକାରୀ ଶବ୍ଦରେ କଥା କଥା

ჩვენს განყოფილებაში რიგი წლების განმავლობაში ვმუშა- ობით კონვენციური ღრუბლების მათემატიკურ მოდელირებაზე. მაგრამ არანაკლებ აქტუალურია ფენა ღრუბლების და ნისლის შესწავლა ატმოსფეროს მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენის (ამსფ) ფონზე, რაც განპირობებულია რიგი ისეთი პრობლემებით, როგორიცაა ამინდის ლოკალური პროგნოზი, გარემოს დაბინძურება, ხელოვნური ზემოქმედება ცალკეულ მეზოპროცესებზე და ს. შ.

ამოცანის დასმა და ამოხსნის მეთოდი. განვიხილოთ 2-განზომილებიანი (x,z სიბრტყეში) ამსფუძველი რომელიც მოთავსებულია თერმულად არაერთგვაროვან ქვეფენილზე. ამ პროცესის აღმწერ განტოლებათა სისტემის გამოყენებისას გამოყენებულია ბუსინესკის გამარტივება, ჰიდროსტატიკური მიახლოება, უგულებელყოფილია კორიოლისის ძალა, დაშვებულია ტურბოლებრიობის კომიკიურნიერების მუდმივობა.

ამრიგად, განტოლებათა საწყის სისტემას აქვს შემდეგი სახე (Гутман Л. Н. 1969):

$$\frac{du}{dt} = -\frac{\partial \pi}{\partial x} + \Delta' u, \quad (1)$$

$$\frac{\partial \pi}{\partial z} = \lambda \mathcal{G}, \quad (2)$$

$$\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial w}{\partial z} = 0, \quad (3)$$

$$\frac{d\vartheta}{dt} + Sw = \frac{L}{c_n} \Phi + \Delta' \vartheta, \quad (4)$$

$$\frac{dq}{dt} + \gamma_q w = -\Phi + \Delta' q, \quad (5)$$

$$\frac{dm}{dt} = \Phi + \Delta' m, \quad (6)$$

$$\frac{d}{dt} = \frac{\partial}{\partial t} + u \frac{\partial}{\partial x} + w \frac{\partial}{\partial z}, \quad \Delta' = \mu \frac{\partial^2}{\partial x^2} + \nu \frac{\partial^2}{\partial z^2}$$

სადაც ა, w არის ჰაერის სიჩქარის მდგრენელები,  $\pi$ , 9, q - წნევის ანალოგი, პოტენციალური ტემპერატურისა და ხელორითი სინოტიკის

ნაზრდი, “გადახრა” მათი ფონური მნიშვნელობებიდან,  $m$  - ხვედრითი წყლიანობა,  $\lambda$ ,  $S$  - ფლოტაციისა და ატმოსფეროს სტრატიფიკაციის პოვიციენტები,  $\gamma_q$ -ფონური ხვედრითი სინოტივის ვერტიკალური გრადიენტი,  $\Phi$  - წყლის ორთქლის კონდენსაციის სიჩქარე,  $L$  - კონდენსაციის ფარული სითბო,  $c_p$  - ჰაერის კუთრი სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს,  $\mu, \nu$  - ტუბულურნებობის კოეფიციენტები.

სინოტივის ველების (ხვედრითი სინოტივე და წყლიანობა) პროგნოზის ამოცანების ამოხსნისას გვიხდება რიგი სინედრების გადალახვა, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წყლის ორთქლის კონდენსაციის სიჩქარის  $\Phi$  გათვალისწინება, რომელიც შედის (4)-(6)-ში. ნაჯერი წყლის ორთქლის არის (ღრუბელი) საზღვარზე  $\Phi$  ფუნქცია განიცდის წყვეტას (ღრუბელს გარეთ  $\Phi=0$ ). ამიტომ ღრუბლის საზღვრის განსაზღვრისას დაშვებული მცირე უზუსტობამაც კი შეიძლება გამოიწვიოს დიდი ცდომილება სითბოსა და ტენიანობის ბალანსში, არამდგრადობა რიცხვით ექსპრიმენტებში. მოვალეულ ნაშრომში ამ წინაღმდეგობის გადალახვისათვის გამოყენებულ იქნა მეთოდი (Амиров А. Д., 1971), რომლის მიხედვითაც ახალი,  $A$  და  $B$  ცვლადების შემოვჭანით  $\Phi$  გამოირიცხება (4), (6) და (5),(6) -დან:

$$\frac{dA}{dt} + Sw = \Delta' A, \quad (7)$$

$$\frac{dB}{dt} + \gamma_q w = \Delta' B, \quad (8)$$

სადაც

$$A = \begin{cases} \vartheta & q < q_s \\ \vartheta - L/c_p m & q \geq q_s \end{cases}, \quad B = \begin{cases} q & q < q_s \\ q_s + m & q \geq q_s \end{cases},$$

აქ  $q_s$  - ნაჯერი ორთქლის ხვედრითი სინოტივეა.

(Амиров А. Д., 1971)-ის საფუძველზე ცნობილი  $A$  და  $B$ -ს საშუალებით განისაზღვრება  $\vartheta, q, m$ .

ჩამოვაყალიბოთ საწილი და სასაზღვრო პირობები:

$$z=0 \quad u=0, w=0, \vartheta=F(x,t), q=0, m=0,$$

$$z=Z \quad u=0, \pi=0, \vartheta=0, \frac{\partial q}{\partial z}=0, \frac{\partial m}{\partial z}=0, \quad (9)$$

$$x=0 \quad u=0, \frac{\partial \vartheta}{\partial x}=0, \frac{\partial q}{\partial x}=0, \frac{\partial m}{\partial x}=0,$$

$$x=X \quad \frac{\partial u}{\partial x}=0, \frac{\partial \vartheta}{\partial x}=0, \frac{\partial q}{\partial x}=0, \frac{\partial m}{\partial x}=0,$$

$$t=0 \quad u=0, \vartheta=0, q=0, m=0,$$

სადაც  $X$ ,  $Z$  ამსფ-ის საზღვრებია, ხოლო  $F(x,t)$  - ქვეფენილის ტემპერატურა.

ამრიგად, თერმულად არაერთგვაროვან ქვეფენილის მქონე ამსფ-ის თრგანზომილებიანი, არასტაციონარული ამოცანა წყლის ფაზური გარდაქმნის გათვალისწინებით დაყვანილ იქნა (1)-(3), (7), (8) სისტემის ამოხსნაზე  $[0:X, 0:Z]$  არეში (9) სასაზღვრო და საწყისი პირობების გათვალისწინებით.

ამოცანა ამოხსნილ იქნა რიცხვითი მეთოდით ცხადი სასრულ-სხვაობიანი სქემის საშუალებით, რომელსაც აქვს I რიგის სიზუსტე დროის მიხედვით და II რიგის სიზუსტე კოორდინატის მიხედვით.

მოგვყავს იმ ფიზიკური კონსტანტებისა და პარამეტრების მნიშვნელობები, რომელიც არ იცვლებოდნენ სხვადასხვა რიცხვითი ექსპრიმენტების შემთხვევაში:  $\lambda = 0.033 \text{ } \text{m}^2/(\text{W} \cdot \text{გრად})$ ,  $L = 600 \text{ } \text{კალ/გ}$ ,  $c_p = 0.24 \text{ } \text{კალ}/(\text{გ} \cdot \text{გრად})$ ,  $\mu = 10^4 \text{ } \text{მ}^2/\text{წმ}$ ,  $\nu = 10 \text{ } \text{მ}^2/\text{წმ}$ ,  $X = 80 \text{ } \text{კმ}$ ,  $Z = 2 \text{ } \text{კმ}$ ,  $f = 0.98 \text{ } S = 0.005 \text{ } \text{გრად/გ}$ .

ამოცანის ამოხსნის რეზულტატები. ამოხსნილ იქნა ამსფ-ის ამოცანა თერმული “კუნძულის” მუდმივი გათბობის შემთხვევაში, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ქარის სიჩქარის, პოტენციური ტემპერატურის, წნევის, ხვედრითი წყლიანობისა და ტენიანობის კელების სივრცულ-დროითი განაწილება. ძირითადი აქცენტი მაიც გაკეთდა წარმოქმნილ ფენა დრუბლის განხილვაზე.


I ვარიანტი: ფარდობითი ტენიანობა  $f = 0.98$  (“ნოტიო” მოდელი);

II ვარიანტი:  $f = 0$ , (“მშრალი”, საკონტროლო მოდელი).


ორივე შემთხვევაში აღმოსფეროს სტრატიფიკაცია  $S = 0.005 \text{ } \text{გრად/გ}$ , ხოლო ქვეფენილის ტემპერატურა

$$F(x,t) = \begin{cases} 0 & 0 \leq x \leq 28 \text{ km}, \quad 52 \text{ km} \leq x \leq 80 \text{ km}, \\ 5 & 28 \text{ km} \leq x \leq 32 \text{ km}, \quad 48 \text{ km} \leq x < 52 \text{ km} \\ 10 & 32 \text{ km} < x \leq 48 \text{ km} \end{cases},$$


ნახ. 1, 2 მოცემულია  $q$ ,  $m$  და  $u$ ,  $w$ ,  $\Psi$  (I ვარიანტი), ხოლო ნახ. 3 -  $u$ ,  $w$ ,  $\Psi$  (II ვარიანტი) იზოხაზები, როცა  $t=2\text{სთ}$ . რადგან სურათი დერმულად სიმეტრიულია, ამიტომ მოცემულია სათვლელი არის მხოლოდ ნახევარი.



ნახ. 1.  $u$  და  $w$ -ს იზოხაზები (ვარიანტი №1; ქვეფენილის დაშტრიხული ნაწილი - სითბური “კუნძული”).



ნახ. 2.  $u$ ,  $w$ ,  $\vartheta$ -ს იზოხაზები (ვარიანტი №1).



ნახ. 3.  $u$ ,  $w$ ,  $\vartheta$ -ს იზოხაზები (ვარიანტი №2).

ფენა დრუბლის ჩასახვა იწყება  $t=66$  წთ. სითბური “კუნძულის” თავზე წარმოქმნილი დრუბლის პორიზონტალური ზომა არ აღემატება 16 კმ, ვერტიკალურმა ზომამ კი მიაღწია დაახლოებით 1.5 გმ. დრუბლის ქვედა საზღვარი იმყოფება 600 მ სიმაღლეზე და თავისი 3 საათიანი არსებობის განმავლობაში არ იცვლება; მისი მაქსიმალური ხედრითი წყლიანობა  $m_{max}=0.21$  გ/კგ, ხოლო მაქსიმალური წყლიანობის დონე  $z$  ( $m_{max}=1000\delta$ ), რაც კარგ თანხვედრაშია მეტეოროლოგიურ მონაცემებთან (Матвеев Л. Т., 1976; Воронцов П. А., 1960). როცა  $t=3$  სთ, დრუბელი ებჯინება ამსფ-ის ზედა საზღვარს, რაც იწვევს თვალის არამდგრადობას.

მაქსიმალური ხედრითი ტენიანობის დონე  $z(q_{max})$  დაახლოებით ემთხვევა მაქსიმალური აღმაგალი დენების დონეს  $z(w_{max})$  იმ დროს, როდესაც მაქსიმალური ხედრითი წყლიანობის დონე  $z(v_{max})$  გაცილებით მაღლა მდებარეობს. ეს შეიძლება აისხნას იმ ფაქტით, რომ, ჯერ ერთი, სინოტივე, როგორც პასიური მინარევი, უფრო მეტად არის დამოკიდებული აღმაგალ დენებზე, ვიდრე წყლიანობა, რომელიც დამოკიდებულია აგრეთვე კონდენსაციის დონეზე, ფარდობით ტენიანობაზე, აგრძელებულის სტრატიფიკაციასა და რიგ სხვა ფაქტორებზე და, მეორეც, დრუბლის განენასთან ერთად ამსფ-ის ზედა ნაწილში, სადაც ფორმირდება იგი, ხედრითი ტენიანობა მცირდება

კონდენსაციის გამო, რაც იწვევს ხვედრითი წყლიანობის გაზრდას (Воронцов П. А., 1960).

განსახილებელი შემთხვევების შედარებიდან (მხედველობაში გვაქს თერმოპიდროდინამიკური ველები) ჩანს, რომ წყლის ფაზური გადასვლების დაწყებიდანვე ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს გამოწვეულია იმით, რომ “ნოტიო” მოდელის შემთხვევაში “მშრალი” მოდელისაგან განსხვავდებით ადგილი აქვს კონდენსაციის ფარული სითბოს გამოყოფას, რის გამოც “ნოტიო” მოდელის თერმოპიდროდინამიკური ველები უ, w, π , ზ გაცილებით ინტენსიურია.

განვიხილოთ ტემპერატურის ველი. ნულოვანი იზოთერმის ზემოთ გვაქს უარყოფითი ტემპერატურა, რომელიც გამოწვეულია აღმავალი ჰაერის ადიაბატური გაცილებით. ორივე შემთხვევაში ნულოვანი იზოთერმის დონე იზრდება დროის განმავლობაში, მაგრამ კონდენსაციის ფარული სითბოს გამოყოფის გამო “ნოტიო” მოდელში ნულოვანი იზოთერმის “ვერტიკალური სიჩქარე” მეტია, ვიდრე “მშრალი” მოდელში (2 საათის განმავლობაში № 1 ვარიანტში ის 200 მ-ით მაღლაა, ვიდრე №2-ში).

განვიხილოთ სიჩქარეთა ველი. სათვლელი არის ქვედა ნაწილში ორივე შემთხვევაში გვაქს ჰაერის შედინება, ზედა ნაწილში კი - კონდენსაციური გამოდინება. კონდენსაციის ფარული სითბოს გამოყოფას შესამჩნევი გავლენა აქვს ამსფ-ის დინამიკაზე: ჰაერის შედინების არე 200 მ-ის სიმაღლემდე ვრცელდება ორივე შემთხვევაში იმ დროს, როდესაც მისი ჰორიზონტალური მანძილი ცენტრიდან 4 კმ-ით ნაკლებია “ნოტიო” მოდელში “მშრალთან” შედარებით; №1 ვარიანტში შედინების მაქსიმალური სიჩქარე 20% - ით მეტია, ვიდრე №2-ში. რაც შეეხება გამოდინების მაქსიმალურ სიჩქარეებს, ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სითბური “კუნძულის” თავზე გვაქს აღმავალი დენები, მის გარეთ კი დაღმავალი. წყლის ორთქლის ფაზური გადასვლების გამო “ნოტიო” მოდელში ”მშრალთან” შედარებით მკვეთრადაა გაზრდილი აღმავალი და დაღმავალი დენების მაქსიმალური სიჩქარე (100 % და 20 % -ით, შესაბამისად); ასევე გაზრდილია  $z(w_{max})$ ; მაქსიმალური დაღმავალი დენების უბანი გადაადგილებულია ამსფ-ის ზევით და ცენტრისაკენ (შესაბამისად, აღმავალი დენების უბანი ვიწროვდება); შეიმჩნევა w-ს მკვეთრი ზრდა სათვლელი არის ზედა საზღვრის ცენტრში, რითიც გარევულწილად აისხება კონდენსაციის ფარული სითბოს უმნიშვნელო გავლენა ჰაერის გამოდინების სიჩქარეზე ამსფ-ის ზედა ნაწილში.

რიცხვითი გქასპერომენტების რეზულტატები შედარებული გვაქს რეალური ამსფ-ისა და მის ფონზე წარმოქმნილი ღრუბლების თერმოპიდროდინამიკურ ველებთან, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ მიღებული რეზულტატები თვისებრივად

დამაკმაყოფილებლად აღწერს განსახილველ პროცესს. ავტორები შემდგომშიც აპირებენ წინამდებარე მოდელის სრულყოფას რიგი ფიზიკური მხარეების გათვალისწინებით (მიკროფიზიკა, ქვეფენილის ტემპერატურის თეორიული განსაზღვრა და ა. შ.)

### **ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА**

1. Амиров А. Д., 1971: Метод расчета полей влажности и температуры в задаче о кучевом облаке. Изв. АН СССР. Физика атмосферы и океана. т.7, №7, стр.723-730.
2. Воронцов П. А., 1960: Аэрологические исследования пограничного слоя атмосферы. Гидрометеоиздат, Ленинград, 451 стр.
3. Гутман Л. Н., 1969: Введение в нелинейную теорию мезометеорологических процессов. Гидрометеоиздат, Ленинград, 295 стр.
4. Матвеев Л. Т., 1976: Курс общей метеорологии. Физика атмосферы. Гидрометеоиздат, Ленинград, 640 стр.

უაკ 551.5

ფენა დრუბლის მოდელირება თერმული "კუნძულის" მუდმივი გათბობისას. /გ. რობიტაშვილი, ჯ. მდინარაძე, ნ. სხირტლაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული. –2009.-გ.114 –გვ.26-32. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ორგანზომილებიანი არასტაციონალური მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენის ფონზე რიცხვითი მეთოდების საშუალებით მოდელირებულია ფენა დრუბელი სითბური "კუნძული" მუდმივი გათბობისას. მიღებულია თერმოპიდოროდინამიკური და ნოტიო ველების სივრცულ-დროითი განაწილება. რიცხვითი გათვალების შედეგები თვისებრივად დამაკმაყოფილებლად აღწერებ განსახილველ პროცესს.

УДК 551.51

**The simulation of an stratus cloud over a thermal “island” at its constant heating.**  
/Geladze G., Robitashvili G., Mdinaradze J., Skhirtladze N./ Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2009. –V.114.-p.26 32.- Georg.; Samm. Georg., Eng., Russ.

The stratus cloud on background of twodimensional nonstationary mesoscale boundary layer of atmosphere at constant heating of thermal “island” was simulated numerically. An space-time distribution of thermohydrodynamical and humidity fields was obtained. The results of the numerical accountss quantitatively satisfactorily describe consider process.

УДК 551.51

**Моделирование слоистого облака над тепловым “островом” при ее постоянном нагреве.** /Геладзе Г. Ш., Робиташвили Г. А., Мдинарадзе Дж. А., Схиртладзе Н. М. / Сб. Трудов Института гидрометеорологии Грузии. –2009. –т.114.-с.26-32.- Груз.; рез. Груз.; Анг.; Русск.

На фоне двухмерного нестационарного мезомасштабного пограничного слоя атмосферы численно смоделировано слоистое облако при постоянном нагреве теплового “острова”. Получено пространственно-временное распределение термогидродинамических и влажностных полей. Результаты численных расчетов качественно удовлетворительно описывают рассматриваемый процесс.

**პიროვნეულობის ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114**

ნ.გეგალიშვილი, ც.რობიჩაშვილი,

ნ. კაპანაძე, მ.ტატიშვილი

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაპ.551.576

**პონდეზტიური ღრუბლის მარგი შემდეგის კოეფიციენტის შეფასება  
თორმოლინამიზური ღრუბლის ბამოყვანებით**

კონვექციური ღრუბლის ჩასახვა-განვითარება და მასში ნალექების წარმოქმნა სხვადასხვა მასშტაბების მქონე მიკრო - და მაკროფოზიკური ფაქტორებით განპირობებულ როგორც პროცესს წარმოადგენს, რაც ამნელებს ღრუბლის მათემატიკურ მოდელებში მათ ერთდროულ გათვალისწინებას. ამიტომ, მოცემულ ნაშრომში დასმული ამოცანის გამარტივებისათვის კონვექციური ღრუბლის ფორმირებაში მონაწილე მხოლოდ მაკროფიზიკურ პროცესებს განვიხილავთ. კერძოდ, შიდამასიური წარმოშობის გროვა ღრუბლის განვითარებისათვის წყლის ორთქლის მარაგთან ერთად საჭიროა ატმოსფეროს არამდგრადი სტრატიფიკაციის შედეგად აღძრული აღმავალი ნაკადების გათვალისწინებაც.

ცნობილია, რომ გროვა ღრუბელში აღმავალი დენების სიჩქარე სიმაღლის მიხედვით იზრდება, აღწევს თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას, ხოლო შემდეგ მცირდება ხულამდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ღრუბლის ქვედა ნაწილში ადგილი აქვს პაერის ნაკადების კონვერგენციას, ხოლო ზედა ნაწილში - დივერგენციას. ღრუბლის კონვერგეციის არეში, კერძოდ, ფუძიდან და გვერდითი ზედაპირიდან შესული წყლის ორთქლი ძირითადად იხარჯება ატმოსფეროს გაჯერებაზე, კონდენსაციის დონეზე წვეთების წარმოქმნაზე და მათ შემდგომ ზრდაზე. პირიქით დივერგეციის არის გაუჯერებელ ატმოსფეროში გადასვლისას წყლის წვეთები და ყინულის კრისტალები ორთქლდებიან, რაც ზრდის ტენიანობას ამ არეში. საღრუბლო ჰაერის ყოველი შემდგომი ნაკადის შემოსვლისას შედარებით მცირე ზომის წვეთები თორთქლდება, რაც ღრუბლის განვითარების იმპულსურ ხასიათს განაპირობებს.

დივერგენციის ზონაში ხდება წვრილი წვეთების გატანა გარემომცველ სივრცეში, სადაც წვეთების ნაწილი ორთქლდება, ნაწილი რჩება და კრისტალიზაციის შემდეგ წარმოქმნის ე.წ. გრდემლს, რომელიც ზრდის ღრუბლის ზედაპირის ფართობს და შესაბამისად ღრუბლის ზედაპირიდან აორთქლებული წყლის მასას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აორთქლების სიჩქარე ნალექის ნაწილაკების რადიუსის უკუპროპორციულია და ნალექების გამოყოფის პროცესში იგი მცირე სიღიდეა, რადგან ძირითადად წვრილი წვეთები ორთქლდება.

ღრუბლის ნალექწარმომქნელი ეფექტურობის, ანუ მისი მქანე განსაზღვრა ღრუბელთა ფიზიკაში ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ამ სიდიდის თეორიული მეთოდებით შეფასება მოითხოვს ღრუბელში მიმდინარე რთული მეზო - და მიკროფიზიკური პროცესების ერთდროულ განხილვას, ხოლო მისი ექსპერიმენტული დადგენა დაკავშირებულია ჰაერის ნაკადებისა და ტენშემცველობის გაზომვებთან კონკრეტული მოცული თავისუფალი ატმოსფეროს საკმაოდ დიდ არეში, აგრეთვე ნალექების გაზომვასთან დედამიწის ზედაპირზე. ასეთი კომპლექსური გამოკვლევების ჩატარების დიდი სიძლელეების გამო აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ შორსაა საბოლოო გადაჭრისაგან, თუმცა გარკვეული შეფასებები ამ მიმართულებით უკავ შესრულებულია. კერძოდ, სხვადასხვა ავტორების [1,2,5] მიერ მიღებული შედეგების მიხედვით ღრუბლის ნალექწარმომქნელი ეფექტურობა სხვადასხვა სინოპტიკური პროცესების დროს 10 - 50%-ის ფარგლებში იცვლება.

წინამდებარე ნაშრომში დასმული ამოცანის მიზანს შეადგენს თერმოდინამიკური მოდელის გამოყენებით განვსაზღვროთ კონვექციური ღრუბლის მქანე, ანუ რაც იგივეა, შევაფასოთ თუ ღრუბელში შესული წყლის რა ნაწილი გამოიყოფა ნალექის სახით.

ღრუბელში შესული წყლის ორთქლის რაოდენობის გამოსათვლელად საჭიროა აეროლოგიური ზონდირების საშუალებით განვსაზღვროთ აღმავალი დენის სიჩქარე, როგორც კოორდინატებისა და დროის ფუნქცია და ასევე მოცემულ არეში ტენიანობის განაწილება სიმაღლის მიხედვით.

ცნობილია, რომ კონვექციური ღრუბლის გამარტივებული, ღერძულად სიმეტრიული მოდელისათვის, როდესაც  $\alpha = \gamma = \sigma > 0$ , ვერტიკალური ტურბულენტობის უგულებელყოფის შემთხვევაში აღმავალი ნაკადის სიჩქარის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი სახით [4]:

$$w = \frac{W_m}{Z_m} z \exp(-\alpha_1 r^2), \quad (1)$$

სადაც  $W_m$ -ვერტიკალური სიჩქარის მაქსიმალური სიდიდეა  $Z = Z_m$  დონეზე,  $\alpha_1$ -ემპირული კოეფიციენტია,  $r$  და  $z$  - შესაბამისად რადიალური და ვერტიკალური კოორდინატებია.

მაშინ უწყვეტობის განტოლება

$$\frac{\partial u \rho}{\partial r} + \frac{\partial w \rho r}{\partial z} = 0, \quad (2)$$

საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ რადიალური სიჩქარე. რადგან წყლის ორთქლის უძებესი ნაწილი თავმოყრილია ატმოსფეროს ქანდა ფენაში ( $Z_m \leq 6\delta$ ), შეგვიძლია დაგუშვათ, რომ ჰაერის სიმკვრივე  $\rho = \text{const}$ , რის შემდეგადაც ვღებულობთ:

$$u = -\frac{W_m}{2\pi Z_m \alpha_1} \left( 1 - e^{-\alpha_1 r^2} \right). \quad (3)$$

როცა  $r \rightarrow \infty$ ,  $e^{-\alpha_1 r^2} \rightarrow 0$  და პირობითად დრუბლის საზღვრად ვიღებთ იმ იზონებაპირს, სადაც აღმაგალი დენის სიჩქარე  $w=1\text{m}/\sqrt{\text{წ}}$ .

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გროვა დრუბლის პვება წარმოებს როგორც ფუძიდან, ისე გვერდითი ზედაპირიდან  $z_k \leq z \leq z_m$  არეში, სადაც  $z_k - z_m$  დენის სიმაღლეა.  $R$  რადიუსიან წრიული ცილინდრის ფორმის დრუბელში შესული წყლის ორთქლის რაოდენობა შეიძლება გამოთვლილ იქნას შემდეგი ფორმულით;

$$Q = 2\pi \int_0^R \int_0^{z_k} \left( \int_z^{z_k} \rho(z) q(z) w(r, z, t) dz + \int_{z_k}^{z_m} \rho(z) q(z) u(r, z, t) dz \right) r dr dt, \quad (4)$$

სადაც  $q(z)$  ხვედრითი ტენიანობაა ( $\text{გ}/\text{გ}$ ). თუ განვიხილავთ დრუბლის ერთეულოვანი ფართობის ხვეტს და ჩავთვლით, რომ მისთვის  $u \rightarrow 0$ , ხოლო აეროლოგიური დიაგრამიდან განვხაზდგრავთ  $w(z)$ , მაშინ (4) ფორმულით შესაძლებელია შევაფასოთ დრუბლის ერთეულოვან ფართში შესული წყლის ორთქლის რაოდენობა. იმავე მიზნებს ემსახურება [1-4]-ში მოცემული  $Q$ -ს გამოსათვლელი ფორმულა:

$$Q_1 = \frac{Q}{\pi r^2} = \frac{\left( p_k - p_m \right) \bar{q}(\gamma - \gamma_s)}{g(\gamma - \gamma_b)}, \quad (5)$$

სადაც  $\gamma$ - ტემპერატურის გერტიკალური გრადიენტია,  $\gamma_b$ -ნოტიო ადიაბატური გრადიენტი,  $\bar{q}$  ხვედრითი ტენიანობის საშუალო მნიშვნელობა დონეთა  $0-z_m$ -ზე შეალებულია,  $p_k - p_m$  კი  $z_k - z_m$  დონეებს შორის წნევათა სხვაობა ( $\text{ნ}/\text{მ}^2$ ), ხოლო  $[1,2,4]$  შრომების მიხედვით

$$\gamma_s = \gamma_b - 0.65(\gamma_{\text{მაქ}} - \gamma_b) \left( 1 - \sqrt{\frac{\gamma_{\text{მაქ}} - \gamma_1}{\gamma_{\text{მაქ}} - \gamma_b}} \right). \quad (6)$$

(5) გამოსახულებით კარგად აღიწერება შიდამასიური პროცესების დროს კონვექციაში ჩართული წყლის ორთქლის რაოდენობა. თუ მოცემულ ფორმულაში გავითვალისწინებთ  $\gamma$  და  $p$ -ს დროში ცვლილებას, მაშინ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება ფრონტალური პროცესების შემთხვევაშიც.

დრუბლის მარგი ქმნდების კოეფიციენტის გამოთვლისათვის საჭიროა განისაზღვროს ერთეულოვან ფართობზე მოსული ნალექების რაოდენობა. კონვექციური ნალექების ლოკალური ხასიათის გამო, მათი დადგენა მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემთა საფუძველზე თითქმის შეუძლებელია. აქედან გამომდინარე გროვა დრუბლიდან მოსული ნალექების რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს გასხირებული ნალექმომი ქსელით დაფარულ სპეციალურად გამოყოფილ პოლიგონზე. მსგავსი ქსელით მიღებული ნალექების განალიზების საფუძველზე ნალჩიკის მაღალმთიან გეოფიზიკურ ინსტიტუტში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგად დადგინდა კაშირი

დრუბლის ერთეულოვან ფართობში შესული წყლის რაოდენობასა და ერთეულოვან ფართობზე მოსულ ნალექებს შორის [1, 2]. კერძოდ, მიღებული იქნა, რომ

$$Q_6 = 0.522 Q_1^{0.83}, \quad (7)$$

საიდანაც მარგი ქმედების კოეფიციენტისთვის ვდებულობთ:

$$\eta = 0.522 Q_1^{-0.17} \quad 100\%, \quad (8)$$

სადაც  $Q_1$  გამოითვლება (5) და (6) ფორმულებით.

გარდა ამისა, დრუბლის მქე-ს განსაზღვრა შესაძლებელია ნალექთა რაოდენობის საპროგნოზო მეთოდის გამოყენებით [6], რომელშიც განხილული სქემისაგან განსხვავებით გათვალისწინებულია როგორც სინოპტიკური პროცესების თავისებურება, ასევე დინამიკური და ტურბულენტური შერევა. ამ შემთხვევაში დრუბელში კონდენსირებული წყლის რაოდენობის დასადგენად ისევ შეიძლება გამოვიყენოთ თერმოდინამიკური კანონები (5), ხოლო მოსულ ნალექთა რაოდენობის გამოსათვლელად – აეროლოგიური დიაგრამის დახმარებით შედგენილი მოკლევადიანი პროგნოზის მონაცემები.

იმისათვის, რომ შეგვეხმოვმებინა თერმოდინამიკური მოდელით და მოკლევადიანი პროგნოზით მიღებული მქე-ის მნიშვნელობები მის შესაძლო მაქსიმალურ მნიშვნელობასთან შედარებით, გამოთვლილი იქნა ეს მაქსიმალური მნიშვნელობა, რისთვისაც დრუბელი განხილული იქნა როგორც სითბური ძრავა, სადაც გამათბობლის როლს ასრულებს დრუბელში მიმდინარე პროცესები. მაშინ დრუბლის როგორც გამათბობლის ტემპერატურა ტოლია აღმავალი ნაკადის ტემპერატურის საწყისი მნიშვნელობისა, ხოლო მაცივრის ტემპერატურა კი განისაზღვრება დაღმავალი ჰაერის ტემპერატურით, ე.ი.

$$\eta = \frac{\frac{T}{T_o}}{\frac{T}{T_o}} \quad 100\%. \quad (9)$$

სადაც  $T$  კონვექციური არამდგრადი ფენის ქვედა საზღვრის აბსოლუტური ტემპერატურაა, ხოლო  $T_o$ -დრუბლის ზედა საზღვრის აბსოლუტური ტემპერატურა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული მდლაგრი კონვექციური დრუბლებისათვის შერჩეული იქნა 10 აეროლოგიური ზონდის მონაცემები და განხილული სამივე მეთოდით განისაზღვრა მქე-ის მნიშვნელობები, რომლებიც მოცემულია ცხრ.1-ში. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველა განხილულ შემთხვევაში სრულდება პირობა მაქს. > 70° და მაქს. > 75°, ფარგლებითი სხვაობა მაქს და 70°-ს შორის იცვლება 4-35%-ის ფარგლებში და საშუალოდ იგი 17 %-ს შეადგენს, ხოლო მაქს. და მაქ-ს შორის სხვაობისათვის შესაბამისი მნიშვნელობებია 10-50% და 21%.

მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ნალექთა ხელოვნური რეგულირების (გაზრდის) თვალსაზრისით გროვა-საწყიმარ ღრუბელში მიკროფიზიკური პროცესების დაჩქარება მიზანშეწონილია მანამ, სანამ ღრუბელი გადავა სტაციონალურ მდგომარეობაში. ღრუბლის განვითარების პროცესში მასზე მაკრისტალზებელი ნივთიერებით აქტიური ზემოქმედების დროს გამოყოფილი სითბური ენერგიის ხარჯზე გაიზრდება ღრუბლის ვერტიკალური სიმძლავრე და მოცულობა და შესაბამისად მასში კონდენსირებული წყლის რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს ღრუბლის მქენის მაქსიმალურ მნიშვნელობასთან მიახლოებას. ამასთან ერთად ნალექის გამოყოფის პროცესის დაჩქარება გამოიწვევს ღრუბლის პერიფერიული ნაწილიდან აორთქლებული წყლის რაოდენობის შემცირებას და შესაბამისად, ღრუბლის მქენის დამატებით გაზრდას.

ცხრილი 1.შიდამასიური ღრუბლის მქენის გამოთვლილი მნიშვნელობები

№	ზონდირების პუნქტი	ზონდირების თარიღი	მქე %		
			η თერმოდ.	η პროგნ.	η მაქ.
1.	თბილისი	25.07.1996	32.0	17.0	33.2
2.	თეთრიწყარო	14.06.1974	23.0	26.7	35.3
3.	თეთრიწყარო	6.06.1977	28.8	27.8	35.5
4.	თეთრიწყარო	2.06.1983	30.0	28.8	32.1
5.	თეთრიწყარო	19.06.1983	31.0	29.0	33.5
6.	თეთრიწყარო	20.06.1983	27.0	26.4	32.4
7.	რუისპირი	18.09.1977	24.0	28.2	31.1
8.	რუისპირი	23.05.1979	24.5	26.5	33.4
9.	რუისპირი	24.06.1979	25.0	28.8	35.5
10.	რუისპირი	5.09.1979	26.0	27.0	35.7

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Сулаквелидзе Г.К., Сулаквелидзе Я. Г. Термодинамика тропосферы. Часть I. Изд. Тбилисского Государственного Университета. Тбилиси, 1980.
2. Сулаквелидзе Я. Г. Ливневые осадки в горных странах на примере Закавказья. Изд. Тбилисского Государственного Университета. Тбилиси, 1988.
3. Матвеев Л. Т. Общая метеорология. Физика атмосферы. Л., Гидрометеоиздат, 1984.
4. Шишкин Н.С. Облака, осадки и грозовое электричество. Л., Гидрометеоиздат, 1964.
5. Шметер С.М. Термодинамика и физика конвективных облаков. Л. Гидрометеоиздат, 1987.

6. Руководство по краткосрочным прогнозом погоды. Часть I.Л.  
Гидрометеоиздат, 1986.

უაკ.551.576

ქონვექციური დრუბლის მარგი ქმედების პოტენციენტის შეფასება ოქრ-  
მოდინამიკური მოდელის გამოყენებით./ნ. ბეგალიშვილი, გ. რობიტაშვილი, 6.  
კაპანაძე, მ.ტატიშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული. -2009 .-ტ.114.-გვ.33-38. -  
ქართ.; რეზ. ქართ.; ინგ.; რუს.

ემპირიული ოქრმოდინამიკური მოდელის გამოყენებით განსაზღვრულია  
აღმოსავალე საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული კონვექციური  
დრუბლების მქა. მიღებული მნიშვნელობების დასაზუსტებლად იგივე კონ-  
ციციენტი გამოოვლილია ნალექთა მოკლევადიანი პროგნოზის მეორდიკის  
საფუძველზე. მქა-ის ორივე მეორდით მიღებულ მნიშვნელობათა შესადა-  
რებლად მის მაქსიმალურ სიდიდესთან რადიოზონდირების მასალების გამო-  
ყენებით გამოოვლილი იქნა მქა-ის მაქსიმალური მნიშვნელობები. სხვადასხვა  
მეორდით გამოოვლილი მქა მნიშვნელობები იცვლება 17-დან 36%-მდე და  
საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 30%.

UDC 551.576

**Assessment of convective cloud efficiency using the thermodynamic model.**  
/N.Begalishvili, G.Robitashvili, N.Kapanadze, M.Tatishvili/. Transactions of the Georgian  
Institute of Hydrometeorology. 2009. -V.114.-p.33-38.- Georg.; Samm. Georg., Eng., Russ.  
The efficiency of convective clouds developing over the territory of Eastern Georgia is  
determined using an empirical thermodynamic model. To verify the obtained results the  
same value is calculated on the basis of precipitation short-range forecast method, and to  
compare both these results with maximum possible values the maximum efficiency has been  
defined applying air-sounding data. The values of efficiency calculated by different methods  
vary between 17 and 36% making about 30% on the average.

УДК 551. 576.

**Оценка коэффициента полезного действия конвективного облака с помощью  
термодинамической модели.** /Н.А.Бегалишвили, Г.А.Робиташвили, Н.И.Капанадзе,  
М.Р.Татишвили/. Сб. Трудов Института гидрометеорологии Грузии. -2009. -т.114.-  
с.33-38 .- Груз.; рез. Груз.; Анг.; Русск.

С помощью эмпирической термодинамической модели определен к.п.д конвективных  
облаков, развивающихся на территории Восточной Грузии. Для уточнения  
полученных значений к.п.д. те же величины рассчитаны на основе методики  
краткосрочного прогноза осадков. Для сравнения, полученных разными методами  
данных с максимально возможными значениями, максимальные к.п.д. были опре-  
делены с помощью материалов радиозондирования. Значения к.п.д., рассчитанные по  
различным методам, изменяются от 17 до 36 %, составляя в среднем 30 %.

პირველი გამოცემის ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
**TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114**  
**ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114**

მ.ტატიშვილი, ნ.ბეგალიშვილი

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.576

**ნალექარმოშნის უზექტურობის გამოკვლევის ზოგიერთი  
 შედეგი პროცეციური დოკუმენტის ანალიზი  
 მოღვაწის გამოყენებით**

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კონვექციური დრუბლის გამარტივებული სივრცულად ერთგაროვანი მოდელი, რომელიც წარმოადგენს თხევადი და მყარი ნალექების ჩანასახების –შედარებით მცირე ზომის წყლის წვეთებისა და ყინულის კრისტალების ერთობლიობას. ამ ნაწილაკთა შემდგომი გამსხვილება და ნალექების ფორმირება მათი კოაგულაციური ზრდით მიმდინარეობს. ორკომპონენტიანი დისპერსული გარემოსათვის, როგორიცაა დრუბლის წვეთების და ყინულის კრისტალების ერთობლიობა, კოაგულაციის კინეტიკის განტოლებათა სისტემას, თუ მათში დამატებით არსებობს ნაწილაკთა წყაროები, აქვს შემდეგი სახე [1]:

$$\begin{aligned} \frac{\partial n_1(V,t)}{\partial t} = & -n_1(V,t) \int_0^\infty \sigma_{11}(V,U) n_1(U,t) dU - n_1(V,t) \int_0^\infty \sigma_{12}(V,U) n_2(U,t) dU + \\ & + \frac{1}{2} \int_0^V \sigma_{11}(V-U,U) n_1(V-U,t) n_1(U,t) dU + \frac{M}{1-LN_2(0)} n_1(V,t), \end{aligned} \quad (1)$$

$$\begin{aligned} \frac{\partial n_2(V,t)}{\partial t} = & -n_2(V,t) \int_0^\infty \sigma_{21}(V,U) n_1(U,t) dU + \int_0^V \sigma_{21}(V-U,U) n_2(V-U,t) n_1(U,t) dU + \\ & + LN_2(t) n_2(V,t). \end{aligned} \quad (2)$$

განტოლებათა სისტემა აკმაყოფილებს შემდეგ საწყის პირობებს:

$$n_1(V,t)=n_1(V,0),$$

$$n_2(V,t)=n_2(V,0), \quad \text{როცა } t=0,$$

(3)

სადაც  $n_1(V,0)$ ,  $n_2(V,0)$  ცნობილი ფუნქციებია. ბოლო წევრები (1)-(2) განტოლებათა სისტემაში წარმოადგენენ ნაწილაკთა წყაროებს. LM, მუდმივი სიღილეებია, რომლებიც არეგულირებენ სისტემაში ნაწილაკების შესვლას ან გამოსვლას. აღნიშნული განტოლებათა სისტემის ანალიზური ამოხსნები მოყვანილია [1] შრომაში.

(1)-(2) განტოლებათა სისტემის ანალიზური ამოხსნების საშუალებით და ამოცანის საწყის პირობებზე დამოკიდებულებით, თხევადი და მყარი ნალექების წარმოქმნის ეფექტურობის გამოკვლევითვის პირობითად შემოდგეულია  $V_1$  და  $V_2$ . ხოლო მათი საშუალებით განისაზღვრება ნალექწარმოქმნის ეფექტურობის დამახასიათებელი კოეფიციენტები:

$$\begin{aligned}
K_1 &= \frac{W'(V_{1,t})}{W_1(t)+W_2(t)}, & K_3 &= \frac{W'_1(V_{1,t})+W'_2(V_{2,t})}{W_1(t)+W_2(t)}, \\
K_2 &= \frac{W'_2(V_{2,t})}{W_1(t)+W_2(t)}, & K_{32} &= \frac{W'_1(V_{1,t})+W'_{22}(V'_{2,t})}{W_1(t)+W_2(t)}, \\
K_{22} &= \frac{W'_{22}(V'_{2,t})}{W_1(t)+W_2(t)}, & K_4 &= K_1 + K_{22} - K_2.
\end{aligned} \tag{4}$$

$K_{12}$ -ღდწერს წვიმის წარმოქმნის ეფექტურობას;  $K_2$ -კრისტალების (სეტყვის ნაწილაკების) წარმოქმნის ეფექტურობას;  $K_{22}$ -კრისტალების (სეტყვის ნაწილაკების) და ხორხოშელას წარმოქმნის ეფექტურობას;  $K_3$ -წვიმის და სეტყვის წარმოქმნის ეფექტურობას;  $K_{32}$ -წვიმის, სეტყვის და ხორხოშელას წარმოქმნის ეფექტურობას;  $K_4$ -თხევადი ნალექის (წვიმა, ხორხოშელა) წარმოქმნის ეფექტურობას.  $W_{1,2}$  წარმოადგენს წყლიანობას და ყინულოვნობას შესაბამისად.

გამოთვლები ჩატარდა წვეთების და კრისტალების სხვადასხვა საწყისი სპექტრებისა და სიმძლავრის წყაროებისთვის

წყაროების დასახასიათებლად შემოტანილია ორი მარეგულირებელი პარამეტრი:

$$n = \frac{N_2(t_0)}{N_2(0)} = \frac{1}{1 - LN_2(0)t_0}, \tag{5}$$

$$n' = \frac{W_1(t_0)}{W_1(0)} = \frac{(1 - LN_2(0)t_0)^K}{\exp(-\sigma_1 t_0)}, \tag{6}$$

სადაც  $n$  შეესაბამება ღრუბელში სეტყვის წარმოქმნის დროს-15წთს.  $N_2(0), W_1(0)$  წარმოადგენებ კრისტალების კონცენტრაციას და წყლიანობას დროის საწყის მომენტში, როცა წყაროების მოქმედება ჯერ კიდევ არ ვლინდება.  $n, n'$  უჩვენებენ დროის ფიქსირებული მომენტისთვის როგორ შეიცვალა (გაიზარდა ან შემცირდა) წყლიანობა და კრისტალების კონცენტრაცია საწყის მომენტთან შედარებით, ანუ იმ მნიშვნელობებთან შედარებით, რომელიც მათ ექნებოდათ წყაროების არარსებობის შემთხვევაში.

ამოცანის საწყისი მონაცემებისათვის, რომლებიც მოცემულია ცხრილ 1-ში, განხილული იყო ორი შემთხვევა სხვადასხვა სიმძლავრის წყაროსათვის: 1)  $n=2, n'=10$ ; 2)  $n=10, n'=2$ ;

ცხრილი 1. ამოცანის საწყისი მონაცემები

$N_1(0)\delta^3$	$W_1(0)\delta/b\delta^3$	$N_2(0) b\delta^3$	$W_2(0) \delta/b\delta^3$
$2.9*10^{-1}$	$1*10^{-6}$	$5*10^{-4}$	$2.1*10^{-12}$
$3.0*10^{-1}$	$1*10^{-5}$	$6*10^{-5}$	$2.0*10^{-12}$
$3.4*10^{-2}$	$2*10^{-5}$	$5*10^{-5}$	$2.6*10^{-11}$
$1.2*10^{-2}$	$5*10^{-5}$	$2*10^{-5}$	$2.8*10^{-10}$

გამოთვლებიდან დადგინდა, რომ ამოცანის საწყის პირობებზე და-  
მოკიდებულებით სისტემაში არსებული წყლიანობა გარკვეული თა-  
ნაფარდობით გადანაწილდება კრისტალებზე და წვეთებზე. წვეთების  
წყაროს მოქმედებით იზრდება როგორც თხევადი ნალექების რაოდე-  
ნობა, ასევე სეტყვისაც. ხოლო კრისტალების წყაროს მოქმედება  
ზრდის უპირატესად სეტყვის კონცენტრაციასა და ყინულოვნობას.


ყოველი სიმძლავრის წყაროსათვის არსებობს კრისტალების საწ-  
ყისი კონცენტრაციის ისეთი მნიშვნელობა, როცა სეტყვის რაოდე-  
ნობა მაქსიმალურია და შესაბამისად წვიმის-მინიმალური. ზოგიერთი  
საწყისი პირობისთვის ევლუციის შედეგად ჩამოყალიბებული წვე-  
თების და კრისტალების სპექტრები ირმოდადურია.

პირველი შემთხვევისთვის, როცა საწყისი წყლიანობა იყო  $1 \cdot 10^{-6}$   
და  $1 \cdot 10^{-5}$  სმ<sup>3</sup>, კრისტალებისთვის კრიტიკული აღმოჩნდა საწყისი  
კონცენტრაციების შემდეგი მნიშვნელობები:  $5 \cdot 10^{-4}$  და  $6 \cdot 10^{-5}$  სმ<sup>3</sup>;  
ხორხოშელასთვის -  $5 \cdot 10^{-4}$  სმ<sup>3</sup>. როცა საწყისი წყლიანობა იყო  $5 \cdot 10^{-5}$   
სმ<sup>3</sup> და კრისტალების საწყისი კონცენტრაცია შეადგენდა  $2 \cdot 10^{-5}$  სმ<sup>3</sup>-ს,  
წვეთების კონცენტრაცია ყოველოვის მცირდება.


მეორე შემთხვევისთვის, კრისტალების კრიტიკული კონცენტრა-  
ციაა  $6 \cdot 10^{-5}$  სმ<sup>3</sup>, ხორხოშელასთვის  $5 \cdot 2 \cdot 10^{-5}$  სმ<sup>3</sup>. წვეთებისათვის, როცა  
საწყისი წყლიანობის მნიშვნელობა შეადგენდა  $10^{-6}$  გ/სმ<sup>3</sup>, კრიტიკული  
აღმოჩნდა კრისტალების კონცენტრაციის  $5 \cdot 10^{-4}$  სმ<sup>3</sup> მნიშვნელობა.

საწყის პირობებზე დამოკიდებულებით ნალექწარმოქმნის ეფექტუ-  
რობის კოეფიციენტები დროში სხვადასხვანაირად იცვლებიან. ნახა-  
ზებზე მოცემულია მათი დროზე დამოკიდებულება ოთხი საწყისი  
პირობისათვის ზემოთ მითითებულ ორ შემთხვევაში.


გამოთვლის შედეგების გათვალისწინებით შეიძლება გაპეთდეს  
შემდეგი დასკვნები: არსებობს კრისტალების საწყისი კონცენტრაციის  
 $N_2(O)$ -ის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობა, რომ მასზე ნაკლები  
კონცენტრაციებისათვის ყინულის კრისტალები იზრდებიან სეტყვის  
საშიშ ზომებამდე, ხოლო მასზე უფრო დიდი კონცენტრაციების შემ-  
თხვევაში, ხდება სეტყვის ზომების შემცირება. წვეთების სხვადასხვა  
სიმძლავრის წყაროს მოქმედება იწვევს ამ კრიტიკული მნიშვნელო-  
ბის გაზრდას, ხოლო კრისტალების წყარო-მის შემცირებას. სხვა-  
დასხვა საწყის პირობებზე დამოკიდებულებით კრისტალების სპექტ-  
რი ორმოდადურია, რაც შეიძლება აიხსნას გადაცივებულ დიდ წვე-  
თებთან მათი კოაგულაციური ზრდით. წვეთების წყაროს სიძლიერის  
გაზრდა ხელს უწყობს წვიმის მატებას, ასევე დიდი ზომის კრის-  
ტალების და ხორხოშელას წარმოქმნას და მათი კონცენტრაციების  
ზრდას. წვეთების სპექტრიც ზოგიერთი საწყისი პირობის შემთ-  
ხვევაში, ასევე ორმოდადურია.




$k_1$ -ს დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის როცა  $n=2$ ,  $n'=10$ .




$k_3$ -ს დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის როცა  $n=2$ ,  $n'=10$ .




$k_2$ -ს დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის, როცა  $n=2$ ,  $n'=10$




$k_{22}$ -ს დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის, როცა  $n=2$ ,  $n'=10$



$k_3$ -ს წარმოქმნის ეფექტურობის დროზე დამოკიდებულება, 4 საწყისი პირობისთვის, როცა  $n=10, n'=2$



$k_{22}$ -ს წარმოქმნის ეფექტურობის დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის, როცა  $n=10, n'=2$



კრისტალების წარმოქმნის ეფექტურობის დროზე დამოკიდებულება 4 საწყისი პირობისთვის, როცა  $n=10, n'=2$

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ნ.ბეგალიშვილი, მ.ტატიშვილი. ორკომპონენტიანი დისპერსული გარემოსთვის კოაგულაციის კინეტიკის გამოკვლევა ნაწილაკთა წეროების გათვალისწინებით. თბილისის გეოფიზიკური თბისერვატორიის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული. თბილისი, „მეცნიერება“, 1997.

უაკ 551.576

**ნადექტარმოქმნის ეფექტურობის გამოქვლევის ზოგიერთი შედეგი ქონვექციური დრუბლის ანალიზური მოდელის გამოყენებით./მ.ტატიშვილი, ნ.ბეგალიშვილი /.** პმი-ს შრომათა კრებული. –2009.-ტ.114 –გვ.39-45. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია კონვექციურ დრებულში თხევადი და მყარი ნალექების ფორმირება კოაგულაციის კინეტიკური მოდელის ანალიზური ამონების საშუალებით სხვადასხვა საწყისი პირობების შემთხვევაში სადრუბლო ნაწილაკთა წყაროების გათვალისწინებით. გამოთვლების შედეგები წარმოდგენილია გრაფიკულად. დადგენილია ყინულის კრისტალების საწყისი კონცენტრაციის კრიტიკული მნიშვნელობები საღრუბლო ნაწილაკთა სხვადასხვა სპეცირისათვის. კრიტიკულ მნიშვნელობაზე ნაკლები საწყისი კონცენტრაციების შემთხვევაში აღინიშნება “საშიში” ზომების სეტყვის ნაწილაკების წარმოქმნა და ზრდა, თხევადი ნალექების შემცირება. კრიტიკულზე მეტი კონცენტრაციების შემთხვევაში -“საშიში” ზომების სეტყვის ნაწილაკები მცირდება, შესაბამისად წვიმის რაოდენობა მატულობს.

UDC 551.576

**On the some investigation results of precipitatipon efficiency using analytical model of convective cloud./M.Tatishvili, N.Begalishvili/ Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2009. –v.114,-p.39-45.-Georg.-Summ. Georg., Ing., Russ.**

In the report there has been discussed the formation of liquid and solid precipitations growth processes in convective cloud using analytical solutions of kinetic model of coagulation considering cloud particle sources for different initial conditions. The calculation results were presented graphically. The initial critical values of ice crystals have been identified for a range of spectra of cloud particles. In case of initial concentrations less than critical ones the formation and growth of “dangerous” size hail particles and decreasing of liquid precipitations have been detected. When concentrations were above critical values the “dangerous” size hail particles have been reduced and rain amount increased accordingly.

УДК 551. 576.

**Некоторые результаты исследования эффективности осадкообразования с использованием аналитической модели конвективного облака./М.Татишили, Н.Бегалишвили/ сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузиию –2009.-т.114- с-39-45, -Груз. рез. Груз., Анг., Русск.,**

В работе исследован процесс формирования жидких и твердых осадков в кучевом облаке с помощью аналитических решений кинетической модели коагуляции для различных начальных условий, с учётом источников облачных частиц. Результаты вычислений представлены графически. Установлены начальные критические значения концентрации ледяных кристаллов для различных спектров облачных частиц. При начальных концентрациях ниже критического значения отмечается формирование и рост градовых частиц «опасных» размеров, уменьшение количества жидких осадков. При концентрациях выше критического-концентрация града «опасных» размеров уменьшается, соответственно увеличивается количество дождя.

**პირველი გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, OL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114**

გელაძე გ., რობიტაშვილი გ.  
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
სხირტლაძე ნ.

თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი  
უავ 551.51

**ღრუბელ- და ნისლარმორმანის მოდელირება ატმოსფეროს  
მარტინაშვალშვრ სასაზღვრო ზენაზი**

განვიხილოთ ატმოსფეროს მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენაში (ამსფ) ღრუბელ და ნისლარმორმანის პროცესი სითბური "კუნძულის" პერიოდული გათბობის დროს (აქეთია დაახლოებით ტემპერატურის დღე-დამური სვლა). საბაზო განტოლებები, საწყისი და სასაზღვრო პირობები იგივეა, რაც (გელაძე გ. შ. და სხვ., 2008)-ში.

განვიხილოთ აქეთი შემთხვევა (ვარიანტი № 1):

ფარდობითი ტენიანობა  $f = 0.95$ , ატმოსფეროს სტრატიფიკაცია  $S=0.005$  გრად/მ, ხოლო ქვევენილის ტემპერატურა

$$F(x,t) = \begin{cases} 0 & 0 \leq x \leq 32\text{km}, \quad 48\text{km} < x \leq 80\text{km}, \\ 5\sin \omega t & 32\text{km} \leq x \leq 48\text{km}, \end{cases}$$


სადაც ვ დედამიწის დღე-დამური ბრუნვის კუთხური სიჩქარეა.

კონტროლის სახით მოვიყენოთ (გელაძე გ. შ. და სხვ., 2008)-ში განხილული "ნორი" მოდელი, ვარიანტი № 2, რომელიც №1 ვარიანტისაგან განსხვავდება მხოლოდ ქვევენილის ტემპერატურით (თერმული "კუნძულის" მუდმივი გათბობა):


$$F(x,t) = \begin{cases} 0 & 0 \leq x \leq 28\text{km}, \quad 52\text{km} \leq x \leq 80\text{km}, \\ 5 & 28\text{km} \leq x \leq 32\text{km}, \quad 48\text{km} \leq x \leq 52\text{km} \\ 10 & 32\text{km} \leq x \leq 48\text{km} \end{cases},$$

ვარიანტი №1, №2-ისაგან განსხვავდებით გვაძლევს საშუალებას, ერთის მხრივ, განვიხილოთ უფრო მეტად რეალური მეტეოროლოგიური (მხედველობაში გვაქს ტემპერატურის დღე-დამური სვლა) და, მეორეს მხრივ, ჩავატაროთ ნისლისა და ფენა ღრუბლის ევოლუციის სრული ციკლის (ჩასახვა, განვითარება და დაშლა) მოდელირება.

ნახ.1 და 2 მოცემულია მაქსიმალური წყლიანობის ( $v_{max}$ ), მაქსიმალური წყლიანობის ღონის ( $z (v_{max})$ ), ღრუბლისა და ნისლის ზედა და ქვედა საზღვრების დროზე ფუნქციონალური დამოკიდებულება. ღრუბელი წარმოიქმნება ჰაერის მასების აღმავალი დენების შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს ქვევენილის გათბობისას (დღის საათები), ნისლი კი - მისი გაციების შედეგად (დამის საათები). ბუნებრივია, მოდელირებული ნისლი მიეკუთვნება რადიაციულს.



ნახ.1. ღრუბლისა და ნისლის  $m_{\max}$ -ის ფუნქციონალური დამოკიდებულება სხვადასხვა ფონური ტემპერატურებისათვის (ვარიანტი №1). 1 - როცა  $z=0$ ,  $T=300K^{\circ}$ ; 2- როცა  $z=0$ ,  $T=290K^{\circ}$ .



ნახ.2.  $z(m_{\max})$ -ის, ღრუბლისა და ნისლის ზედა და ქვედა საზღვრების ფუნქციონალური დამოკიდებულება დროზე (ვარიანტი №1). 1 - ნისლის  $z(m_{\max})$ ; 2 - ნისლის ზედა საზღვარი, 3 - ღრუბლის ზედა საზღვარი, 4 - ღრუბლის ქვედა საზღვარი, 5 - ღრუბლის  $z(m_{\max})$ .

ღრუბელი ჩაისახება  $t=3$  სთ-ზე (ფიზიკური დრო იგულისხმება და არა ასტრონომიული), თავის მაქსიმალურ სიმძლავრეს ( $m_{\max}=1,7g/\text{გბ}$ ) აღწევს  $t=9$  სთ-ზე (მრუბი 1), ხოლო  $t=12$  სთ-ზე ის იშლება. ნისლი ჩაისახება  $t=14$  სთ-ზე, თავის მაქსიმალურ სიმძლავრეს ( $m_{\max}=1,3g/\text{გბ}$ ) აღწევს  $t=18$  სთ-ზე, ხოლო  $t=24$  სთ-ზე განიძნევა. ამრიგად, ღრუბელი არსებობს 9 სთ-ის, ხოლო ნისლი 10 სთ-ის განმავლობაში.

ღრუბლის ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრები, როგორიცაა  $m_{\max}$ ,  $z(m_{\max})$ , ღრუბლის ქვედა და ზედა საზღვრები დროის მიხედვით სინქრონულად იცვლებიან. რაც შეეხება ნისლის  $z(m_{\max})$  და ნისლის ზედა საზღვარს, ისინი დროის მიხედვით არ იცვლებიან. ღრუბლის  $m_{\max}$ ,  $z(m_{\max})$  დროზე დამოკიდებულების გრაფიკებიდან ჩანს, რომ ისინი (მათი მრუბები) "ჩამორჩებიან" დროში იმ დროს, როდესაც ნისლის  $m_{\max}$  გრაფიკს ასეთი ჩამორჩენა არა აქვს. ბუნებრივია, ეს გამოწვეულია იმით, რომ ნისლი ახლოა ქვეფანილთან. ადსანიშნავია, რომ ამ ჩამორჩენის დროისა და ღრუბლის სიმაღლის საშუალებით შეიძლება მიახლოებით შევაფასოთ პაერის აღმავალი დენების სიჩქარე.

ნისლის ზედა საზღვარი არის 400 მ-ზე, ხოლო მაქსიმალური წყლიანობა  $m_{max}=1,3$  გ/კბ, რაც კარგ თანხვედრაშია მეტეორონაცემებთან (Воронцов П. А., 1960, Матвеев Л.Т., 1976). რადიაციულ ნისლში, განსხვავებით ადგექციურისაგან,  $z(m_{max})$  თავის განვითარების საწყის სტადიაზე არის ქვეფენილის ზედაპირზე, მაგრამ უკვე განვითარებულ ნისლში მისი დონე იწევს მაღლა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩამოყალიბებულ ნისლში ციფები არა ქვეფენილის ტემპურაზე, არამედ თვით ნისლის ზედა ნაწილი, რაც აძლიერებს ნისლწარმოქმნას სწორედ ამ ნაწილში. ჩვენი მოდელი ამ ფაქტს ვერ აღწერს, რაც გამოწვეულია ამოცანის დასმაში რიგი ისეთი ფიზიკური პროცესების უგულებელყოფით ან არასრულყოფილი გათვალისწინებით, როგორიცაა კვაზისტაციონარული ქვეშრე, ქვეფენილის რადიაციული რეჟიმი, რიცხვითი სქემის დიდი ვერტიკალური ბიჯი.

ქვეფენილის როგორც პერიოდული, ისე მუდმივი გათბობისას (ვარიანტები №1,2), დრუბლის  $z(m_{max})$  არის მის ზედა ნაწილში, ხოლო იმავე დონის მახლობლობაში ხვედრითი ტენიანობა მცირდება წყლის ორთქლის კონდენსაციის გამო. ორივე ეს ფაქტი კარგ თანხვედრაშია ე.წ. “საშუალო” დრუბლის მონაცემებთან (Гойса Н. И., Шошин В. М., 1969).

ორივე ვარიანტის ბაზაზე შესწავლილ იქნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფიზიკური პარამეტრის გავლენა დრუბლ- და ნისლწარმოქმნაზე.


ფარდობითი ტენიანობის ზრდა იწვევს დრუბლ- და ნისლწარმოქმნის ინტენსიურ განვითარებას. კერძოდ, დრუბლის წარმოქმნის მოქნევი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასზე: №2 ვარიანტში იმ მინიმალური ფარდობითი ტენიანობის, (რომლის დროსაც იწყება წყლის ფაზური გარდაქმნა), გაზრდა 0.90-დან 0.98-მდე 3 სთ-ით აჩქარებს ამ პროცესს.

გამოკვლეულ იქნა ატმოსფეროს სტრატიფიკაციის გავლენა განსახილებელ პროცესზე. დრუბლის განვითარება, ისევე როგორც ამსფ-ის “შრალი” თერმოპიდოროდინამიკა მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. №2 ვარიანტის საფუძველზე ჩატარებულ იქნა რიცხვითი ექსპერიმეტების სერია დრუბლის წარმოქმნის მოქნევი სტრატიფიკაციაზე ფუნქციონალური დამოკიდებულების დასადგენად. აღმოჩნდა, რომ მას აქვს დაახლოებით წრფივი ხასიათი (როცა  $S_{min}=0.003$ გრად/მ დრუბლის წარმოშობა ხდება  $\approx 60^{\circ}$ თ, ხოლო როცა  $S_{max}=0.008$ გრად/მ -  $\approx 100^{\circ}$ თ.).

ნახ.3 მოცემულია ხვედრითი წყლიანობის,  $m$ , იზოხაზები ინვერსიის შემთხვევაში (ვარიანტი №2):

$$S = \begin{cases} 0.005 & 0 \leq z < 1600m, \\ 0.015 & 1600m \leq z \leq 2000m, \end{cases}$$

$t=2$  სთ და  $t=5.5$  სთ-თვის, ნახ.3 და ნახ.1 (გელაძე გ. შ. და სხვ, 2008) შედარებიდან ჩანს, რომ დრუბლის ქვედა საზღვარი, მისი პორიზონტალური ზომა და მაქსიმალური წყლიანობის დონე  $z(m_{\max})$  ერთნაირია, მაგრამ მისი კერტიკალური ზომა შემცირდა 400მ-ით და იზონაზები მკვეთრად შემჭიდროვდნენ. როცა  $S=0.005$ გრად/მ,  $m_{\max}=0.21$  გ/კგ, ხოლო ინვერსიის დროს  $m_{\max}=0.17$ გ/კგ. ადსანიშნავია აგრეთვე, რომ ინვერსიის დროს ამსფ-ის ზედა საზღვრის გავლენა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის არ იწვევს თვლის არამდგრადობას.  $t = 5.5$ სთ-ზე მაქსიმალური წყლიანობა გვაქვს 1600 მ-ზე და  $m_{\max}=1.42$ გ/კგ.




ნახ.3.  $m$  (გ/კგ)-ის იზონაზები ინვერსიის დროს (ვარიანტი №2).

შესწავლილ იქნა ამსფ-ის ფონური ტემპერატურის გავლენა დრუბელ ნისლწარმოქმნაზე. ეს პროცესი გარდა ატმოსფეროს სტრატიფიკაციისა (ფაქტიურად, ფონური ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტისა  $\gamma = -\partial T/\partial z$ ), დამოკიდებულია თვით ფონურ ტემპერატურაზე,  $T$ . ნახ.1 მოყვანილია მაქსიმალური წყლიანობის ფუნქციონალური დამოკიდებულება დროზე სხვადასხვა  $T$ -თვის (უწყვეტი გრადიენტი - როცა  $z=0$   $T=300K^{\circ}$ , წყვეტილი - როცა  $z=0$   $T=290K^{\circ}$ ). ორივე შემთხვევაში  $S=0.004$ გრად/მ (ვარიანტი №1). ნახაზიდან ჩანს, რომ ფონური ტემპერატურის  $10 K^{\circ}$ -ით შემცირებისას დრუბლის მაქსიმალური წყლიანობა შემცირდა  $0.6$  გ/კგ-ით, ხოლო ნისლისა -  $0.4$  გ/კგ-ით, ოღონდ როგორც დრუბლის, ასევე ნისლის არსებობის ციკლი იზრდება 1 სთ-ით. ეს კარგ თანხვედრაშია ცნობილ მეტეორონაცემებთან (Матвеев Л.Т., 1976). ეს თანხვედრა უკეთესია ტემპერატურული "კუნძულის" სინუსოიდალური გათბობისას, ვიდრე მისი მუდმივი გათბობისას, რადგან უნდა ვიფიქროთ, რომ ქვეფენილის ზედაპირის გათბობა ტემპერატურის "დღე-ღამური" სვლით უფრო ბუნებრივია. რაც შეეხება დრუბლის სიმძლავრეს, მის ქვედა და ზედა საზღვრებს, ისინი თერმული "კუნძულის" როგორც მუდმივი, ისე პერიოდული გათბობისას უმნიშვნელოდ არიან დამოკიდებული ფონური ტემპერატურზე.


გამოკვლეული გვაქვს გეოსტროფული ქარის ( $u_g$ ) როლი დრუბლის ფორმირებაზე. განვიხილოთ ვარიანტი №2, ოღონდ ზემოთმოყვანილი ინვერსიისა და ამსფ-ის ასეთი ზედა სასაზღვრო პირობის შემთ-

ხევაში: როცა  $z=Z$   $u=u_g=2\theta/\nabla\theta$ . ნახ.4 მოცემულია ხედრითი წყლიანობის იზოხაზები, როცა  $t=5.5$ სთ. ოუ შევადარებო ნახ.3 და 4, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: გეოსტროფული ქარი არღვევს პროცესის სიმეტრიას; იზოხაზები შემჭიდროვდნენ; ფენა დრუბელმა “წაინაცვლა” 4 კმ-ით ქარის მიმართულებით; მაქსიმალური ხედრითი წყლიანობა შემცირდა  $0.3\text{g}/\text{კგ}$ -ით, რადგან დრუბელი დაიძრა სიობაზე “ჯუნძულიდან”, საიდანაც იგი “იკვებებოდა”.



ნახ.4.  $m(\text{გ}/\text{კგ})$ -ის იზოხაზები გეოსტროფული ქარის დროს

რიცხვითი ექსპერიმენტების საშუალებით იმიტირებულ იქნა პატრის ლოკალური ცირკულაციის მეტად საინტერესო რეჟიმი, რომლის დროსაც გვაქვს ერთდროულად დრუბელიცა და ნისლიც, ნახ.5. ეს შესაძლებელია იგივე პარამეტრებისათვის, რომლებიც გვაქვს №1 ვარიანტი, ოღონდ როცა  $f=0.98$ . როცა  $t=15$  სთ, დრუბლის დაშლისა და ნისლის გაძლიერების დროს, დრუბლის მაქსიმალური წყლიანობა არის  $0.7\text{g}/\text{კგ}$ , ხოლო ნისლისა -  $0.9\text{g}/\text{კგ}$ .



ნახ.5.  $m(\text{გ}/\text{კგ})$ -ის (ვარიანტი №1), როცა  $f=0.98$ ,  $t=15$ სთ.

წინამდებარე მოდელის საფუძველზე ამჟამად ვმუშაობთ ნისლზე ხელოვნური ზემოქმედების რიცხვით მოდელირებაზე. მიღებული გვაქვს გარკვეული შედეგები.

#### ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Воронцов П. А., 1960: Аэрологические исследования пограничного слоя атмосферы. Гидрометеоиздат, Ленинград, 451 стр.

2. გელაძე გ., რობიტაშვილი გ., მდინარაძე ჯ., სხირტლაძე ნ. 2008: ფენა დრუბლის მოდელირება თერმული “ქუნძულის” მუდმივი გათბობისას, პიორომეტინსტიტუტის ჰორმები (წინამდებარე კრებული).
  3. Гойса Н. И., Шошин В. М., 1969: Экспериментальная модель радиационного режима “среднего” слоистообразного облака. Стр. Укр.н/илин-та, вып. 82, с. 28-41.
  4. Матвеев Л. Т., 1976: Курс общей метеорологии. Физика атмосферы. Гидрометеоиздат, Ленинград, 640 стр.

珍藏 551.51

დრუბელ- და ნისლწარმოქმნის მოღვაწეობა აგმოსფეროს მეზომასშტაბურ სასახლევრო ფენაში /გ.გელაძე, გ.რობიცაშვილი, ნ.ხილტლაძე/. პმოს შრომათა კრებული. -2009.-გ.114 -გვ.46-51. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

რიცხვითი მეორედების საშუალებით მოდელირებულია ლიკლური ცირკულაცია სითბური “ტენძელის” თავზე პერიოდული გათბობის პირობებში, ფენა დრუჟლისა და რადიაციული ნისლის განვითარების სრული ციკლი; გამოკვლეულია ცალკეული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ფარდობითი ტენიანობა, გეოსტროფული ქარი, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ფონური ტემპერატურა) გავლენა საკვლევი პროცესის ფორმირებაზე. გამოვლენილია და რაოდენობრივადა შეფასებული პირდაპირი და უკუკავშირი მეზოსასაზღვრო ფენის თერმოდინამიკა და ლიკლურ- და ნისლწარმოქმნას შორის.

UDC 551.51

**The simulation of fog- and cloudformation in the mesoscale boundary layer of atmosphere.** / Geladze G., Robitashvili G., Skhirtladze N./ Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2009. -v.114,-p.46-51-Georg.-Summ. Georg., Ing., Russ.

The local circulation of an air over heat "island" at its periodical warming and a complete cycle of development of a stratus cloud and radiational fog was simulated numerically. The influence of different meteorological parameters (relative humidity, stratification and background temperature of atmosphere, geostrophycal wind) on the formation of the considered process was investigated. The direct and inverse connections between thermohydrodynamics and fog- and cloudformation were determined and quantitatively estimated.

УДК 551.51

**Тумано- и облакообразование в мезомасштабном пограничном слое атмосферы. .**  
/Геладзе Г. Ш., Робиташвили Г. А., Схиртладзе Н. М. / Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. – 2009.-т.114- с.46-51, -Груз. рез. Груз., Анг., Русск.

Численно смоделирована локальная циркуляция над тепловым “островом” при ее периодическом нагреве, полный цикл развития слоистого облака и радиационного тумана; исследовано влияние отдельных метеорологических параметров (относительная влажность, стратификация и фоновая температура атмосферы, геострофический ветер) на формирование рассматриваемого процесса. Выявлены и количественно оценены прямая и обратная связи между термогидродинамикой мезопогранслоя и тумано- и облакообразованием.

პიდროშესტაროლოგიის ინსტიტუტის ჟრომები, ფომ № 114, 2008  
TRANSACTIONS OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL. № 114, 2008  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ, ТОМ № 114, 2008

მ.ტატიშვილი

პიდროშესტაროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.5

**ღრუბლის მიპროსტრუქტურის მათემატიკური მოდელირების  
ზოგიერთი თავისებურება**

დედამიწის ზედაპირზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და უმარტივესი არის წყლის მოლექულა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ცოცხალი და არაცოცხალი ორგანიზმების არსებობისთვის. წყლის თვისებების შეტენდობა განპირობებულია იმით, რომ მისი მოლექულის შემაღებელი სამი ატომი ერთ წრფეზე არ განლაგდება. უანგბადის ატომის მხარეს ჭარბობს უარყოფითი მუხტი, ხოლო წაყლისადის მხარეს-დადებითი. ასე, რომ წყლის მოლექულა ელექტრულად პოლარიზებულია. ატომთვერო წყლის მანქანაა და მასში მიმღინარე პროცესები წყლის მოლექულის თვისებების დეტალურ შესწავლას საჭიროებს. ასევე საღრუბლო წარმონაქმნების მიკროსტრუქტურას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც შეიძლება აისხნას წყლის ნაწილაკებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ძალებით, რომლებიც მაქსიმუმს აღწევენ 1მკ ზომის ნაწილაკებისთვის და დაშორებული არიან ერთმანეთისგან 50 მეტ მანძილზე [1].

ატომებს და მოლექულებს შორის მოქმედ ძალებში აღსანიშნავია განსაკუთრებული ძალა, რომელსაც აქვს ყოველთვის მიზიდვის ხასიათი. ეს არის მოლექულათშორისი დისპერსული ანუ ვან-დერ-ვალსის ძალა. თვითონ ეს ძალა ფუნდამენტურად არ ჩაითვლება, ის წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ძალის მხოლოდ ერთ-ერთ გამოვლინებას. მისი თვისებაა, რომ ის მოქმედებს ელექტრულად ნეიტრალურ სისტემებს შორის. მისი არსებობა შეიძლება გავიღოთ თუ ჩავთვლით, რომ ეს ურთიერთქმედი ნეიტრალური სისტემები წარმოადგენენ ელექტრულ დიპოლს ან უფრო რთული სისტემის შემთხვევაში -კვადროპულს. დიპოლს შორის ურთიერთქმედების ძალა მცირდება  $r^4$ -ს უკუპროპორციულად, ხოლო კვადროპულს შორის  $r^6$ -ს პროპორციულად. მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა: ის არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. ხოლო, ბუნება კვანტურია. ამასთან დიპოლების რაოდენობის ზრდასთან ერთად მათი ურთიერთმიზიდვა იზრდება. თუმცა მისი ქმედება შემოსაზღვრულია იმ გარემოებით, რომლის არსებობაც მოლექულურ დონეზე მოულოდნელობას წარმოადგენს-სინათლის სიჩქარის სასრულობით.

კლასიკური თეორიის მიხედვით ურთიერთქმედება წარმოიქმნება რხევით ოსცილაციორებს შორის. მისი სიდიდე (პოტენციალი) დამოკიდებულია ტემპერატურაზე. ეს ცხადია იქდან, რომ  $0^{\circ}\text{K}$ -ზე არა-

ვითარი რხევები არ ხდება. სხვანაირად ხდება კვანტური მექანიკის პრინციპების მიხედვით. აბსოლუტურ 0-ზეც კი არსებობენ ნულოვანი რხევები, რაც იწვევს იმას, რომ ურთიერთქმედების საშუალო ენერგია 0-ს ტოლი არ არის და ის განპირობებულია მიზიდულობის ძალებით. ვან-დერ-ვაალსის ძალისთვის პოტენციური ენერგიის ფორმულა რეალური ატომისთვის მარტივად გამოითვლება [2]:

$$U(R) = -K \frac{I\beta^2}{R^6}, \quad (1)$$

$$\text{სადაც } \beta = \frac{e^2}{\omega_0} \text{-ატომის პოლარიზებულობაა მუდმივ გელში. I-}$$

ატომის იონიზაციის პოტენციალი,  $K$ -რიცხვითი კოეფიციენტი. ეს გამოსახულება ექსპერიმენტულ მონაცემებთან კარგ თანხმდენაშია, იმ შემთხვევებისთვის, როცა ადგილი აქვს კლასიკორნის განტოლებიდან გადახვევას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნეიტრალურ ატომებს შორის ურთიერთქმედების ენერგია კლებულობს  $r^{-6}$ -ის მიხედვით, ხოლო, თუ ერთ-ერთი ატომი აღნენებულია, მაშინ მას და მის იგივე ატომს შორის წარმოქმნება დაახლოებით  $r^{-3}$  რიგის, უფრო ძლიერი დისპერსული ანუ გაცვლითი ძალები. ანალოგიური ძალები მოქმედებენ მცირე ნაწილაკებს-კლასტერებს შორისაც.

კლასტერის ძირითადი და აღნებული მდგრმარეობების აღწერისთვის შემოვიდოთ ტალღური ფუნქცია. ეს არის პირობითი სახელწოდება და მას ( $x, y, z$ ) კოორდინატების და  $t$  დროის როცვლი სახე აქვს. თუმცა მისი ცხადი სახით გამოვვლა სავსებით შესაძლებელია.  $\Psi = \Psi(x, y, z, t)$  -ს ფიზიკური არსი მდგრმარეობს იმაზი, რომ ეს არის ნაწილაკის აღმოჩენის აღბათობა  $dV$  მოცულობაში  $t$  დროის მოქმედებისთვის. აღბათობა  $W = |\Psi(x, y, z, t)|^2 = \Psi^* \Psi$ . სადაც  $\Psi^*$  არის  $\Psi$  -ს კომპლექსურად შეუდღებული სიდიდე. მისი ნორმირების პირობაა:  $\int_v |\Psi(x, y, z, t)|^2 dV = 1$ , ხოლო  $\Psi$  ფუნქცია, რომელიც ამ პირობას აკმაყოფილებს ნორმირებულია.

ზოგადად მას აქვს შემდეგი სახე:

$$\Psi(x, y, z, t) = \iiint \varphi(P_x, P_y, P_z, t) \exp(i \frac{px+py+pz}{\hbar}) \frac{dp_x dp_y dp_z}{(2\pi\hbar)^{3/2}}, \quad (2)$$

სადაც  $\varphi(P_x, P_y, P_z, t)$  არის ტალღის ამპლიტუდა  $P(P_x, P_y, P_z)$  იმპულსით.

ვთქვათ  $\varphi_1, \varphi_2$  არის კლასტერის ძირითადი და აღგნებული მდგრმარეობების ტალღური ფუნქციები. მათი ურთიერთქმედება დაბალ მიახლოებაში აღიწერება ეგრეთ წოდებული გაფანტვის  $S$  მატრიცით [3]:

$$\varphi(x, t) = \hat{S}(t, t_0) \varphi(x, t_0), \quad (3)$$

ზოგადად აქვს შემდეგი სახე:

$$\hat{S}(t, t_0) = \exp(-\frac{i}{\hbar} \hat{H}(t - t_0)). \quad (4)$$

$\hat{H}$  არის სისტემის პამილტონიანი. გაფანტვის ოპერატორის მატრიცული ელემენტები განსაზღვრავენ გადასვლის ალბათობას საწყისი კვანტური მდგომარეობიდან  $S_{\#} = -i\int d\vec{r}_1 d\vec{r}_2 dt \varphi_1^* \varphi_2 U(r) \varphi_2 \varphi_1 \exp(-i(E_{1i} + E_{2i} - E_{1f} - E_{2f})t)$ , მომდევნოში.

სადაც  $E_i E_f$  არის კლასტერის საწყის და ბოლო მდგომარეობების კინეტიკური ენერგიები.

ურთიერთქმედების პოტენციალი ვან-დერ-ვაალსის პოტენციალის გამოვლის ანალოგით შეიძლება დაკავშირდეს გაფანტვის გასაშეალოებულ მატრიცასთან, რაც ერთფოტონიანი რეზონანსული გაცვლის პამილტონიანით აღიწერება [4]:

$$H = -\vec{d}_1 \vec{E}_1(r) - \vec{d}_2 \vec{E}_2(r), \quad (5)$$

სადაც  $\vec{d}, \vec{E}$ -დიპოლური მოქნების და ველის დაძაბულობის ოპერატორებია. მაშინ პოტენციალისთვის მიიღება:

$$U(\vec{r}) = \frac{i}{4\pi} \int_{-\infty}^{\infty} d\omega \omega^2 \alpha_{ik}(\omega) D_{ik}(\omega, \vec{r}), \quad (6)$$

სადაც  $D_{ik}$  არის ფოტონის გრინის ფუნქცია, ხოლო

$$\alpha_{ik} = \frac{1}{3} \delta_{ik} \sum_n |d_n|^2 \left[ (\omega_n - \omega - i\Gamma_n)^{-1} + (\omega_n + \omega - i\Gamma_n)^{-1} \right] \quad (7)$$

პოლარიზაციის ტერმორი.  $\omega_n, \Gamma_n, d_n$  შესაბამისად აღგზებული დონეების სიხშირე, სიფართე და კლასტერის დიპოლური მოქნებია.

(6)-ს ინტეგრება ხდება (7)-ს გათვალისწინებით, ხოლო დიპოლების მიმართულებით გასაშეალოებით მიიღება გამოსახულება პოტენციალისთვის:

$$U(r) = -\frac{2}{3c^2} \sum_n r_n^{-1} |d_n|^2 \omega_n^2 \exp\left(\frac{\Gamma_n r}{c}\right) \cos\frac{\omega_n r}{c}. \quad (8)$$

აჯამვა ხდება ყველა დონისთვის.

ამრიგად ერთფოტონიანი რეზონანსული გაცვლა იწვევს სიმაღლის და სიღრმის მიხედვით კლებად პოტენციურ ორმოებს და ბარიერებს. შეიძლება გასაშეალოება მოხდეს სითბური გამოსხივების მიხედვითაც, მაშინ მიიღება იზოლირებული გრძელტალდოვანი გამოსხივების პოტენციალები. იზოლირებული გრძელტალდოვანი კვანტები შეიძლება სწორედ ის გამოსხივება იყოს, რომელსაც ადგილი აქვს კლასტერის ზედაპირზე ან კრისტალურ მექანიზმი დამატებითი მოლეკულების ჩასმისას ან წვერში მოლეკულის თვითდიფუზიისას.

როგორც ნაჩვენებია [5,6] შრომებში, კრისტალიზაციის და კონდენსაციის დროს ფარული სითბოს გადასვლის ნაწილი შეიძლება გარდაიქმნას მახასიათებელ გამოსხივებაში. გადასვლის ენერგია გადანაწილდება არსებულ და ახლად წარმოქმნილ დონეებზე. მათ ფა-

ზურ გამოსხივებებს უწოდებენ და გარემოს დიელექტრიკულ შეღწევადობაზე და საერთოდ, მის თპტიკურ თვისებებზე დამოკიდებული.

კვანტური ფიზიკის სწრაფმა განვითარებამ ძირეულად შეცვალა შეხედულებები მიკრო და მაკრო-სამყაროს შესახებ, ხოლო კლასიკური მექანიკა მხოლოდ რადაც შეზღუდული მიახლოება გახდა.

კვანტური მექანიკის პრინციპები და ძლიერი მათემატიკური აპარატი საშუალებას იძლევა ახლებურად შევხედოთ სამყაროს. მისი გამოყენება მეტეოროლოგიაში საშუალებას მოგვცემს ახლებურად შევხედოთ ატმოსფეროს და ღრუბლების ფიზიკას და მრავალი მათი ამოუსსნელი თვისება და მოვლენა თავიდან განვიხილოთ უკვე უფრო ფუნდამენტურ საფუძველზე.

## ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Э.В.Шпольский. Атомная физика. М., «Наука». Т1,2, 1984.
2. Д.И.Блохинцев. Основы квантовой механики. М., «Наука», 1983.
3. Л.Д.Ландау, Е.М.Лифшиц. Кvantовая механика. Т3. М., «Наука», 1989.
4. В.Б.Берестецкий, Е.М.Лифшиц, Л.П.Питаевский. Кvantовая электродинамика. Т4, М., «Наука», 1989.
5. М.Е.Перельман, И.Я.Бадинов. Модель облачных образований. Сообщения Академии Наук Грузии, т.131, №2, 1988.
6. Д.Хастед. Физика атомных столкновений. М., «Мир», 1965

უაკ 551.5

დრუბლის მიკროსტრუქტურის მათემატიკური მოდელირების ზოგიერთი თავისებურებანი/მ.ტატიშვილი/ქმი-ს შრომათა კრბული. –2009.-ტ.114 –გვ.52-56. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საღრუბლო წარმოსაქმნების მიკროსტრუქტურის თავისებურებანი განხილულია კვანტური დისპერსული ანუ ვინ-დერ-ვაალსის ძალებით, რომლებიც დამახასიათებელია წელის ნაწილაკებისთვის. ურთიერთქმედების პოტენციალის გამოსახულებისთვის შემოტანილია კლასტერის ძირითადი და აღგზებული მდგომარეობების ტალღური ფუნქციები და გაფანტვის მაგრიცა, რომელიც აღიწერება ვირტუალური ფოტონით. აღმოჩნდა, რომ ვირტუალური ფოტონური ურთიერთქმედება იწვევს სიმაღლის და სიღრმის მიხედვით კლებად პოტენციურ ორმოებს და ბარიერებს. იზოლირებული გრძელდანდოვანი კვანტები შეიძლება ის გამოსხივებაა, რომელიც გლინდება მიკროფიზიკური პროცესებისას.

UDC 551.5

**Some peculiarities of mathematical simulation of cloud microstructure.** /M.Tatishvili/  
Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2009. –v.114,-p.52-56,-Georg.-.Summ.  
Georg., Ing., Russ.

The peculiarities of microstructure of cloud formations have been discussed using quantum disperse forces or Van-Der-Vaals forces that are typical for water particles. To obtain the expression for interaction potential the wave functions of basic and excited conditions of clusters and dispersion matrix have been introduced describing by virtual photon. It has

been turned out that virtual photon interaction causes potential holes and barriers that are decreased by height and width. The isolated long wave quants may be the radiation that is generated throughout observed microphysical processes.

УДК 551.5

**Некоторые особенности математического моделирования микроструктуры облаков.** /М.Татишвили/ сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузиию – 2009.-т.114- с-52-56, -Груз. рез. Груз., Анг., Русск.

Особенности облачных образований рассмотрены квантовыми дисперсионными или силами Ван-Дер-Ваалса, характерными для водяных частиц. Для получения формулы потенциала взаимодействия введены волновые функции основного и возбужденного состояния кластеров и матрица рассеивания, опысываемая виртуальным фотоном. Оказалось, что такое взаимодействие создает последовательные ряды убывающих по высоте и глубине потенциальных ям и барьераов. Изолированными длинноволновыми квантами могут быть излучения, наблюдающиеся при протекании микрофизических процессов.

II. რადიოლოგიური მეტეოროლოგია. კონვექსიური ღრუბლის  
განვითარებულ-სტატისტიკური მოდელები.

II. Radar Meteorology. Empirical – statistical models of convective cloud.

II. Радиолокационная метеорология. Эмпирико-статистические модели  
конвективного облака.

-----  
აზორობებეოროლოგიის ინსტიტუტის შომები, ტომ 114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

რ. დორეული

მ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

უაკ 551.501.8.

ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლის გავლენა მის  
თავზე განვითარებულ კონვექსურ ღრუბლების მასიმალურ  
რადიოლოგიურ ამრაპლაზრის მამრავლის ღრგარითმზე

რადიოლოგიური ამრეკლადობის ( $\eta$ ) ინტენსივობა დამოკიდებულია ღრუბელში მყოფ ნაწილაკების ( $N$  ულის წევთების და ყინულის მარცვლების) ზომებზე და კონცენტრაციაზე. მათი ზრდა იწვევს ღრუბლის  $\eta$ -ს და მისი მამრავლის ლოგარითმის –  $\log Z_m$ -ის ზრდას. იზრდება აგრეთვე ამ ღრუბლიდან მოსული ნალექის ინტენსივობაც ( $I$ ) (აბნაევ მ.თ. և ძ.р. 1980). აქედან გამომდინარე დაკვირვების რეგიონის მიკროუბნებში ღრუბლების  $\log Z_m$ -ის განაწილების შესწავლა და მისი I-სთან კავშირის დადგენა შესაძლებლობას მოგვცემს ვიფიქროთ ნალექის მოსვლის ინტენსივობის და რაოდენობის განაწილებაზეც. აქედან სჩანს რამდენად საინტერესოა ღრუბლების  $\log Z_m$ -ის შესწავლა რაგიონის მიკროუბნებში.


კახეთის რეგიონში, სადაც რიგი წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა რადიოლოგიური ქსელი, ზომავდნენ კონვექსური ღრუბლების მაქსიმალური რადიოლოგიური ამრეკლადობის მამრავლის ლოგარითმების ( $\lg Z_m$ ) სიდიდეებს.

მრავალწლიური რადიოლოგიური დაკვირვებებიდან გამოვლინდა, რომ სხვადასხვა რელიეფის საშუალო სიმაღლის ( $H_R$ ) მქონე ადგილმდებარეობაზე სხვადასხვა  $\lg z_m$ -ის მქონე ღრუბლები ვთარდებიან. ამის გათვალისწინებით დაისხა ამოცანა შეგვესწავლა დაკვირვების რეგიონის მიკროუბნებში კონვექსური ღრუბლების  $\lg z_m$  სიდიდეები ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლესთან ( $H_R$ ) კავშირში.

ამ სახის ამოცანების დეტალურად შესწავლის მიზნით საჭირო გახდა დაკვირვების ტერიტორია დაგვევო მიკროუბნებად. ჩვენი დაკვირვებების მონაცემების მიხედვით კონვექსური ღრუბლების უმეტესი რაოდენობა(60%) ნალექს იძლევა 5 კმ-ის სიგანის და 15-20 კმ-ის სიგრძის ფართობზე. ამის დათვალისწინებით, კახეთის რეგიონის მთლიანი ტერიტორია დავვავოთ  $5 \text{ km}^2 = 25 \text{ km}^2$  ფართობების მქონე 334

კვადრატულ მიკროუბნად. თითოეულ მიკროუბნისთვის დადგენილია დედამიწის რელიეფურ ზედაპირზე თანაბრად განაწილებული 5-6 წერტილში განსაზღვრულ სიმაღლეთა საშუალო სიდიდე ( $H_R$ ) ზღვის დონიდან.

დასმული საკითხის შესასრულებლად გამოყენებული იქნა, ჩვენს მიერ კახეთის რეგიონში კონვექციურ დრუბლებზე ჩატარებული მრავალწლიური (1970-1980) რადიოლოგიური დაკვირვებების მასალები. დამუშავებულ იქნა 2823 კონვექციური დრუბლები, რომლებზეც ჩატარებულია რადიოლოგიური პარამეტრებისა და შესაბამისი სივრცით-დროითი კოორდინატების 13436 გაზომვათა სერიალი. რეგიონის ყველა მიკროუბნში მოხვედრილ თითოეულ დრუბლებზე ჩატარებულ დაკვირვებების ყოველი სერიალის დროს იზომებოდა  $IgZ_m$  სიდიდეები. კველა მიკროუბნისთვის დადგინდა ამ სიდიდეთა საშუალო შეწონილი მნიშვნელობები ( $\overline{IgZ}_m$ ) და აგებული იქნა მათი განაწილების ველი, კახეთის მთლიანი რგიონისათვის (ნახ.1), რომელზეც დატანი-



ლია იზოხაზები  $IgZ_m$ -ის შემდეგი მნიშვნელობებისთვის: 2,0; 2,3; 2,6; 2,9; 3,2.

ნახ.1. კონვექციური დრუბლების მაქსიმალური რადიოლოგიური ამრეკვლადობის მამრავლის ლოგარითმის საშუალო

როგორც ნახ.1-დან ჩანს, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების ზედა ნაწილის მიკროუბანში,  $H_R=1,857$  კმ,  $\overline{IgZ}_m=3,2$ , გომბორის ქედის ყველაზე მაღლობ ადგილზე მდებარე მიკროუბანში,  $H_R=1,856$  კმ,  $\overline{IgZ}_m=3,3$ . ქედების კალთების დაქანების გასწვრივ, ალაზნის ველისა

და იორის ზეგანის მიმართულებით,  $H_R$  სიდიდეები მცირდება, მცირდება  $\overline{\lg Z}_m$ -ის მნიშვნელობებიც.

თვითონ გომბორის ქედის სიმაღლე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით თანდათან დაბლდება, დაბალ მნიშვნელობას დებულობს  $\overline{\lg Z}_m$ -ც. სოფ.დ. წყაროს მიღამოებში  $H_R=0.904$  კმ,  $\overline{\lg Z}_m=2.7$ . სოფ. საგარეჯოსთან ახლოს მის სამხრეთ-აღმოსავლეთით  $H_R=0.470$  კმ,  $\overline{\lg Z}_m=2.0$ .

შირაქის ველის ცენტრალურ ნაწილში  $H_R=0.57$  კმ,  $\overline{\lg Z}_m=2.1$ . აღაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილის ყველაზე დაბალ და გაშლილ აღგილზე,  $H_R=0.162$  კმ,  $\overline{\lg Z}_m=1.6$ .

ამრიგად, ნახ.1-ზე ნაჩვენებმა განაწილების ველმა გამოავლინა, რომ მთაგორიან რეგიონში მთებისა და მათი კალთების ამაღლებულ აღგილებში, რომელთათვისაც  $H_R$  სიდიდე მაღალია, ვითარდებიან და ყალიბდებიან ძირითადად მაღალი რადიოლოგიური ამრეკვლადობის მქონე ღრუბლები, ხოლო დაბალ და გაშლილ აღგილებზე დაბალი ამრეკვლადობის მქონე ღრუბლები. ლგმ-ის ღ-თან კავშირის ანალიზური სახის მონახვის მიზნით შემოვისაზღვრეთ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, გომბორის ქედის ჩრდილო კალთებზე და ალაზნის ველზე დაფიქსირებულ კონვექციურ ღრუბლებზე ჩატარებულ რადიოლოგიური დაკვირვებების მასალებით. ეს ტერიტორია მოიცავს 190 მიკროუბანს, ხოლო ღრუბლების ლგმ სიდიდის გაზომვათ რათა რაოდენობა 9050-ს შეადგენს. მნიშვნელობების ( $\overline{\lg Z}_m$ ) განაწილების ველი კახეთის რეგიონისათვის.


$H_R$  იცვლება 0,156 კმ-დან 1,857 კმ-მდე. ეს დიაპაზონი დაყოფილი გვაქს 0,2 კმ-იან ცხრა ინტერვალად, რომელთა საშუალო სიდიდეებია: 0,2; 0,4; 0,6;...1,8 კმ.  $\overline{\lg Z}_m$  სიდიდე კი, რომელიც იცვლება 1,6-დან 3,3-მდე, დაკვავით 0,2-იან 10 ინტერვალად, რომელთა საშუალო სიდიდეებია 1,6; 1,8; 2,0;...3,4.  $H_R$ -ის თითოეულ გრადაციისათვის დადგინდა  $\lg Z_m$ -ის საშუალო შეწონილი მნიშვნელობები ( $\overline{\lg Z}_m$ ) და აგებულ იქნა  $\overline{\lg Z}_m$ -ის  $H_R$ -თან დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც ნაჩვენებია ნახ.2-ზე პუნქტირის სახით. ამ გრაფიკს შეალევდში 0,15 კმ  $\leq H_R \leq 2$  კმ დამაკმაყოფილებლად აღწერს ჩვენს მიერ რეგრესიის გზით მიღებული შემდგენ გამოსახულება:

$$\lg Z_{mT} = -0,2 H_R^2 + 1,25 H_R + 1,65 \quad (1)$$

რეგრესიის კოეფიციენტები 0,2; 1,25 და 1,65 მიღებულია უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით, (1) გამოსახულების შესაბამისი მრუდი ნაჩვენებია ნახ.2-ზე მთლიანი ხაზის სახით. კორე-

ლაციის კოეფიციენტი ტოლია 0,84, ხოლო საშუალო კვადრატული გადახრა იცვლება შუალედში 0,14-0,22-მდე.

(1) გამოსახულების გამოყენებით კახეთის მთლიანი რეგიონის თითოეულ მიკროუბნისათვის გამოთვლილი იქნა კონვექციური ღრუბლების  $\lg Z_{mT}$  სიდიდეები. შესაბამის მიკროუბნებში  $\lg Z_{mT}$ -ის



მნიშვნელობების შედარებამ სტატისტიკურად მიღებულ  $\overline{\lg Z}_m$ -ის მნიშვნელობებთან გაიჩვენა, რომ მაქსიმალური განსხვავება  $\lg Z_{mT}$ -ს და  $\overline{\lg Z}_m$ -სგან არ აღემატება 10%-ს.

ნახ.2.  $\overline{\lg Z}_m$ -ს და  $\log Z_{mT}$ -ის  $H_R$ -თან დამოკიდებულების გრაფიკი.

(1) გამოსახულება საშუალებას გვაძლევს სხვა რეგიონის მიკროუბნებისათვის გამოვთვალოთ ღრუბლების  $\lg Z_{mT}$  სიდიდეები და ავაგოთ მათი განაწილების ველი მთლიანი რეგიონისათვის თუ გვეცოდინება ამ უბნების რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლეები ( $H_R$ ) ზღვის დონიდან.

#### ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Абшаев М.Т., Бурцев И.И., Ваксенбург С.И., Шелева Г.Ф (ред.), 1980 – Руководство по применению радиолокаторов МРЛ-4, МРЛ-5 и МРЛ-6 в системе градозащиты. Ленинград, Гидрометеоиздат, , стр. 17-18; 58-60.

უაკ 551.501.8

ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლის გავლენა მის თავზე განვითარებულ კონვექციურ ღრუბლების მაქსიმალურ რადიოლოგაციურ ამრეკვლადობის მარავლის ლოგარითმზე/ რ. დორეული/პმი-ს შრომათა კრებული -2009.-ტ.114.-გვ.57-61-. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. კახეთის რეგიონის მაგალითზე გამოკვლეულია რელიეფის გავლენა კონვექციურ ღრუბლებში მაქსიმალური რადიოლოგაციური ამრეკვლადობის მამრავლის ლოგარითმზე. შედგენილია რეგრესიის განტოლება, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეგიონის  $5X5\text{ km}^2$  ფართობის მქონე მიკროუბნის თავზე განვითარებული ღრუბლისათვის გამოვთვალოთ  $\log Z_{mT}$ -ის მნიშვნელობა, თუ

გვეცოდინება ამ უბნის რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან. იღ.2, ლიტ. დას. 1.

УДК 551.501.8

**Influence of average height of a relief of terrain to a log of a factor of a maximum radar reflectivity of convective clouds, explicating above them.** /R.Doreuli/Transactions of the Institute of Hydrometeorology. -2009. - т.114. – p.57-61, - Georg.; Summ. Georg.; Eng., Russ.

On an example of Kakheti region of Georgia the influence of height of a relief of terrain to a log of a factor of a radar reflectivity is investigated. The equation of regressions allowing to calculate of significance  $\log Z_m$  for clouds explicating above plot with square  $5 \times 5 \text{ km}^2$ , explicating above is made when average height of a relief surface is known it. HR. Fig. 2, Ref.1.

УДК 551.501.8

**Влияние средней высоты рельефа местности на логарифм множителя максимальной радиолокационной отражаемости развивающихся над ними конвективных облаков.**/Р. Дореули/ Сб.Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. –2009. – т.114. – с.57-61. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

На примере кахетинского гегиона Грузии изучено влияние высоты рельефа местности на логарифм множителя радиолокационной отражаемости. Составлено уравнение регрессии, позволяющее рассчитать значения  $\log Z_m$  для облаков развивающегося над участком с площадью  $5 \times 5 \text{ км}^2$ , когда известно его средняя высота рельефной поверхности  $H_R$ . Рис 2, лит.1.

პირველი გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

სალუქვაძე თ., ხელაია კ., ბალავაძე ა.  
მ.ნოღიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი  
უკა 551.501.8.

მთაბორიანი რეგიონის ერთულებების კონცენტრაცია  
დრუბლის მიმორიგული რადიოლოგიაზე მოდელი

კონვექციური დრუბლების სხვადასხვა სტრუქტურას და განვითარების დინამიკას განაპირობებს სინოპტიკური სიტუაცია, ატმოსფეროს თერმოდინამიკური არამდგრადობა, თავისუფალ ატმოსფეროში სხვადასხვა სამდალებები ქარის სიჩქარის სიდიდე, მიმართულება და სხვა.

პირველი ფუნდამენტალური კვლევა ჩატარეს ჯ. მარვიცმა (Marwitz J.D. 1972), ა. ჩიხტოლმა და ჯ. ჩ. რენიკმა (Chisholm A.J. et al., 1972) ის მდლავრი კონვექციური დრუბლები, რომლებიც სეტემბერის სტადიამდე ვითარდებოდნენ, მათ დაყვეს სამ ძირითად ჯგუფად: ერთულებრედიან, მრავალუჯრედიან და სუპერუჯრედიან დრუბლებად. მათ მიერ განხილული ყველა შემთხვევა კანადის პირობებისათვის ჯდება სენტებერი კლასიფიკაციაში. ანალოგიური სამუშაოები ჩატარებულ იქნა ჩრდილოკავკასიის (რუსეთი) პირობებისათვის ნ. ბიბილაშვილის და სხვათა მიერ (აბშაევ M.T. დრ. 1980, Bibilashvili N.Sh. დრ. 1981, აბშაევ M.T. 1984, Stephan P. Nelson et. al., 1984]. ისინი ამ სამი ძირითადი ჯგუფიდან მრავალუჯრედიან კონვექციურ დრუბლებს ყოფენ კიდევ სამ ქვეჯგუფად: მოწესრიგებულ, მოუწესრიგებელ და სუსტადორგანიზებულ მრავალუჯრედიან დრუბლებად. ჩვენ შევეცადეთ ჩვენს ხელო არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე მოგვეხინა აღმოსავლეთ საქართველოს მთაგორიან რეგიონში განვითარებული კონვექციური დრუბლების მსგავსი კლასიფიკაცია. კონვექციურ დრუბლებზე რადიოლოგიური დაკვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე (მასალა მოიცავს 1400-ზე მეტ შემთხვევას) ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ხენტებული რეგიონის წლის თბილი სეზონის აღნიშნული დრუბლები შეიძლება დაყვითილ იქნას სამ ძირითად ჯგუფად: ერთულებრედიან, მრავალუჯრედიან და სუპერუჯრედიან დრუბლებად.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ერთულებრედიანი კონვექციური დრუბლების წილად მოდის საერთო რაოდენობის 26,8%, მრავალუჯრედიანი და სუპერუჯრედიანი დრუბლების წილად კი 61,4% და 21,8% შესაბამისად.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ერთულებრედიანი კონვექციური დრუბლის ემპირიული რადიოლოგიური მოდელი. გაანალიზებული მასალა მოპოვებულია 1972-1985 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა 382 შემთხვევა,

როცა ადგილი პქონდა ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლების განვითარებას.

ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლები ჩვენი პირობებისათვის ვითარდებიან ძირითადად შიდამასიური პროცესების დროს. ამ დროს ადგილი აქვს ერთი, ან ერთდროულად რამდენიმე იზოლირებული კონვექციური კერის წარმოქმნას. ფრონტალური პროცესის დროს ერთუჯრედიანი კონვექციური კერების წარმოქმნა და დამოუკიდებლად განვითარება ნაკლებად ალბათურია. ასეთ სიტუაციაში, ძირითადად ერთუჯრედიანი კერები გვევლინებიან მრავალუჯრედიანი და სუპერუჯრედიანი დრუბლების წინამორბედად.

ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლები ვითარდებიან იზოლირებულად, ძირითადად მთის წვეროზე ან მათ მახლობლად და დაბალი სიჩქარით მიგრირებენ გაბატონებული ნაკადების მიმართულებით. ჩვენს პირობებში ასეთი დრუბლების მიგრაცია ქარის მიმართულებასა და სიჩქარესთან ერთად განპირობებულია გაბატონებული ნაკადების მიმართ კავკასიონის, კახეთის და ციგ-გომბორის ქედების ორიენტაციით.

ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლების განვითარების მაქსიმალურ სტადიას ყოველთვის არ წარმოადგენს სეტეპის სტადია. ასეთი დრუბლები ან არ იძლევიან ნალექს, ან იძლევიან ინტენსიურ თხევად ნალექს სეტეპასთან ერთად (მყარი ნალექის მაქსიმალური ზომა 5-8 მმ-ს არ აღმატება). იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შიდამასიურ პროცესზე ფრონტალური პროცესის ზედდებას, მაშინ ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლები შეიძლება გადაიზარდოს მრავალუჯრედიან ან სუპერუჯრედიან დრუბელში

ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლების განვითარება ხდება გაბატონებული ქარის სიჩქარის დაბალი მნიშვნელობების პირობებში. ამის გამო მათი მიგრაციის მიმართულებასა და გაბატონებული ქარის მიმართულებას შორის კუთხე 10-12 გრადუსს არ აღემატება.

განვითარების პროცესში რამდენიმე ერთუჯრედიანი დრუბლის გაერთიანება მათი დროში და სივრცეში განფენილობის გამო თითქმის გამორიცხულია.

ცხრილში 1 მოყვანილია ერთუჯრედიანი დრუბლისათვის დამახასიათებელი რადიოლოკაციური და სხვა პარამეტრების ზღვრული და მოდალური მნიშვნელობები და ნაჩვენებია ასეთი დრუბლების განვითარების ზოგიერთი პირობები.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთუჯრედიან კონვექციურ დრუბლებში აღმავალი და დაღმავალი ნაკადების არსებობა დროში წანაცვლებულია და ამ ორი პროცესის ერთდროული არსებობა გამორიცხულია. ასეთივე შედეგებია მიღებული ხრდილოგავგასინისათვისაც (Бибилашвили Н.Ш. и др. 1981). ამის გამო ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლიდან ნალექის მოსვლა ერთჯერადია. აღმავალი ნაკადი

ასეთ ღრუბლებში მხოლოდ განვითარების სტადიაში არსებობს. ღრუბლის კეთება და მისი განვითარება თითქმის თანაბრად ხდება უკელა მხრიდან. ამის შედეგია ის, რომ ამ კლასის კონცექციური ღრუბლის რადიოექოს პორიზონტალური ჭრილი რადიოლოკაციური ამრეგლადობის ყველა მნიშვნელობისათვის თითქმის წრიულია, ან ელიფსური, დიდი ღრუბლის მიგრაციის მიმართულებით.

### ცხრილი 1. ერთუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის დახასიათება

№	დამახასიათებებელი ნიშნები და პარამეტრების დასახელება	დამახასიათებელი ნიშნები და პარამეტრების მნიშვნელობები	
		პარამეტრის ცვლილების დოაპაზონი	პარამეტრის მოდალური მნიშვნელობა
1	ღრუბლის განვითარების პირობები	წნევის სუსტად გამოხატული დასავლეთის გრადიენტიანი კელი	წნევის სუსტად გამოხატული დასავლეთის გრადიენტიანი კელი
2	კონვექციური არამდგრადობა	ზომიერი	ზომიერი
3	ნალექის მოსვლის პროცესი	ერთჯერადი	ერთჯერადი
4	ნალექის სახეობა და ინტენსივობა	უნალექით, სუსტი ან ძლიერი თავსებმა წვიმა. სუსტი ეტკა	უნალექით, სუსტი ან ძლიერი თავსებმა წვიმა. სუსტი ეტკა
5	ნალექის სანგრძლივობა წთ.	5 - 50	21
6	ღრუბლის მიგრაციის სიჩქარე კმ/სთ.	3 - 16	6
7	წამყვანი ნაკადის სიქრო კმ/სთ	5 - 22	9
8	ქარის წანაცვლება წ <sup>-1</sup>	1x10 <sup>-5,4</sup> - 1x10 <sup>-4,0</sup>	1x10 <sup>-4,5</sup>
9	კუთხე ქარის მიმართულებასა და ღრუბლის მიგრაციის მიმართულებას შორის კუთხეურ გრადუსებში.	0 - 11	3
10	პირველი რადიოექოს გამოჩენის სიმაღლე კმ.	2 - 5	3,2
11	დრო პირველი რადიოექოს გამოჩენიდან წთ: ა)მაქსიმალურ განვითარებამდე ბ)ნალექის მოსვლამდე გ)პირველ ელექტრონულ განვითარებამდე	13 - 21 12 - 20 14 - 26	15 14 17
12	სიცოცხლის სანგრძლივობა წთ.	30 - 70	38
13	რადიოექოს მაქსიმალური სიმაღლე მ კმ.	5 - 11,2	8,8
14	ტემპერატურა მ-ის დონეზე თავისუფალ ატმოსფეროში 0C.	-48,1 ÷ -7,4	-24,3
15	მაქსიმალური ამრეგლადობის დონის სიმაღლე მ კმ.	2,3 - 7,7	4,7

ერთუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის პირველი რადიოექო ( $\lambda=3$  სმ დიაპაზონის რადიოლოკატორებისათვის) ზღვის დონიდან 3-5 კმ-ის სიმაღლეზე ხნდება. რაც უფრო მაღალია ჩასახვის დონე, მთ მეტი შანსი აქვს მოცემულ ღრუბელს სეტვის სტადიამდე განვითარებისა. რადიოექოს არ გააჩნია ე.წ. სტაციონარული მდგომარეობის პერიოდი. იგი მაქსიმუმის მიღწევის შემდეგ სწრაფად იწყებს დისიაციას. ამ

მომენტს ემთხვევა ნალექის მოსვლაც.

პირველი რადიოუქმების ზომების ზოდა ვერტიკალური მიმართულებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ჰორიზონტალური მიმართულებით. რადიოლოკაციური ამრეკლადობის ვერტიკალური გრადიგნტი დროში სწრაფად იცვლება. მისი მნიშვნელობა საწყის მომენტში 2,0 - 2,5 კმ<sup>-1</sup>-დან 12-15 წუთის შემდეგ კლებულობს და დებულობს მნიშვნელობას 0,9-0,25 კმ<sup>-1</sup>. რადიოლოკაციური ამრეკლადობის ჰორიზონტალური გრადიენტიც საწყის მომენტში სწრაფად იცვლება და მის ზღვრულ მნიშვნელობას ( $\gamma=2,3 \text{ კმ}^{-1}$ ) დაუფრო მაღა აღწევს, ვიდრე უცარტ. და გარკვეული დროის განმავლობაში რჩება მუდმივი.

ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბელი ელექტრული აქტივობის თვალსაზრისით თავის მაქსიმუმს აღწევს დრუბლის მაქსიმალური განვითარების მომენტისათვის. როგორც წესი, ასეთი დრუბლების განმუხტვა ძირითადად დედამიწაზე ხდება.

როგორც უპვე აღნიშნეთ, ერთუჯრედიანი კონვექციური დრუბლის რეგენერაცია არ ხდება. მართალია ადგილი აქვს ახალი ერთუჯრედიანი დრუბლის წარმოქმნას და განვითარებას იმ ადგილებში, სადაც რამდენიმე წუთის (30-50წ) წინ იმყოფებოდა ასეთივე დრუბელი, მაგრამ ახლად წარმოქმნილი დრუბლის ჩათვლა წინამორბედის რეგენერაციად არ შეიძლება. ასეთი ახლად წარმოქმნილი დრუბელი თავისი განვითარების ყველა სტადიას ისევე გადის, როგორც მისი წინამორბედი

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Chisholm A.J., Renick J.H. 1972. Supercell and Multicell Alberta Hailstorms - Proc. Inter. Cloud Physics Conf., London, , p.67-68.
- Marwitz J.D. 1972. Supercells storms; Multicells storms; Severaly Sheared Storms. J. Appl. Met., vol. 11, N1. p.166-201.
- Stephan P. Nelson and Nansy C. Knight. 1984. The hibrid Multicellural - Supercellular storm: an efficient hail producer. Proc. 9th Inter. Cloud Physics Conf., Tallin USSR, p. 435-437
- Абшаев М.Т., Бурцев И.И., Ваксенбург С.И., Шевела Г.Ф. (ред)- 1980. Руководство по применению радиолокаторов МРЛ-4, МРЛ-5 и МРЛ-6 в системе градозащиты. Ленинград, Гидрометеоиздат., 230 с.
- Абшаев М.Т., Бурцев И.И., Ваксенбург С.И., Шевела Г.Ф. (ред)- 1980. Руководство по применению радиолокаторов МРЛ-4, МРЛ-5 и МРЛ-6 в системе градозащиты. Ленинград, Гидрометеоиздат., 230 с.
- Абшаев М.Т. 1984. Радиолокационная структура и динамика развития грозово-градовых процессов Северного Кавказа. В кн. "Радиометеорология". Труды VI Всесоюзного совещания Ленинград, Гидрометеоиздат, с. 109-115.
- Бибилашвили Н.Ш., Бурцев И.И., Серегин Ю.А. (ред). 198. Руководство

по организации и проведению противоградовых работ. Ленинград, Гидрометеоиздат, 168 с.

უაკ 551.501.8.

შთაგორიანი რეგიონის ერთუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის ემპირიული რადიოლოგიაციური მოდელი./თ. სალუქაძე, ე. ხელაძე, ა. ბალავაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2009.-ტ.114.-გვ.62-66.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. სტატიაში მოყვანილია ერთუჯრედიანი ღრუბლისთვის დამახასიათებადი რადიოლოგიაციური და სხვა მახასიათებელი პარამეტრების ზღვრული და მოდალური მნიშვნელობები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისათვის. ასეთი ღრუბლების პირველი რადიოექტო აღინიშნება  $\lambda=3,2$  სმ ტალღაზე ზღვის დონიდან 3 – 5 კმ-ის სიმაღლეზე ჩნდება. რაც მაღალია რადიოექტოს ჩასახის სიმაღლე, მთელი ალბათობა ასეთი ღრუბლის სეტენის სტადიამდე განვითრებისა. რადიოექტოს ზრდა ვერტიკალური მიმართულებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე პორიზონტალური მიმართულებით. ცხრ.1, ლიტ.დას.7.

UDC 551.501.8.

**Empirical radar model of singlcell convective cloud of mountain region** /T.Salukvadze, E.Rhelaya, A.Balavadze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. -2009. - т.114. – п.62-66 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

In the article the maximum and modal significances of radar parameters are indicated and are indicated synoptical and aerological conditions of development of singlcell cloud for regions of East Georgia. The first radioecho of such clouds is scored on a wave  $\lambda=3,2$  cm at height 3 - 5km from a sea level. Than more than height of origin of a radioecho, the more probability of development of a cloud up to hail a stage. The development of a radioecho on a vertical direction occurs faster, than on horizontal. Tab.1, Ref. 7.

УДК 551.501.8.

**Эмпирическая радиолокационная модель одновечернего конвективного облака горного региона.**/Т.Салуквадзе, Э.Хелая, А.Балавадзе/. Сб.Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. –2009. – т.114. – с.62-66. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

В статье приведены максимальные и модальные значения радиолокационных параметров и указаны синоптические и аэрологические условия развития одновечерниковых облаков для регионов Восточной Грузии. Первое радиоэхо таких облаков отмечается на волне  $\lambda=3,2$  см на высоте 3 – 5км от уровня моря. Чем больше высота зарождения радиоэха, тем больше вероятность развития облака до градовой стадии. Развитие радиоэха по вертикальному направлению происходит быстрее, чем по горизонтальному. Таб.1, лит. 7.

პირველი გეოფიზიკური მუსიკის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

რ. დორეული

მ.ნოღიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

უკა 551.501.8.

კონვენციური ღრუბლების ელქონის აზტივობის  
პარამეტრი გათი განვითარების აღზილებარეობის  
რელიეფის საშუალო სიმაღლესთან

ცნობილია, რომ ელქექის მოვლენები ხშირ შემთხვევაში მიზეზი ხდება ავიაკატასტროფების, მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების დაზიანების, სამხედრო ობიექტებისა და მაგისტრალური გაზების აფეთქებების, ტყის დიდი მასივების განადგურების და სხვათ. ამას თან ხდევს ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდი ეკონომიკური ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ ჩამოთვლილ როგორც ავიო და ელექტროხაზების, ისე სხვა ობიექტების არასწორ დაგეგმვასა და განაშენიანებასთან.

ზემოაღნიშვნული შემთხვევები და მათგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი არსებითად შემცირდება, თუ რეგიონის თითოეულ მიკროუბანს შევისწავლით და დაგახასიათებოთ ელქექსაშიშროების თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით მოხდება როგორც ავიო და ელექტროხაზების, ისე სხვა ობიექტების დაგეგმვა-განაშენება.


დაკავშირების რეგიონის მიკროუბნები ელქექსაშიშროებით რომ შევაფასოთ, თითოეული მიკროუბინისათვის უნდა შევისწავლოთ მათ თავზე განვითრებული ღრუბლების: 1) ელქექის აქტივობები (R); 2) ელქექის აქტივობის ხანგრძლივობები (t<sub>R</sub>); 3) საშუალო თბილსეზონური განვითარების განმეორადობები (n<sub>R</sub>). ეს სიდიდეები საშუალებას მოგვცემს რეგიონის თითოეული მიკროუბანი კომპლექსურად დაგახასიათოდ ელქექსაშიშროების თვალსაზრისით.

ამჟამად ჩვენი ამოცანაა კახეთის მთაგორიანი რეგიონის თითოეულ მიკროუბანში შევისწავლოთ მათ თავზე განვითარებული და გაფლით მოხვედრილი კონვექციური ღრუბლების ელქექის აქტივობა (R).

ამ ამოცანის და სხვა მსგავსი ამოცანების შესასრულებლად კახეთის ტერიტორიაზე წინასწარ დაყოფილი გვაქვს  $5 \times 5 \text{ კმ}^2$  ფართობის მქონე 334 მიკროუბანად, რომელთა რელიეფური საშუალო სიმაღლეები (H<sub>R</sub>) ზღვის დონიდან დადგენილია.

გასაანალიზებლად გამოყენებული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტისა და პიდრომეტრებარტამენტის სეტეგიასთან ბრძოლის სამსახურის მიერ კახეთის რეგიონში კონვექციურ ღრუბლებზე ჩატარებული რადიოლოგიური დაკვირვების 1972–1976 წლებში დაგროვილი მასალები. დამუშავებული იქნა 2543 კონვექციური ღრუბლები, რომლებზეც ჩატარებულია რადიოლოგიური პარამეტრებისა და შესაბამისი სივრცულ-დროითი

კორდინატების 11418 გაზომვათა სერიალი. ყველი სერიალის დროს იზომებოდა ღრუბლის მაქსიმალური სიმაღლე (ზღვის დონიდან)  $H_m$  კმ; მაქსიმალური ამრეკლადობის სიმაღლე  $H_{zm}$  კმ, მაქსიმალური ამრეკლადობის მამრავლის ლოგარითმი  $\lg Z_m$ . ფიქსირდებოდა აგრეთვე ნულვანი იზოთერმის სიმაღლე  $H_0$ . ამ სიდიდეებისა და ღრუბლის ელქურის კრიტერიუმის დასადგენ პ.ზიმინის ემართული ფორმულის გამოყენებით (И.Гайваронский, Б.Зимин, 1971), რეგიონის თითოეულ მიკროუბანში მოხვედრილი ყველი ღრუბლისათვის გამოთვლილი იქნა ელქურის აქტივობა (კრიტერიუმი  $R$ ) ღრუბლების შერჩევა ხდებოდა  $5 \leq R \leq 25$  პირობის გამოყენებით. თითოეული მიკროუბისათვის დადგენილი იქნა  $R$ -ის საშუალო მნიშვნელობები  $\bar{R}$  და აგებულ იქნა მათი განაწილების ველი კახეთის მთლიანი რეგიონისათვის (ნახ.1), რომელზეც დატანილია იზოხაზები  $\bar{R}$ -ის შემდეგი



ნახ.1. პონგექციური ღრუბლების ელექტრობათა ( $\bar{R}$ )  
განაწილების ვალი კახეთის რეგიონისათვის

მნიშვნელობებისათვის: 10, 14, 16, 20, 24. როგორც ნახ.1-დან ჩანს, მაღალი ელექტრის აქტივობებით ( $\bar{R}$ ) ხასიათდებიან ძირითადად ის ღრუბლები, რომლებიც ვითარდებიან მთებზე და მის კალთებზე მდებარე მიკროუბნებში, სადაც  $H_R$  სიღიღე მაღალია. მაგალითად, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების ზედა ნაწილში  $H_R=1,857 \text{ Дж}$ ,  $\bar{R}=25$ . გომბორის ქედის ყველაზე მაღალ აღგილზე  $H_R=1,856 \text{ Дж}$ ,  $\bar{R}=24$ . ქედების კალთების დაქნების გასწვრივ აღაზნის ველის და ორის ზეგანის მიმართულებით  $H_R$  მცირდება, შესაბამისად მცირდება  $\bar{R}$  სიფის მნიშვნელობებიც. შირაქის ველის ცენტრალურ ნაწილში

$H_R=0,570$  კმ,  $\bar{R}=13$ . ალაზნის ველის აღმოსავლეთ ნაწილის უველაზე დაბალ და გაშლილ აღგილზე  $H_R=0,162$  კმ,  $\bar{R}=8$ .

ეს ბუნებრივიცაა, რაღგან რეგიონის ამაღლებულ აღგილებში იქ- მნება ჰაერის ნაცადური კონვექციური პროცესები. ეს კი განაპირო- ბებს მძლავრი კონვექციური დრუბლების ჩამოყალიბებას, რომლებ- საც შესაბამისად მაღალი  $H_m$ ,  $H_{Zm}$  და  $IgZ_m$  სიდიდეები ახასიათებთ.


$R$  სიდიდის  $H_R$ -თან დამოკიდებულების ახალიზური სახე რომ მიგვედო, შემოვისაზღვრეთ გავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, ალაზნის ვალზე და გომბორის ქედის ჩრდილო კალთებზე დაფი- ქსირებულ კონვექციურ დრუბლებზე ჩატარებული რადიოლოკაციური დაკირვებების მასალებით. ეს ტერიტორია მოიცავს 190 მილოუბანს, ხოლო დრუბლების  $H_m$ ,  $H_{Zm}$  და  $IgZ_m$  პარამეტრების გაზომვათა 3580 სერიალს.

$H_R$ -ის ცვალებადობის არეა 0,156 კმ-დან 1,857 კმ-მდე. ეს დაიაზონი დაყოფილი გვაქვს 0,2 კმ-იან ცხრა ინტერვალად, რომელთა საშუალო სიდიდეებია: 0,2; 0,4; 0,6; . . . 1,8 კმ.  $R$  სიდიდე კი, რომელიც იცვლება 8-დან 25-მდე, დაგვავთ 2-ის ტოლ 9 ინტერვალად, რომელთა საშუალო სიდიდეებია: 8; 10; 12; . . . 24.

$H_R$ -ის თითოეული გრადაციისათვის დადგენილი იქნა  $R$  სიდიდის საშუალო სიდიდეები ( $\bar{R}$ ) და აგებული იქნა მისი  $H_R$ -თან დამოკი- დებულების გრაფიკი, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 2-ზე წყვეტილი ხაზის სახით. ეს გრაფიკი შუალედში 0,15 კმ  $\leq H_R \leq 2$  კმ დამაგრაფილებლად აღიწერება ჩვენს მიერ რეგრესიის გზით მიღებული შემდეგი გან- ტოლებით:

$$R_T = -2.4 H_R^2 + 17.8 H_R + 4.9 \quad (1)$$

რეგრესიის კოეფიციენტები  $-2.4$ ,  $17.8$  და  $4.9$  გამოთვლილია უმცი- რეს კვადრატო მეთოდის გამოყენებით. (1) განტოლების შესაბამისი წირი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე მთლიანი ხაზის სახით. კორელაციის



კოეფიციენტი ტოლია  $0,89$ , ხოლო საშუალო კვადრატული გადახრა იცვლება შუალედში  $1 \div 1,7$ .

(1) განტოლების გამოყენებით კახეთის მთლიანი რეგიონის ოთვეულ მიკროუბნისათვის გამოთვლილი იქნა კონგეგციური ღრუბლების ელჭექსაშიშროების საშუალო თბილსეზონური აქტივობები ( $R_T$ ). შესაბამის მიკროუბნებში  $R_T$ -ს მნიშვნელობების შედარებამ სტატისტიკურად მიღებულ  $\bar{R}$ -ის მნიშვნელობებთან გვიჩვენა, რომ მაქ-სიმალური განსხვავება  $R_T$ -სი  $\bar{R}$ -საგან არ აღემატება 10%-ს.

(1) განტოლებას საშუალებას გვაძლევს რეგიონის  $5\text{km} \times 5\text{km}^2$  ფართობების მქონე მიკროუბნების თავზე განვითარებული ღრუბლებისათვის გამოვითვალოთ  $R$ -ის მნიშვნელობა, თუ გვეცოდინება ამ უბნის რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლე ( $H_R$ ) ზღვის დონიდან.

#### **ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Гайворонский И. И., Зимин Б. И. 1971. - О контроле результата воздействия на грозовые процессы. Тр ЦАО, Гидрометеоиздат, вып. 95, стр. 115-180.

უაკ 551.501.8

კონგეგციური ღრუბლების ელჭექის აქტივობის კავშირი მათი განვითარების ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლესთან. /რ.დორეული/. პმი-ს შრომათა კრებული-2009.-ტ.114.-გვ.67-70.-ქართ.; რებ. ქართ., ინგლ., რუს. კახეთის რეგიონის მაგალითზე გამოკვლეულია რელიეფის გავლენა კონგეგციური ღრუბლების ელჭექის აქტივობაზე (დ). შედგენილია რეგრასიის განტოლება, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეგიონის  $5\text{km}^2$  ფართობის მქონე მიკროუბნის თავზე განვითარებული ღრუბლისათვის გამოვთვალოთ  $R$ -ის მნიშვნელობა, თუ გვეცოდინება ამ უბნის რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან. ილ.2, ლიტ. დას. 1.

УДК 551.501.8

**Connection between thunderstorm activity of convective clouds with average height of a relief of terrain of their development.** /R.Doreuli/Transactions of the Institute of Hydrometeorology. -2009. - т.114. – п.67-70, - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

On an example of Kakheti region of Georgia the influence of height of a relief of terrain on thunderstorm activity of convective clouds ( $R$ ) is investigated. The equation of regressions allowing to calculate of significance  $R$  for clouds explicating above plot with square  $5\text{km}^2$ , explicating above is made when average height of a relief surface is known it.. HR. Fig. 2, Ref.1.

УДК 551.501.8

**Связь между грозовой активности конвективных облаков со средней высотой рельефа местности их развития.**/Р. Дореули/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. –2009. – т.114. – с.67-70. – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

На примере кахетинского гегиона Грузии изучено влияние высоты рельефа местности на грозовой активности конвективных облаков ( $R$ ). Составлено уравнение регрессии, позволяющее рассчитать значения  $R$  для облаков развивающегося над участком с площадью  $5\text{km}^2$ , когда известно его средняя высота рельефной поверхности  $H_R$ . Рис 2, лит.1.

თ.ცინცაძე, ო.შველიძე, ნ.ცინცაძე  
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
შპს 551.509:551.556/047

## რადიოლოგიური მონაცემების გამოყენება ჰიდროლოგიურ გაანგარიშებებში

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, წვიმის ჩამონადენის მათემატიკურ მოდელირებისას, მდინარეთა აუზებში მოსული ნალექების განსაზღვრისათვის ფართო გამოყენება პპოვა რადიოლოგიური მონიტორინგის მონაცემებმა [1-2]. რადიოლოგიური სადგურებიდან მიღებული ინფორმაცია, ატმოსფერული მოვლენების განვითარების შესახებ, გამოიყენებოდა სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის გადასაჭრელად. 1978 წლიდან შესაძლებელი გახდა თიანეთის რაიონში “იორის” საცდელ პოლიგონზე მისი გამოყენება ნალექთა გაზრდის ანუ იმ მდინარეთა ჩამონადენის ხელოვნურად მომატების სამუშაოებოს უვექტურობის დასაბუთებაში, რომლებზედაც უკვე არსებობდა რეგულირებული წეალსაცავები, კერძოდ, მდ.იორის აუზის ჩამონადენის ფორმირებაში ხელოვნური ზემოქმედების პერიოდში.

წვიმის წყლების ჩამონადენის გაანგარიშება და მათი პროგნოზირება, მდინარეთა ცალკეული აუზებისათვის, მრავალი ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენით ფორმირდება და ხასიათის შეხამებით დროში განუმეორებელი არიან. განსატურებით ეს ხება მთის ტიპის მდინარეებს, სადაც წვიმის ჩამონადენის გენეზისი კიდევ უფრო რთულდება, მდინარეთა კალაპოტებში კალთური ჩამონადენის გარების დროის სიმცირის გამო. ანგარიშს ართულებს ატმოსფერული ნალექების (ჩამონადენის უმთავრესი პრედიქტორი) დღემდე არსებული გაზრმვების მეთოდიკა და მონაცემების არ არსებობა (მდინარეთა სათავეებში).

[3] მონაცემების მიხედვით 1970, 1990 და 1993 წლებისთვის ატმოსფერულ ნალექებზე ინფორმაცია და აღიცხვა ტარდებოდა შესაბამისად 441, 149 და 91 სადგურზე. აქედან კასპიის ზღვის აუზზე 47, ხოლო დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში – 44 პუნქტზე. (იხ.ცხრ.1). როგორც ცხრილიდან ვხედავთ საქართველოში ყოველ ათას კვ-მ-ზე საშუალოდ მოდის 1.3 დაკვირვების პუნქტი.

თუ გადავხედავთ ლიტერატურულ წეალოებს [4-9] წარმოდგენას მიყიდვებთ პიდროლოგიური პროგნოზირების თანამედროვე მდგომარეობაზე, რომელთაგან [8]-ში “წყალდიდობის ჩამონადენის გაანგარიშება” განხილულია ჩამონადენის გაანგარიშების მეთოდიკები მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილებაზე. კერძოდ, პიდროლოგიურ პროგნოზირებაში ძირითადი გაანგარიშებები ექრდნობა დეტერმინანტულ მიღღომას, კერძოდ, ალბათური მეთოდები, რომლებიც დამყარებული არიან ჩამონადენის ფიზიკურ საწყისებზე და ითვალისწინებენ მის შემთხვევით ხასიათს და მეთოდები, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, დაყრდნობილი გენეტიკურ თეორიაზე. ეს

უკანასკნელი ფართოდ გამოიყენება მათემატიკური მოდელირების ღროს პატარა აუზის მქონე მთის მდინარეებისათვის.

ცხრილი 1. ფართობებისა და მეტეოროლოგურების (საგუშაგოების) განაწილება სიმაღლის მიხედვით

სიმაღლე ზღვის დონიდან, მ	ფართობი, ათასი კ <sup>2</sup>	%	მეტეოროლოგურების (საგუშაგო) რაოდენობა	სიხშირე, ათას კ <sup>2</sup> -ზე
0–200	7.8	11.2	23	2.9
299–500	10.3	14.8	15	1.5
500–1000	13.9	19.9	25	1.8
1000–1500	12.9	18.5	13	1.0
1500–2000	11.2	16.1	8	0.7
2000–2500	9.3	13.3	5	0.54
2500–3000	2.8	4.0	1	0.35
3000–3500	1.08	1.6	0	-
3500–4000	0.35	0.5	1	2.85
4000 და ზევით	0.07	0.1	0	-
სულ	69.7	100.0	91	საშ.1.3

ამრიგად, პიღოლოლოგიური პროცენტირების ეს ორივე მეთოდი ეყრდნობა ატმოსფერული ნალექების რაოდენობასა და სიხშირეს. პირველი მეთოდი შეტად შარტივია, მაგრამ როგორც პრედიქტორების განსაზღვრის, ასევე თვით განტოლების ამონსნის ცდომილების გამო დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აქმაყოფილებს. მეორე მეთოდი რთული და საიმედოა, მაგრამ აქაც ატმოსფერული ნალექების გაზომვების საშუალებები გარკვეულ ცდომილებას იწვევს.

ამრიგად წვიმის წყლის ჩამონადენის გაანგარიშების მეთოდიკა შესაძლებელია დამუშავდეს გენეტიკური თეორიის საფუძველზე, რომელშიც ატმოსფერულ ნალექებზე დაკვირვებულ მასალებში გამოყენებული იქნება, სტანდარტულ დონეზე გაზომილი რადიოლოგაციური მონიტორინგის სისტემა, რაც საგრძნობლად გაზრდის გამოთვლების საიმედობას.

ამრიგად, ანალიზურ გაანგარიშებაში, დაფუძნებული ჩამონადენის წარმოქმნის (გენეზისის) პრიციპებზე, გათვალისწინებული უნდა იქნას მდინარეთა აუზებში ზედაპირული ჩამონადენის ფორმირების კავშირის მიზეზობრივ და გამომწვევ ფაქტორებს შორის. კერძოდ, მეტეოროლოგიური ელემენტებით (თხევადი ნალექი) გამოწვეული ჩამონადენის ფორმირება წყალშემკრები აუზის ნებისმიერი ფართიდან.

წვიმის წყლის ჩამონადენი შეიძლება წარმოვადგინოთ ინტეგრალური ფორმით

$$Q_t = f_t h_1 + f_{t-1} h_2 + \dots + f_1 h_t = \sum_{k=1}^t f_k h_{t-k+1} = \sum_{k=1}^t f_{t-k+1} h_k$$

რომელიც ნდოლგოვისა და მ.ველიკანოვის შრომებში [8-9] გუნებრივი ფორმულის სახელწოდებით არის ცნობილი და მას შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} Q_t &= \int_0^t \frac{\partial f}{\partial t} (X - P) dt \\ Q_t &= \int_0^t \frac{\partial f}{\partial t} h dt \end{aligned} \quad | \quad (1)$$


სადაც, დროის  $t$  მომენტისათვის -  $Q_t$  ჩამონადენის ხარჯია;  $f$  – ერთდროული ჩამონადენის ფართობი, რომელიც ჩამპეტი კვეთისათვის წარმოადგენს ფუნქციას წყლის გარებების დროის და მდინარის დინების სიჩქარის;  $X$  – წვიმის წყლის ფენის სიმაღლე;  $P$  – ჯამური დანაკარგები დროში;  $h=X-P$  – ჩამონადენის ფენა.

ვინაიდან ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს მდ.იორის სოფლელოვანთან (ჩამპეტი კვეთი) ხელოვნური ზემოქმედების შედეგად ჩამონადენის გაანგარიშება, (1)-ის გამოყენებით. დავადგინეთ აუზის ჰიდროგრაფიული ქსელის სხვდასხვა ფართიდან მოსული, ელემენტალური ჯამური ჩამონადენის მოცულობა, გარებების დროის გათვალისწინებით. კერძოდ, მდ.იორის ზემო წელი (სოფლელოვანამდე) დაგვავით 190 თანაბარი ფართის ( $5 \text{ km}^2$ ) კვადრატებათ, თვითეული კვადრატიდან ვიანგარიშეთ გარებების დრო (ნახ.1.ა.). რადიოლოგიკური კომპლექსით, ლოკაციის ხილვადობის არეალში (100–200  $\text{km}$  რადიუსი) განსაზღვრული იქნას მდინარის ცალკეულ აუზში მოსული ნალექების ინტენსივობა დროის ერთეულში, დადგენილი იქნას ის ფართი რომელზედაც აღნიშნული ნალექი მოვიდა. (ნახ.1. ბ.).

გავიანგარიშოთ მდ.იორს ზემო წელში 1985 წლის 25 მაისს დრუებელთა სისტემაზე წარმოებული ზემოქმედების შედეგად მიღებული ჩამონადენი (ჩამპეტი კვეთი სოფლელოვანი, აუზის ფართობი  $494 \text{ km}^2$ , მდინარის სიგრძე  $43 \text{ km}$ , მდინარის დახრილობა  $30\%$ , გარებების დრო 8–10 სთ, ჩამონადენის კოეფიციენტი  $0.35$ ). გამოთვლის შედეგები მოცემულია ნახ.2-ზე და ცხრ.2-ში მოყვანილია გამოოვლის შედეგები.

ბ.		
▼	-	პიდროლოგიური საგუშაგო
●	-	მეტეოროლოგიური საგუშაგო
ბ.		

ნახ.1. რადიოლოგიკური სადგურის მიერ მინიჭირებელი ფიქსირებული ა). საკვლევი ტერიტორია, ბ). საკვლევ ტერიტორიაზე ღრუბელით სისტემის გადაღვილება




ნახ.2. მდ.იორის აუზის ზემო წელში 1985 წლის 25 მაისს ღრუბელის  
სისტემის გადაადგილება

ცხრილი 2 ექსპრიმენტის გამოვლის შედეგები

მდ.იორი №	მდ.იორი აუზი, მ	მთავრობის ნაკვეთი												ΣΗF	Q <sub>მ/წ</sub>		
		13,0-13,9	13,9-14,0	14,0-15,9	15,5-16,0	14,0-14,10	14,10-14,20	14,20-14,30	14,30-14,40	14,40-14,50	14,50-15,0	15,0-15,5	15,5-16,0				
		0,4	0,7	1,0	0,9	1,1	1,0	2,2	4,2	2,5	1,0	1,4	1,3	0,9	0,9	0,7	0,2
ს.	2	5	2,0														
ს.	3	5		5,0													
ს.	3	5		3,5													
ს.	4	5			5,0	4,5	5,5	5,0	11,0	21,0							
ს.	4	5							21,0								
ს.	5	5				5,0	4,5	5,5	5,0	11,0	21,0	12,5	5,0				
ს.	5	5								21,0	12,5						
ს.	6	5						5,0	11,0		12,5		7,0				
ს.	6	5									12,5		7,0				
ს.	7	5										6,5	4,5				
ს.	7	5										6,5	4,5				
ს.	8	5											4,5				
ს.	8	5											4,5				
ს.	9	5												3,5			
ს.	10	5												3,5	1,0	4,5	0,4
				2,0	3,5	10,0	9,0	11,0	15,0	33,0	84,0	50,0	5,0	14,0	13,0	9,0	9,0
																	275,5
																	26,8

ამრიგად, ლიმნიგრაფის ბაზთის გაშიფრულას აღმოჩნდა, რომ მო-  
სული ატმოსფერული ნალექების ჩამონადენი გაანგარიშება (გარბე-  
ნის დროის გათვალისწინებით) ემთხვევა მდინარე იორის დონის მა-  
ტებას, კერძოდ, წვიმის დაწყებიდან 8 საათის შემდეგ მდინარეში ნა-  
ლექის შესაბამისად დონემ იმატა, რაც გამოსახულია ნახაზ 3-ზე.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. ცინცაძე თ., სვანიძე გ., ბეგალიშვილი გ. 1985, რანდომიზირებულ ექსპერიმენტში კონვექტიური ღრუბლიდან ნალექების გაზრდის ეფექტიანობის დადგენის ჰიდროლოგიური მეთოდის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 117 №1, გვ. 117-120, (რუსულ ენაზე).
2. ცინცაძე თ. 1986, ღრუბელთა სისტემებზე ანთროპოგენური ზემოქმედებით მდინარის ჩამონადენის ფორმირების მათემატიკური მოდელირება. კრაკოვი, პოლონეთი, საერთაშორისო კონფერენციის “ჰიდროლოგიური პროცესები წყალშემკრებზე” შორმათა კრებული, გვ. 205-210, (ინგლისურ ენაზე).
3. Справочник по климату ССС, вып.14., ч.IV. Влажность воздуха, атмосферные осадки, снежный покров. Л., Гидрометеоиздат, 1970, 425 с.
4. Румянцев В.А., Кондратьева С.А., Капотова Н.И., Ливанов Л.А. Опыт разработки и применения математических моделей бассейнов малых рек. Л., Гидрометеоиздат, 1985. 93 с.
5. Расчеты паводочного стока. Методы расчетов на основе мирового опыта. Л., Гидрометеоиздат, 1978, 363 с.
6. Границы гидрологии. Т. II, Л., Гидрометеоиздат, 1975, 544 с.
7. Владимиров А.М. Гидрологические расчеты. Л., Гидрометеоиздат, 1990, 364 с.
8. Великанов М.А. Композиционный метод нахождения кривой распределения для пиковых расходов весеннего половодья. Метеорология и гидрология, №3, 1949.

**9. Долгов Н.Е. основные положения теории стока ливневых вод. Гидрологический вестник, 1916.**

უაკ 551.509:551.556/047

რადიოლოგიური მონაცემების გამოყენება ჰიდროლოგიურ გაანგა-  
რიშებებში. /ი.გონგაძე, ი.ვალიძე, ნ.ცინცაძე/. ჰარტ. შრომათა პრეპუ-  
ლი. 2010.-ტ.114.-გვ.69-75.-ქართ., რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

რადიოლოგიური სადგურის ინფორმაციაზე დაყრდნობით და გენეტიკური  
ფორმულის გამოყენებით გაანგარიშებულია მდ.იორის – ხოჭლელოვანთან,  
1985 წლის 25 მაისს ჩატარებული ღრუბელზე აქტიური ზემოქმედების  
შედეგად მიღებული წვიმის წყლის ჩამონადენი

UDC 551.509:551.556/047

**Application of radio-location data in hydrological calculations** /T.Tsintsadze,  
O.Shvelidze, N.Tsintsadze/.Transactions of the Institute of Hydrometeorology. 2010.-  
V.114.-p.69-75.-Georg., Summ.:Georg.,Eng.,Russ.

Based on the radio-location station information and via usage of the genetic formula, the  
rain water runoff received as a result of the active influence exerted on the cloud on May 25,  
1985 near village Lelovani – riv. Iori has been calculated.

УДК 551.509:551.556/047

**Использование радиолокационных данных для гидрологических расчетов.**  
/Т.Н.Цинцадзе, О.А. Швейдзе, Н.Т.Цинцадзе/. Сб. Трудов Института гидро-  
метеорологии АН Грузии. – 2010. – т.114. – с.69-75. – Груз., рез.: Груз.,Анг.,Русск..  
На основании информации радиолокационной станции и использованием  
генетической формулы стока, рассчитан дождевой сток р.Иори у створа Леловани по  
итогам активного воздействия на облака проведеный 25 мая 1985 года.

III. ღრუბლებზე ზემოქმედებით გამოწვეული ნალექისა დაბინძურება.

III. Precipitation pollution caused by cloud seeding.

III. Загрязнение осадков, вызванные воздействием на облака.

პიროვნეოროლოგიის ინსტიტუტის შერმავა, ტომი №114

TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114

ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

გ. სალუქვაძე

პ.მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და

ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

თ.სალუქვაძე

შ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

უაკ 550.42;54.064

**ატმოსფერულ ნალექებზე ფაზისა და იოზის პონცენტრაციების**

**დამოკიდებულება ბროგა საჭვიმარ ღრუბლებზე ზემოქმედების**

**დაფარის მომენტიდან ბასულ ღროზე**

ღრუბლებზე ზემოქმედების ნორმალურად ჩატარების შეფასება შესაძლებელია ზემოქმედებაქმნილი ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში ზემოქმედების პროცესების (ჩევნს შემთხვევაში Pb და I) კონცენტრაციის დონის შემოწმებით. წინამდებარე ნაშრომში დეტალურად არის გამოკვლეული იმ რეგიონის ნალექების ქიმიური შემადგენლობა, სადაც ზემოქმედება სწარმოებდა (ლ.შ.აბესალაშვილი და სხვ., 1972). გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმ დღეების ნალექებში, როცა ზემოქმედება ტარდება, Pb-ის და I-ის შემცველობები თითქმის 2 - 2,5-ჯერ აღემატება ისეთ ნალექებში ამ კლემნტების შემცველობას, როცა ზემოქმედების ოპერაცია ჩატარებული არ ყოფილა. ეს თითქმის ცალსახად მიუთითებს, რომ Pb და I-ის კონცენტრაციის ზრდა დამოკიდებული უნდა იყოს ზემოქმედებაზე. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ზემოქმედების დღეებში გაზრდილია ნალექებში ძირითადი იონების კონცენტრაციაც (ლ.შ.აბესალაშვილი და სხვ., 1972). ეს კი შედეგია იმისა, რომ დღეები, როცა სეტემბერში და სეტემბერი ღრუბლების განვითარებას აქვს ადგილი, ხასიათება ატმოსფეროს ძლიერი ტურბულენტური მოძრაობებით, რაც იწვევს ატმოსფეროში და შემდეგ ნალექებში ტერიგენული აეროზოლების მომატებული რაოდენობის მოხვედრას. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოქმედების დღეებში ნალექებში Pb და I-ის კონცენტრაციის ზრდა ნაწილობრივ მაინც შეიძლება იყოს განპირობებული ზემოთაღწერილი მოვლენის გამო.


ადნიშნულ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვლია თუ როგორ იცვლება Pb და I-ის კონცენტრაცია ნალექებში ღრუბელზე ზემოქმედების დაწყებიდან გასულ დროსთან კავშირში.

ამ მიზნისათვის გამოვიყენეთ გასულ წლებში აღმოსავლეთ საქართველოში (თელავის რ-ნი სოფ. რუსპირი) წარმოებული ატმოსფერული ნალექების ფრაქციულად აღებული სინჯების ქიმიური ან-

ალიზის შედეგები. ნალექის ფრაქციულად აღება ხდებოდა ნალექის მოსვლის დასაწყისიდან კოველ 15 წუთში. მართალია ნალექების ქიმიურ შემადგენლობაზე დაკვირვების პერიოდი მრავალ წელს მოიცავს (1966 - 1979წ.), ისეთი სინჯების რაოდენობა, როცა დაცული იყო ზემოთხსენებული პირობები, 63-ს არ აღემატება. თითოეულ 15 წუთიან დროით ინტერვალში სინჯების რაოდენობა იცვლება 6-დან 14-მდე. მართალია ასეთი მონაცემების გასაშუალებული მნიშვნელობების საიმედოობა შედარებით დაბალია, მაგრამ პირველადი შეფასებისათვის ნამდვილად გამოდგება.

Pb და I-ის კონცენტრაციის დინამიკის სრული სურათის წარმოდგენისათვის შესწავლილი იქნა ზემოქმედებაქმნიდი დრუბლებიდან ზემოქმედებამდე მოსული ნალექების ქიმიური შემადგენლობა. დროის ამ ინტერვალს პირობითად ვუწოდეთ ნულოვანი ინტერვალი. შემდეგი 15 წუთიანი ინტერვალი შეესაბამება მომენტს, როცა სინჯი აღებული იქნა ზემოქმედების დაწყებიდან  $7,5 \div 22,5$  წუთის განმავლობაში. ასევე 30 წუთიან ინტერვალში ჩართულია იმ სინჯების ქიმიური ანალიზის შედეგები, რომელიც აღებულია ზემოქმედების დაწყებიდან  $22,5 \div 37,5$  წუთის განმავლობაში და ა.შ.

გაანალიზებულია შემთხვევები, როცა ზემოქმედების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 15 წუთს. ეს ძირითადად არის ერთუჯრედიან დრუბლებზე ზემოქმედების შემთხვევები.



ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები ნახვენებია ნახ.1-ზე.

ნახ. 1. ატმოსფერულ ნალექებში ტყვიისა(1) და იოდის(2) კონცენტრაციების მნიშვნელობების ზემოქმედების დაწყებიდან გასულ დროსთან დამოკიდებულების გრაფიკი

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ნალექის სინჯებში, რომელიც წინ უსწრებდა ზემოქმედების დაწყებას, Pb და I-ის კონცენტრაციია დაახლოებით ისეთივეა, როგორიც საერთოდ ზემოქმედების დღეებში (Л.Ш.

Абесалашвили и др., 1976) სინჯები, რომლებიც აღებულია ზემოქმედების დაწყებიდან 15 წელში, ხასიათდებიან Pb და I-ის მომატებული (2,5 და მეტიც) კონცენტრაციით. ინტერგალების რიცხვის ზრდასთან ერთად ტყვიისა და იოდის კონცენტრაციები სწრაფად ეცემა და თითქმის ზემოქმედების დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ უახლოვდება ზემოქმედებიანი დღეებისათვის დამახასიათებელ მათ ფონურ მნიშვნელობებს.

Pb-სა და I-ის დროში სინქრონული ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს მიერ გაანალიზებულ ატმოსფერულ ნალექებში Pb-ის კონცენტრაციის ზრდა ძირითადად მაინც დამოკიდებულია ზემოქმედებასთან და არა ატმოსფეროს მდგომარეობაზე ზემოქმედების დღეებში, რადგანაც I-ის წყაროს ატმოსფეროში მხოლოდ ზღვის წყალი წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ატმოსფერულ ნალექებში ტყვიისა და იოდის კონცენტრაციის ნახტომისებური ზრდა ზემოქმედების დაწყებიდან 15 წელის გასვლის შემდეგ შეიძლება მივაწეროთ ზემოქმედებას, ხოლო ამ ნახტომზე მიწის ზედაპირიდან ატმოსფერულ ნალექებში მოხვედრილი ტყვიის რაოდენობის გავლენა უმნიშვნელოა. ზემოქმედებაქმნილი ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში ამ ნივთიერებათა კონცენტრაციის ფონურ მნიშვნელობამდე დაცემა ხდება არა უადრეს 45 წელისა.

## ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Абесалашвили Л.Ш., Карцивадзе А.И., Карсанидзе Н.И., Супаташвили Г.Д. 1972: Исследование химического состава атмосферных осадков в районе активного воздействия на облака. Труды Института геофизики АН Грузии, изд. "Мецниереба", т. 28, с. 125-130.
2. Абесалашвили Л.Ш., Супаташвили Г.Д. 1976. Влияние активных воздействий на содержание свинца и йода в атмосферных осадках Алазанской долины. Труды Тбилисского Государственного Университета, т. 178, Тбилиси, с. 15-26.

უაკ 550.42;54.064

ატმოსფერულ ნალექებში ტყვიისა და იოდის კონცენტრაციების დამოკიდებულება გროვა საწიმარ ღრუბლებზე ზემოქმედების დაწყების მომენტიდან გასულ დროზე/მ.სალუქაძე.თ.სალუქაძე/. პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.114.-გვ.85-96.- ქართ.; ოქ. ქართ., ინგლ., რუს. ნაშრომი ეძღვნება გროვა საწიმარი ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში ზემოქმედების პროდუქტების (Pb და I) კონცენტრაციის დროში ცვალებადობის შესწავლას. დადგენილია, რომ ზემოქმედების დაწყებიდან 15 წელში Pb-ის და I-ის კონცენტრაციები 2,5-ჯერ აღემატება მათ შესაბამის მნიშვნელობებს ზემოქმედების დაწყებამდე. კონცენტრაციები თავის ფონურ მნიშვნელობებს აღწევს ზემოქმედების დამთავრებიდან 40-50 წელის გასვლის შემდეგ. ილ.1, ლიტ.დას.2.

UDC 550.42;54.064

**Dependence of concentration Plumbum and Iodine in atmospheric precipitation from time, past from a beginning of influence on Cumulonimbus clouds.** /M.Salukvadze,T. Salukvadze/. Translations of the Institute of Hydrometeorology.-2007.-V.114.-p.85-96.- Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

The work is devoted to study of changes of concentration of products of influence (Pb and I), in the atmospheric precipitation which has dropped out of clouds, subjected to artificial influence. Is established, that of concentration of these elements in precipitation taken in 15 minutes the ambassador of a beginning of influence 2,5 times surpass to similar sizes at the moment of a beginning of influence. To the background meanings they come back after 40-50 minutes after ending influence have passed. Fig.1,Ref.2.

УДК 550.42;54.064

**Зависимость концентраций свинца и йода в атмосферных осадках от времени, прошедшего от начала воздействия на кучево-дождевые облака..** /М.Т.Салуквадзе, Т.Г. Салуквадзе/. Сб. Трудов Института гидрометеорологии АН Грузии. - 2007.-т.114.-с.85-96.- груз.; груз., англ., рус.

Работа посвящается изучению изменений концентраций продуктов воздействия (Pb и I), в атмосферных осадках, выпавших из облаков, подвергнутых искусственному воздействию. Установлен, что концентраций этих элементов в осадках, взятых через 15 минут после начала воздействия, 2,5 раза превосходит аналогичным величинам в момент начала воздействия. К своим фоновым значениям они возвращаются по прошествий 40-50 минут после окончания воздействия. Рис.1,лит.2.

პირველი გეოფიზიკური ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

გ. სალუქვაძე

მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და  
ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

თ. სალუქვაძე

მ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი  
უავ 550.42;54.064

შედებასი განვითარების ერთულებიდან ღრუბლებიდან

მოსულ ნალექებში და მიზისირა აეროზოლებში Pb-ის,

I-ისა და Cu-ის შემცველობის დამოკიდებულება ამ

ღრუბლებში შეტანილი ჰქონის იონიზაციის რაოდენობაზე


ალაზნის ველის ატმოსფერული ნალექების ქიმიურ შემადგენლობაზე ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების გავლენას სწავლობდნენ ა.ქარცივაძე, გ. სუპატაშვილი, ლ. აბესალაშვილი და სხვ (გ. დ. სუმაშვილი და ა. აბესალაშვილი 1972; ლ. შ. აბესალაშვილი და გ. დ. სუმაშვილი 1972). მათ მიერ გამოკვლეული იქნა მიწისპირა აეროზოლებისა და ატმოსფერული ნალექების ქიმიური შემადგენლობის დროში და სივრცეში გასაშუალებული მნიშვნელობები და მოძებნილ იქნა კავშირი წლის განმავლობაში ატმოსფეროში ღრუბლებზე ზემოქმედების დროს გაბნეული აქტიური რეაგენტის ( $PbI_2$ ) რაოდენობასა და აეროზოლებში და ნალექებში Pb, I და Cu-ის შემცველობას შორის. საკითხისადმი ასეთნაირად მიღეობისას მნელია იმის დადგენა, თუ რის შედეგია ესა თუ ის დამოკიდებულება საკვლევ სიდიდეებს შორის.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევცადეთ ყოველი ცდის შედეგი (ცდას ვუწოდებთ ღრუბლებზე აქტიურ ზემოქმედებას და ამ ღრუბლიდან მოსული ნალექისა და ერთდროულად აღებული აეროზოლის სინჯის ქიმიურ ანალიზების ერთობლიობას) გაგვეანალიზებინა ცალკეალკე. სსენტებულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ერთულებიან შიდამასიური განვითარების ღრუბლებს, რომლებიც ვითარდებოდნენ ერთ გარემოებულ ადგილას და შემდეგ გადაადგილდებოდნენ ნალექისა და აეროზოლის სინჯების აღების ადგილისაკენ.

ცდის დროს რადიოლოკატორით ფიქსირდებოდა ღრუბლის რადიოექოს პორიზონტალური კვეთი დაახლოებით 4 - 6 კმ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. იმ მეთოდიკის თანახმად, რომლითაც სწარმოებდა ღრუბლებზე ზემოქმედება, რეაგენტი შექმნდათ უპირატესად ზემოთ სსენტებული კონტურის შიგნით და ის შემდებისდაგვარად განაწილებული უნდა ყოფილიყო თანაბრად.

ცდები შერჩეულ იქნა ისეთნაირად, რომ ღრუბლებს გარდა ერთნაირი გენეზისისა, უნდა პერნოდათ თითქმის ერთნაირი მაქსიმალური სიმაღლე (10-12 კმ.) და მოძრაობის თითქმის ერთნაირი ტრაექტორია. იმის გამო, რომ ისინი ხასიათდებოდნენ სეტყვასაში შროების სხვადა-

სხვა მნიშვნელობებით და სხენებული კვეთის სხვადასხვა სიდიდით, მათში შეყვანილ იყო სხვადასხვა რაოდენობის აქტიური რეაგენტი. ნახ.1-ზე წარმოდგენილია ერთ-ერთი ცდის სქემატური გამოსახულება. სქემაზე შეკრული ტენილი კონტური შექსაბამება დრუბლის რადიო-ექს პორიზონტალურ ჭრილს 5,4 კმ-ის სიმაღლეზე. ნომრები კონტურებს შიგნით აღნიშნავენ რადიოექტოზე დაკვირვების დროის გარკვევულ მომენტს, რომელთა შორის სხვაობა 4-6 წუთის ტოლია. მრგვალი წერტილებით აღნიშნულია რეაგენტიანი რაკეტების გაშვების ადგილები. ისრებიანი ხაზებით შემოსაზღვრულია რაკეტების გაშვების პორიზონტალური კუთხეები. ოთხკუთხედი წერტილით სქემაზე აღნიშნულია სინჯების ადგილი ადგილი (თელავის რ-ნი, სოფ. რუისპირი). ყოველი ცდის დროს ცნობილი იყო ზემოქმედების დაწყებისა და დამთავრების დრო. ნალექისა და აეროზოლების სინჯების აღების დრო ყოველთვის თავსდებოდა დროის ზემოთ-სხენებულ ინტერვალში.



ნახ. 1. ერთ-ერთი ცდის სქემატური გამოსახულება

ცდების საერთო რაოდენობა, რომელიც აგმაყოფილებდა ყველა ზემოთჩამოთვლილ პირობას, მოცემულ შემთხვევაში, შემოსაზღვრება 54-ით. აქედან 35 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ინტენსივობის ზემოქმედებას.

პარალელურად გაანალიზებულ იქნა ისეთი შემთხვევებიც (სულ 19 შემთხვევა), როცა დრუბლის წარმოშობის ადგილი და განვითარების ისტორია თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ზემოთაღწერილ შემთხვევებში, მაგრამ მათი არასერტყვასაშიშროების გამო მათზე ზემოქმედება ჩატარებული არ ყოფილა. ასეთი დრუბლები თავისი განვითარების ტაპით (ერთუჯრედიანი, შიდამასიური ხასიათის) ისეთივე იყო, როგორც ზემოთნახსენები დრუბლები, მაგრამ განვითარების სიმძლავრით ჩამოუვარდებოდა მათ. ასეთი დრუბლების სეტყვასაშიშროების კოეფიციენტი არ აღემატებოდა 0,3-0,4.


არაზემოქმედებაქმნილი ღრუბლების ჩართვა შემოთავაზებულ ანალიზში განპირობებულია იმით, რომ საჭიროა გვქონდეს გასაანალიზებელი სიდიდეების ე.წ. ფონური მნიშვნელობები.

ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ნალექებში და აეროზოლებში  $Pb$ -ის და  $I$ -ის შემცველობაზე. პარალელურად ისაზღვრებოდა  $Cu$ -იც. ეს უკანასკნელი აღებული იყო, როგორც საპონტოლო ელემენტი, რაღაც ზემოქმედების რეაგენტი მას არ შეიცავს, მისი ძირითადი წყარო ნიადაგია, სადაც იგი ხვდება სასოფლოსამეურნეო კულტურებზე აგროქიმიური ოპერაციების ჩატარების დროს.

საქართველოს ატმოსფერული ნალექებში  $Pb$ -ის,  $I$ -ის და  $Cu$ -ის შემცველობის ფონურ მნიშვნელობად ითვლება  $2,3\text{მგ}/\text{ლ}$ ,  $4,9\text{მგ}/\text{ლ}$  და  $1,2\text{მგ}/\text{ლ}$  შესაბამისად (ლ.შ. აბესალაშვილი დр., 1972).

არაზემოქმედებაქმნილი ღრუბლებისათვის ჩვენს შემთხვევაში ამ სიდიდეების საშუალო მნიშვნელობები ოდნავ აღემატება ზემომოყვანილ მნიშვნელობებს. ( $Pb$ -სთვის იგი ტოლია  $2,6\text{მგ}/\text{ლ}$ -სა, იოდისთვის -  $5,1\text{მგ}/\text{ლ}$  და სპილენისთვის -  $1,5\text{მგ}/\text{ლ}$ ). ამის მიზეზი, ალბათ, გახდავთ ის, რომ ფონური მნიშვნელობების დაგენისას იღებდნენ ყველა სინჯა, აღებულს აპრილის დასაწყისიდან ოქტომბრის ბოლომდე. ჩვენს შემთხვევაში ცდების უმრავლესობა მოდის სეტემბერის თვალსაზრისით შედარებით უფრო აქტიურ თვეებზე (მაისი-ივნისი და აგვისტო-სექტემბერი), რომელიც ძლიერი კონვექციური და ტურბულენციური მოძრაობებით ხასიათდება (ზ. ხვდელიძე, 1998).

ზემოქმედებაქმნილი შიდამასიური პროცესის ერთუჯრედიანი



ღრუბლების შემთხვევაში ნალექებში ტყვიის საშუალო შემცველობა  $6,15\text{მგ}/\text{ლ}$  ტოლია, იოდის -  $8,4$ , ხოლო სპილენის -  $1,4\text{მგ}/\text{ლ}$ .

რაოდენობრივად იქნა შეფასებული კაფშირი  $PbI_2$ -ის რაოდენობასა და შესაბამის ნალექებსა და აეროზოლებში  $Pb$ -ის შემცველობას შორის. გრაფიკულად ეს დამოიდებულება ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.

ნახ.2. ზემოქმედების დროს გახარჯული რეაგენტის რაოდენობაზე ატმოსფერულ ნალექებში და აეროზოლებში ტყვიის შემცველობის დამოკიდებულების გრაფიკი.

გახარჯული რეაგენტის იმ რაოდენობებისათვის, რომელიც ბონაც საქმე გვქონდა ჩვენი ცდების დროს (გახარჯული რეაგენტის რაოდენობა ერთი ცდის დროს 80 კგ-ს არ აღემატებოდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საქმე გვქონდა სუსტ და საშუალო განვითარების სეტყვასაში დრუბლებთან), ეს დამოკიდებულება წრფივია. საკმაოდ ძალალი მნიშვნელობა აქვს წრფივი კორელაციის კოეფიციენტს. ( $r=0,89$ ).

აგრეთვე წრფივი დამოკიდებულებაა ნალექებში Pb-ისა და I-ის შემცველობებს შორისაც. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ალაზნის გელზე ატმოსფეროში იოდის მოხვედრის სხვა წყარო თითქმის არ არსებობს, ზემოქმედების გარდა. მაღალია შესაბამისი კორელაციის კოეფიციენტიც -  $r=0,95$ . ანალოგიურად იქნა გამოკვლეული აეროზოლებში ტყვიის შემცველობაც (იხ.ნახ.2). მასზე ნაჩვენებია გრაფიკული დამოკიდებულება სოფ. რუსპირში აღიძული პაერის სინჯებში ზემოქმედების მასშტაბსა და ამ სინჯებში ტყვიის შემცველობას შორის. ჩვენთვის საინტერესო ტყვიის იოდიდის რაოდენობისათვის ეს დამოკიდებულებაც წრფივია. აქ საინტერესოა ერთი გარემოების ხაზგასმა. ზემოთხსენებულ ორ სიდიდეს შორის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა შედარებით დაბალია ( $r_{kor}=0,6$ ).

ალაზნის ველისათვის პაერში ტყვიის შემცველობის ფონურ მნიშვნელობად ითვლება  $1,17 \text{ კგ}/\text{მ}^3$ . ჩვენ შემთხვევაში იგი ტოლია  $1,4 \text{ მკგ}/\text{მ}^3$ . ეს უკანასკნელი ემთხვევა დიდი ქალაქებისათვის პაერში ტყვიის შემცველობის მნიშვნელობას (Farn P., Parungo O.R.I., 1970).

ამრიგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გამოკვლეულია და დამყარებულია რაოდენობრივი კავშირები ალაზნის ველის ერთულებითან, შიდამასიური პროცესებისათვის დამახასიათებელი დრუბლებიდან მოსულ ატმოსფერულ ნალექებსა და მიწისპირა აეროზოლებში ტყვიის, იოდის და სპილენძის შემცველობებსა და ზემოქმედების მასშტაბებს შორის.

#### ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. xvedeliZe z. 1998: sinoptikuri meteorologia. Tbilisi, Tbilisis saxelmwifo universutetis gamomcemloba,. 190 gv.
2. Farn P., Parungo O.R.I., 1970, J. Appl. Meteorology Am. Met. Soc., vol.10, p. 86-94.
3. Абесалашвили Л.Ш., Карцивадзе А.И., Карсанидзе Н.И., Супаташвили Г.Д. 1972: Исследование химического состава атмосферных осадков в районе активного воздействия на облака. Труды Института геофизики АН Грузии, изд. "Мецниереба", т. 28, с. 125-130.
4. Супаташвили Г.Д., Карцивадзе А.И., Абесалашвили Л.Ш., Карсанидзе Н.И. 1972. Микроэлементы в атмосферных осадках Алазанской долины. Вестник АН Грузии, т. 66, №1, с. 121-124.

უაკ 550.42;54.064

შიდამასიური განვითარების ეროვნულებიდან მოსულ ნალექებში და მიწისპირა აეროზოლებში Pb-ის, I-ისა და Cu-ის შემცველობის დამოკიდებულება ამ ღრუბლებში შეტანილი ტყვიის ოდიდის რაოდენობაზე /მ. სალუქვაძე, თ.სალუქვაძე/ ჰმის-შრომათა კრებული -2007.- ტ.114.-გვ.85-96.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.  
ნაშრომში განხილულია ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების დროს მათში შეტანილი ტყვიის ოდიდის რაოდენობის გავლენა ამ ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში და მიწისპირა აეროზოლებში ტყვიის, ოდიდისა და სპილენიოს კონცენტრაციებზე. Pb-სა და I-ის კონცენტრაციები ნალექებსა და მიწისპირა აეროზოლებში, როცა ღრუბლებში შეტანილი იყო არა უმცეს 80 კგ ტყვიის ოდიდის აეროზოლი, 2-3-ჯერ აღემატება მათ ფონურ მნიშვნელობას, ხოლო Cu-ის კონცენტრაცია  $\text{PbI}_2$ -ის რაოდენობისაგან არ არის დამოკიდებული. ილ.2.,ლიტ.დას. 4.

УДК550.42;54.064

**Dependence of concentrations Pb, I and Cu in the precipitations which have dropped out of singlcell air-mass clouds and in lowest layer aerosols from an amount of lead iodide, brought in these clouds ..**/M. Salukvadze, T. Salukvadze/. Transactions of the Institute of Hydrometeorology. -2007. - т.114. – р. 85-96 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ. In the article the influence of an amount of lead iodide, brought in a singlcell air-mass cloud on concentrations Pb, I and Cu in precipitations and aerosols is investigated. Concentrations in precipitations and aerosols Pb and I, when in appropriate clouds was introduced no more than 80 kg. Lead iodide, 2-3 times exceed of their background significance, and the concentration Cu does not depend on an amount  $\text{PbI}_2$ . Fig. 2.Ref. 4.

УДК550.42;54.064

**Зависимость концентраций Pb, I и Cu в осадках, выпавших из одновечайковых внутримассовых облаков и в приземных аэрозолях от количества йодида свинца, внесенного в этих облаках..**/М.Т.Салуквадзе, Т.Г.Салуквадзе/. / Сб.Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. –2007. – т.114. – с.85-96. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

В статье изучено влияние количества йодида свинца, внесенного в одновечайковое внутримассовое облако на концентраций Pb, I и Cu в осадках и аэрозолях. Концентраций в осадках и аэрозолях Pb и I, когда в соответствующих облаках было внесено не более 80 кг. Йодида свинца, 2-3 раза превосходит их фонового значения, а концентрация Cu не зависит от количества  $\text{PbI}_2$ . Рис. 2, лит. 4.

IV. მეზომასშტანგური და ლოკალური ატმოსფერული პროცესების  
თეორიული მოდელირება

IV. Theoretical modelling of mesoscale and local atmospheric processes.

IV. Теоретическое моделирование мезомасштабных и локальных атмосферных  
процессов.

კიბრიშვილის ინსტიტუტის გარემობის გარემობის გარემობის გარემობის  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

დ. დემეტრაშვილი  
პილოტუროლოგიის ინსტიტუტი  
უკა 551.558.21:551.551.32

ჰამრის ფონდი ნაპარის მიერ საქართველოს რელიეფის  
გარსდენის მათემატიკური მოდელირების შედეგები

[1,2]-ში ამოხსნილი იყო თავისუფალ ატმოსფეროში პაერის ნაკადის მიერ მთის გარსდენის სივრცითი არასტაციონარული ამოცანა და რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარებული იყო მოდელური იზოლირებული მთის შემთხვევაში. წინამდებარე სტატიის მიზანია მოკლედ აღვწეროთ [1,2]-ში განხილული მოდელის საფუძველზე ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების ზოგიერთი შედეგი საქართველოს რელიეფის გათვალისწინებით.

მოკლედ დაგახასიათოთ მოდელის ძირითადი თავისებურებანი. მოდელს საფუძვლად უდევს ატმოსფეროს პიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა პიდროსტატიკურ მიახლოებაში, რომელიც შეიცავს დიდმასშტაბური ფონური პროცესის დამახასიათებელ მეტეოროლოგიურ სიდიდეებს. ვიხილავთ რა ტროპოსფეროში მოძრავ პაერის მასას როგორც იდეალურ სითხეს, ქვედა საზღვარზე მოიცემა პაერის ნაწილაკების სრიალის პირობა

$$w = u \frac{\partial \delta}{\partial x} + v \frac{\partial \delta}{\partial y}, \quad \text{როცა} \quad z = \delta(x, y),$$

ხოლო ზედა საზღვარზე - ტროპოპაუზის სიმაღლეზე

$$w = \frac{\partial H}{\partial t} + u \frac{\partial H}{\partial x} + v \frac{\partial H}{\partial y}, \quad \varphi' = 0, \quad \text{როცა} \quad z = H(x, y, t).$$

აქ  $u$ ,  $v$  და  $w$  პაერის ნაკადის სიჩქარის მდგრებულებია შესაბამისად  $x$ ,  $y$  და  $z$  დერების გასწვრივ ( $z$  დერდი მიმართულია მიწის ზედაპირიდან ვერტიკალურად ზემოთ, ხოლო  $x$  და  $y$  დერები - შესაბამისად აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით),  $\delta(x, y)$  რელიეფის აღმწერი ფუნქციაა,  $\varphi'$  წნევის ანალოგის შეშფოთებაა, ხოლო  $H(x, y, t)$  თავისუფალი ზედაპირია, რომლის საშუალებითაც ხდება ამოხსნის არის ზედა საზღვრის მოდელირება. რელიეფთან დაკავშირებულ კოორდინატთა სისტემაში გადასვლის

შემდეგ ამოცანა ამოხსნილია ლაქს-ვენდროფის ორბიჯიანი მეთოდის გამოყენებით [3]. აღვნიშნოთ, რომ ამოცანის ასეთი ფორმულირება წარმოადგენს [4]-ში განხილული ორგანზომილებიანი მოდელის განზოგადობას სამგანზომილებიანი რელიეფის შემთხვევაში.

საქართველოს ტერიტორიისათვის მოდელის რეალიზაციის მიზნით ამოხსნის არე იფარებოდა სათვლელი ბადით, რომლის პარამეტრები იყო: ვერტიკალური აიდებოდა 31 სათვლელი დონე, ხოლო თითოეულ დონეზე ბადის მთავარი კვანძების რაოდენობა  $x$  და  $y$  დერძების გასწვრივ შესაბამისად შეადგენდა 49 და 26-ს მუდმივი ჰორიზონტალური ბიჯებით  $\Delta x = \Delta y = 12$  კმ. ვერტიკალური ბიჯი რელიეფთან დაკავშირებულ სისტემაში  $\Delta z = 1/30 \approx 0.033$ , რომელიც დეკარტის მართვულხოვან კოორდინატთა სისტემაში შეესაბამება ბიჯს  $\Delta z = 400$  მ შეუცვლებელი თავისუფალი ზედაპირისა და  $\delta(x, y) = 0$  შემთხვევაში. რელიეფისა და  $\partial/\partial x$ ,  $\partial/\partial y$  დახრილობების საწყისი მასივები მიიღებოდა ნებ ბიჯის მქონე ბადის კვანძებში საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკიდან. ამის შემდეგ ხდებოდა ამ მასივთა გაგლუვება [5]-ში წარმოდგენილი ფორმულის საშუალებით, რის შედეგადაც რელიეფისა და დახრილობების საბოლოო გაგლუვებული მნიშვნელობები მიიღებოდა სათვლელი ბადის კვანძებში (12 კმ ბიჯით).


ჩატარებულ რიცხვით ექსპერიმენტში თავისუფალი ზედაპირი  $t = 0$  საწყის მომენტში მოიცემოდა 12 კმ სიმაღლეზე, ხოლო დროითი ბიჯის მნიშვნელობა  $\Delta t = 2\pi$  შეირჩეოდა გამოთვლითი არამდგრადობის კრიტერიუმის შესრულების გათვალისწინებით. ფონური დინება, რომლის პარამეტრები მოდელში აპრიორულად მოიცემოდა, ჩნდებოდა საწყის მომენტში და 2 სთ-ის განმავლობაში აღწევდა სტაციონარულ მდგომარეობას. გამოთვლის შედეგები განიხილებოდა ინტეგრების დაწყებიდან  $t = 10$  ს მომენტისათვის, რის შემდეგაც მეტვროლოგიური ველები მნიშვნელოვნად აღარ იცვლებოდნენ.

ერთ-ერთი რიცხვითი ექსპერიმენტი ჩატარებული იყო დასავლეთის ფონური დინების შემთხვევაში. როგორც ცნობილია ასეთი პროცესების განმეორებადობა საკმაოდ მაღალია წლის თბილ პერიოდში [6,7]. ფონური ქარის მდგენელები  $x$  და  $y$  დერძების გასწვრივ აიდებოდა შემდეგნაირად:  $UU = 10$  მ/წმ,  $V = 0$ .


ნახ.1-ზე ნაჩვენებია ჰაერის დინების გათვლილი ვექტორული ველები 600 და 1000 მ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან. ამ სურათებიდან კარგად ჩანს, რომ დასავლეთის ფონური დინება გარკვეულ დეფორმირებას განიცდის. ამოხსნის არეში მოქცეული შავი ზღვის ნაწილი და კოლხეთის დაბლობი დასავლეთის დინებისათვის წარმოადგენს ქარპირა მხარეს, სადაც ჰაერის ნაკადი “შეიგრძნობს” მოახლოებული ოროგრაფიის არსებობას. ნახაზიდან კარგად ჩანს,

რომ შავი ზღვის ტერიტორიასა და კოლხეთის დაბლობზე ფონური დინება მოახლოებული მთის მასივების გავლენით გადაიხრება მარცხნივ ძირითადი მიმართულებიდან და უმტესად მიმართულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. პჭარისა და აფხაზეთის სანაპიროებთან მიახლოებისას, რომლებიც ხასიათდებიან რელიეფის მკვეთრი ამაღლებით, ჰაერის ნაკადი მეტად უხვევს ჩრდილოეთით და აფხაზეთის სანაპიროებთან ქარის სიჩქარის  $x$  მდგრებლი ნიშანსაც კი იცვლის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქარპირა მხარეს ატმოსფეროს ქვედა ფენებში ჰაერის დინების გადახრა მარცხნივ ფონური ქარის მიმართულებიდან კორიოლისისა და წნევის გრადიენტის ძალების ერთობლივი მოქმედების შედეგია.

(ა)




(ბ)



ნახ.1. დინების ველი დასავლეთის ფონური ქარის დროს  
( $U=10\text{მ}/\text{წმ}$ ) ზღვის დონიდან (ა) 600 და (ბ) 1000 მ სიმაღლეებზე.

მთის მასივთან მიახლოებისას ნაკადის მექანიკური დამუხრუჭების გამო კორიოლისის ძალა მცირდება და შესაბამისად ირდვევა წონასწორობა ამ ორ ძალას შორის. ამგვარად, კორიოლისისა და წნევის გრადიენტის ძალის ტოლქედი მიმართული იქნება ფონური მიმართულებიდან მარცხნივ და ნაკადსაც შესაბამისად აიძულებს გადაიხაროს იმავე მიმართულებით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანალოგიური შედეგი მიღებულია აგრეთვე [8]-ში კავკასიის რეგიონში განვითარებული საშუალო მასშტაბის ატმოსფერული პროცესების მოდელირებისას დასავლეთის ფონური ქარის შემთხვევაში. რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად შეშფოთებული დინების მიმართულება თანდათან უახლოვდება ფონურს და ზღვის დონიდან დაახლოებით 6კმ სიმაღლეზე დინება კვლავ განედურ მიმართულებას დებულობს. გამონაკლისი კავკასიონის ქედის ზემოთ არსებული არეა, სადაც დაიკვირვება გადახრები ფონური მიმართულებიდან.

მთათაშორისო დადაბლება პაერის მასებისათვის წარმოადგენს დერეფანს, სადაც დასავლეთიდან შემოტრილი ფონური დინება კრცელდება აღმოსავლეთი საქართველოშიც თითქმის მიმართულების შეუცვლელად. პაერის მასების მოძრაობა ოროგრაფიულად არაერთგვაროვანი ქვეფენილი ზედაპირის ზემოთ წარმოშობს ვერტიკალურ სიჩქარეებს, რომლებიც ემატებიან სინოპტიკური პროცესებისათვის დამახასიათებელ შედარებით მცირე ვერტიკალურ სიჩქარეებს. ნახ.2-ზე ნაჩვენებია ვერტიკალურ სიჩქარეთა განაწილება ზღვის დონიდან 200მ სიმაღლეზე.




ნახ.2. ვერტიკალური სიჩქარის იზოტირები (სმ/წმ-ში) დასავლეთის ფონური ქარის დროს ( $U=10\text{d}/\text{წ}$ ) ზღვის დონიდან 200 მსიმაღლებზე.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე, რომელიც დასავლეთის ფონური ქარისათვის წარმოადგენს ქარპირა მხარეს, დაიკირვება პაერის აღმავალი მოძრაობა, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის დრუბელთა განვითარებისა და ნალექებისათვის.

განსახილველი არის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც დაბლობს წარმოადგენს პაერის ნაკადი გადმოლახავს რა კავებასიონს, ქვემოთ ეშვება. ამიტომ აქ სჭარბობს დაღმავალი დენები. გათვლილი ტემპერატურის შემფოთებათა ველის ანალიზმა აჩვენა, რომ ტემპერატურის შემფოთებათა განაწილების სურათი ძირითადად ყალიბდება ვერტიკალური მოძრაობის გავლენით. იმ ადგილებში, სადაც პაერის აღმავალ დინებასა აქვს ადგილი, ადიაბატური გაფართოების გამო პაერი ცივდება, ხოლო დაღმავალი მოძრაობის რაიონებში ადიაბატური შეკუმშვის გამო - თბება. ამიტომაც კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე დასავლეთის ფონური ქარის დროს ძირითადად ადგილი აქვს პაერის გაცივებას, ხოლო ამოსენის არის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში - პაერის გათბობას.

შემდეგი რიცხვითი ექსპრომეტრი ჩატარებული იყო აღმოსავლეთის ფონური ქარის შემთხვევაში. ცნობილია, რომ ასეთი სახის სინოპტიკური პროცესები ყველაზე მეტად დაიკვირვება წლის ციკლები [6,7]. ამ შემთხვევაში ფონური ქარის მდგრენელები იყო  $U=10 \text{ მ/წმ}$ ,  $V=0$ .


ნახ. 3-ზე ნაჩვენებია ჰაერის დინებათა ვექტორული ველი 800 მ სიმაღლეზე. ამ შემთხვევაში ჰაერის მასები შეფინანსებულია გავრცელებისას იცვლიან მიმართულებისას და გადიანებისას ფონური ქარის მიმართულებიდან მარცხნივ. ისევე როგორც დასავლეთის ქარის შემთხვევაში, ეს მოვლენა კორიოლისისა და წნევის გრადიენტის ძალების ერთობლივი მოქმედების შედეგია. ნახ.3-დან ჩანს, რომ ჰაერის დინებამ შესაძლოა ფონური შეუშფოთებელი დინების  $x$  მდგრენელის საწინააღმდეგო ნიშანიც შეიძინოს. ეს მოვლენა დაიკვირვება იმ აღგილებში, სადაც მთა ნაკადის მიმართ კედლის როლს ასრულებს და ჰაერის ნაკადი ატმოსფეროს ქვედა ფენებში იძულებულია შემოუხვიოს ძირითადი მიმართულებიდან მარცხნივ.




ნახ.3. დინების ველი აღმოსავლეთის ფონური ქარის დროს ( $U=10\text{ მ/წმ}$ ) ზღვის დონიდან 800 მ სიმაღლეზე

ნახ. 4 – ზე ნაჩვენებია გამოთვლილი ვერტიკალური სიჩქარისა და ტემპერატურის შეუშფოთების ველი ველი ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზე. ნახაზიდან კარგად ჩანს, რომ აღმოსავლეთის ფონური პროცესის დროს კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე მთების ქარზურგა რაიონებში დაიკვირვება საქმოდ მძლავრი დაღმავალი დინებები, რომლებსაც თან ახლავს ჰაერის აღიაბატური გათბობა. ესაა სწორედ დაკვირვებებიდან კარგად ცნობილი ფიონური ქარები, რომლებიც ხშირად ვითარდებიან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთის ფონური პროცესების დროს [7].

(ა)



(δ)



ნახ. 4. (ს) ვერტიკალური სიჩქარეებისა და (ბ) ტემპერატურის ჰეზფოთების ველი 200 მ სიმაღლეზე აღმოსავლეთის ფონური ქარის დროს

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Demetrashevili D. I. A nonstationary three-dimensional problem of mesoscale processes over orographically inhomogeneous Earth's surface. International workshop on limited-area and variable resolution models (Beijing, China, 23-27 October, 1995), WMO/TD – N 699, pp.293-298.
- Деметрашвили Д. И., Кордзадзе А. А. Нестационарная пространственная модель атмосферных процессов, обусловленных орографической неоднородностью подстилающей поверхности. Сообщения АН Грузии, 1995, т. 152, N 1, с.87-91.
- Рихтмайер Р. Д., Мортон К. У. Разностные методы краевых задач. М., Мир, 1972, 418 с.
- Деметрашвили Д. И. Нестационарная задача о мезомасштабных процессах в свободной атмосфере над орографически неоднородной поверхностью Земли. Изв. АН СССР, физика атмосф. и океана, 1979, т. 15, N 7, с.609-709.

5. მიქაელიძე ბ. ა. გამოთვლითი არამდგრადობა და გაგლუვება. პმი-ის ინსტიტუტის შრომები. 1996, გ. 100, გვ. 52-58.
6. ჯავახიშვილი შ. ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერი-ტორიაზე. თბილისი, 1981, 183 გვ.
7. Климат и климатические ресурсы Грузии. Л.Гидрометеоиздат, 1971, 384 с.
8. Kordzadze A., Surmava A. The numerical investigation of the meteorological fields distribution in the Caucasian Region in the presence of the background western wind . III. The atmosphere moisture, cloudiness and the soil moisture. Journ. of Georgian Geoph. Soc., v. 8b, 2003, p. 28-38.

შაპ 551.558.21:551.551.32

პაერის ფონური ნაკადის მიერ საქართველოს რელიეფის გარსდენის მათემატიკური მოდელირების შედეგები/დ. დემეტრაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.114.-გვ.85-96.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია არასტაციონარული სივრცითი ჰიდროსტატიკური მოდელის საფუძველზე ჩატარებული რიცხვითი ექსაერიმენტების შედეგები საქართველოს ტერიტორიისათვის (პორიზონტალური ბიჯით 12 კმ) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფონური ქარების შემთხვევებში. გამოთვლებმა აჩვნენა, რომ მოდელი კარგად აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული გეოგრობლოგიური პროცესების თავისებურებებს, მათ შორის - ფონური ქარების წარმოშობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთის ფონური პროცესების დროს.

UDC 551.558.21:551.551.32

**Results of mathematical modelling of a streamline of a relief of Georgia by air background current.** Demetrašvili D/. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - т.114. – p.. 85-96 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Results of numerical experiments which have been carried out on the basis of non-stationary spatial hydrostatic mesoscale model for territory of Georgia (by horizontal step of 12 kms) are presented in case of east and western background winds. Calculations have shown, that the model well describes features of meteorological processes developing on territory of Georgia, including formation of foehn winds on territory of the Western Georgia at eastern background stream.

УДК 551.558.21:551.551.32

Результаты математического моделирования обтекания рельефа Грузии воздушным фоновым потоком./Д. И. Деметрашили/. Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2007. – т.114. – с.85-96. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

Представлены результаты численных экспериментов, проведённых на основе нестационарной пространственной гидростатической мезомасштабной модели для территории Грузии (горизонтальным шагом 12 км) в случае восточного и западного фонового ветров. Расчёты показали, что модель хорошо описывает особенности метеорологических процессов, развивающихся на территории Грузии, в том числе - формирование фёновых ветров на территории Западной Грузии при восточном фоновом потоке.

**ბ.მიქაელიძე**

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.510

**მთვარის გავლენა ატმოსფერული პროცესების დინამიკაზე**

აგმოსფერული პროცესების დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღგილმდებარეობის რელიეფი. ამ გავლენის გამო, ერთის მხრივ, ირღვევა ქარის გეოსტროფიულობა, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნება დამატებითი ვერტიკალური დინებები, განპირობებული მთის კალთებზე ჰარის მასების სრიალით. ქარზე რელიეფის გავლენის გათვალისწინებისათვის ქარის პორიზონტალური მდგრელები წარმოდგენილი გვაქვს შემდეგნაირად [5]:

$$u = -\mu \frac{g}{l} \frac{\partial H}{\partial y} - \mu \frac{g}{l^2} \frac{\partial^2 H}{\partial t \partial x} - \mu^2 \frac{g^2}{l^3} \left( H, \frac{\partial H}{\partial x} \right) - \mu \frac{g^2}{l^3} \frac{\partial H}{\partial x} (H, \mu) - \mu \frac{g}{l^2} \tau \frac{\partial^2 H}{\partial p \partial x}; \quad (1)$$

$$v = \mu \frac{g}{l} \frac{\partial H}{\partial x} - \mu \frac{g}{l^2} \frac{\partial^2 H}{\partial t \partial y} - \mu^2 \frac{g^2}{l^3} \left( H, \frac{\partial H}{\partial y} \right) - \mu \frac{g^2}{l^3} \frac{\partial H}{\partial y} (H, \mu) - \mu \frac{g}{l^2} \tau \frac{\partial^2 H}{\partial p \partial y}, \quad (2)$$

სადაც  $\mu = 1 + (\eta - 1)/n$ ;  $\eta = P_0/P_h$ ;  $P_0 = 1000$  პას - სტანდარტული წნევაა ზღვის დონეზე;  $P_h = P_h(x, y)$  - წნევაა მთის ზედაპირზე;  $n = 1, 2, 4, 8$  შესაბამისად 850, 700, 500 და 300 პას დონეებზე გათვლებისას. დანარჩენი აღნიშვნები ზოგადად ცნობილია.  $\mu$ -ს ასეთი სახით წარმოდგენა ([3]) განპირობებულია იმით, რომ მთების გავლენა ატმოსფერული პროცესების დინამიკაზე სიმაღლის მიხედვით თანდაოთან მცირდება ისე, რომ კავკასიის პირობებში (მთების საშუალო სიმაღლე 3 კმ-ია) 500 პასინი ზედაპირის ზემოთ უმნიშვნელოდ მცირება.

თუ (1) და (2)-ში დაგუშვებთ, რომ  $\mu = 1$ -ს და უგულვებელველველოფთ ბოლო წევრს ( $\mu$  ერთეული ხდება 0-ის ტოლი), მივიღებთ ი.კიბელის ცნობილ მეორე მიახლოებას [2]. ბუნებრივია, ისმება კითხვა, რამდენად აუცილებელია მე-4-ე და მე-5-ე წევრების გათვალისწინება? მით უმტესეს, რომ უგანზომილებო სიდიდეებში წარმოდგენის დროს მე-5-ე წევრის წინ დგას ი.კიბელის ცნობილი მცირე პარამეტრი კვადრატული, ანუ გამოდის, რომ მე-5-ე წევრი ორი რიგით უფრო დაბალია, ვიდრე პირველი და ერთი რიგით დაბალი, ვიდრე მეორე და მესამე წევრები. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ "მსგავსების თეორიის" მოსაზრებანი არაა საკმარისი მოძრაობის განტოლებების სხვადასხვა წევრებს შორის თანაფარდობების შეფასებისათვის ასეთი სახის ამოცანები არ შეიძლება გადაწევებილი იქნას ფაქტიური მონაცემების საკმაოდ დეტალური ანალიზის გარეშე [1], ცხადი გიხდება ამ წევრების გათვალისწინების აუცილებლობა. მართლაც,  $H$ -ის

ფაქტიური მონაცემებით(1997 წლის იანვარი-ივნისი, 73 შემთხვევა) გამოთვლილი იქნა (1) და (2)-ში შემავალი თითოეული წევრის მაქსიმუმების საშუალო კვადრატული მნიშვნელობები(სპ) ცალკლე 850, 700 და 500 პ-იან დონეებზე და საერთო მთელი ფენისათვის(850- - 500 პ). გამოთვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მაგალითად, 850 პ-ს დონეზე MTS სისტემაში გვაქვს(ფრჩხილებში მოცემულია იგივე სიდიდეები 1.5 - 5.5 კმ-იან ფენაში):

$$O[V(u,v)] \approx 15,4(23.0)$$

$$O\left[\mu \frac{g}{l} \frac{\partial H}{\partial S(x,y)}\right] \approx 1,2 \cdot 10^5 \cdot 14,1 \cdot 10^{-5} \approx 16,9(24.0)$$

$$O\left[\mu \frac{g}{l^2} \frac{\partial^2 H}{\partial t \partial S}\right] \approx 1,2 \cdot 10^9 \cdot 12,8 \cdot 10^{-10} \approx 1,5(2.4)$$

$$O\left[\mu^2 \frac{g^2}{l^3} \left(H, \frac{\partial H}{\partial S}\right)\right] \approx 1,44 \cdot 10^{14} \cdot 4,9 \cdot 10^{-14} \approx 7,1(14.4)$$

$$O\left[\mu \frac{g^2}{l^3} \frac{\partial H}{\partial S}(H, \mu)\right] \approx 1,2 \cdot 10^{14} \cdot 14,1 \cdot 10^{-5} \cdot 12,9 \cdot 10^{-11} \approx 2,2(2.4)$$

$$O\left[\mu \frac{g}{l^2} \tau \frac{\partial^2 H}{\partial p \partial S}\right] \approx 1,2 \cdot 10^9 \cdot 11,6 \cdot 10^{-4} \cdot 5,5 \cdot 10^{-6} \approx 7,7(8.4)$$

როგორც ამ შედეგებიდან ჩანს, ჩვენს მიერ დამატებული წევრების ფაქტიური მნიშვნელობები (2.2(2.4), 7.7(8.4)) და მეორე მიახლოების წევრების ფაქტიური მნიშვნელობები (1.5(2.4), 7.1(14.4)) თითქმის ერთნაირია და ამიტომ აუცილებელია მათი გათვალისწინება.

უწყვეტობისა და სითბოს მოდინების განტოლებებიდან, (1) და (2)-ის ჩასმით, მიიღება საპროგნოზო განტოლებათა სისტემა [4]:

$$\begin{aligned} \frac{\partial H}{\partial t} = & -m^2 \mu \frac{g}{l} (H, \Delta H) - \tau \frac{\partial \Delta H}{\partial p} - \left( \frac{\partial \tau}{\partial x} \frac{\partial^2 H}{\partial p \partial x} + \frac{\partial \tau}{\partial y} \frac{\partial^2 H}{\partial p \partial y} \right) + \\ & + \frac{l^2}{m^2 \mu g} \frac{\partial \tau}{\partial p} + \frac{1}{\mu} (H, \mu) \left( 1 - \frac{m^2 \mu g}{l^2} \Delta H \right) - \frac{1}{\mu} \left( \frac{\partial \mu}{\partial x} \frac{\partial^2 H}{\partial t \partial x} + \frac{\partial \mu}{\partial y} \frac{\partial^2 H}{\partial t \partial y} \right) - \\ & - \frac{2gm^2}{l} \left[ \frac{\partial \mu}{\partial x} \left( H, \frac{\partial H}{\partial x} \right) + \frac{\partial \mu}{\partial y} \left( H, \frac{\partial H}{\partial y} \right) \right] - \frac{gm^2}{l} \left[ \frac{\partial H}{\partial x} \frac{\partial (H, \mu)}{\partial x} + \frac{\partial H}{\partial y} \frac{\partial (H, \mu)}{\partial y} \right]; \end{aligned} \quad (3)$$

$$\boxed{\begin{aligned}\tau = & \left\{ \mu \frac{gm^2}{l^2} \left[ \left( \frac{\partial^2 H}{\partial p \partial x} \right)^2 + \left( \frac{\partial^2 H}{\partial p \partial y} \right)^2 \right] - \frac{\alpha RT_1}{gp^2} \right\}^{-1} \left\{ \frac{\partial^2 H}{\partial p \partial t} + \mu \frac{gm^2}{l} \left( H, \frac{\partial H}{\partial p} \right) - \right. \\ & - \mu \frac{gm^2}{l^2} \frac{\partial^2 H}{\partial p \partial x} \left[ \frac{\partial^2 H}{\partial t \partial x} + \mu \frac{gm^2}{l} \left( H, \frac{\partial H}{\partial x} \right) + \frac{gm^2}{l} \frac{\partial H}{\partial x} (H, \mu) \right] - \\ & \left. - \mu \frac{gm^2}{l^2} \frac{\partial^2 H}{\partial p \partial y} \left[ \frac{\partial^2 H}{\partial t \partial y} + \mu \frac{gm^2}{l} \left( H, \frac{\partial H}{\partial y} \right) + \frac{gm^2}{l} \frac{\partial H}{\partial y} (H, \mu) \right] \right\};\end{aligned}} \quad (4)$$

(3) და (4) განტოლებებს მ/მტ-სა და  $\tau$ -ს მიმართ კხსნით შემდეგი სასაზღვრო პირობებით:

1. ატმოსფეროს ზედა საზღვარზე არ ხდება ჰაერის გადინება, ანუ  $T = -pgw \rightarrow 0$  როცა  $p \rightarrow 0$ ;
2. მთის ზედაპირთან ადგილი აქვს ჰაერის მასების მთის კალთებზე სრიალს, ანუ

$$\tau_h = -\frac{\mathbf{gP}_h}{RT_h} \left( u \frac{\partial \mathbf{h}}{\partial x} + v \frac{\partial \mathbf{h}}{\partial y} \right), \quad \text{როცა,} \quad \mathbf{p} = \mathbf{P}_h \quad (5)$$

სადაც  $u$  და  $v$  მოცემულია (1) და (2) გამოსახულებებით, ხოლო  $\mathbf{h} = h(x, y)$  – მთის ზედაპირის განტოლებაა;

3. ამოცანის ამოხსნის არის საზღვარზე, ამოხსნის მთლიანი დროის განმავლობაში, ცნობილია გეოპოტენციალის მნიშვნელობა.

სისტემა (3)-(4)-ის ამოხსნა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პირველ დროით ბიჯზე განტოლება (3)-ის მარჯვენა მხარეში რჩება მხოლოდ პირველი წევრი, რომელიც მინიმუმ ერთი რიგით მაინც უფრო მაღალია, ვიდრე სხვა წევრები და განისაზღვრება ( $\partial / \partial t$ )<sub>1</sub> პირველი მიახლოებით (ქვედა ინდექსებით აღნიშნულია მიახლოების ნომრები);

2. ( $\partial / \partial t$ )<sub>1</sub>-ის გამოყენებით განისაზღვრება (4) განტოლებიდან  $\tau_1$ .

3. ( $\partial H / \partial t$ )<sub>1</sub>-სა და  $\tau_1$ -ის გამოყენებით სრული (3) განტოლებიდან განისაზღვრება ( $\partial H / \partial t$ )<sub>2</sub>, ხოლო შემდეგ, ამ უგანასკნელის გამოყენებით (4) განტოლებიდან -  $\tau_2$ .

დროით მეორე და შემდეგ ბიჯზე ( $\partial H / \partial t$ )<sub>1</sub>-ისა და  $\tau_1$ -ის ნაცვლად გამოიყენება წინა დროითი ბიჯის ( $\partial H / \partial t$ )<sub>2</sub> და  $\tau_2$ .

დიფერენციალურ გამოსახულებათა სასრულ სხვაობებში ჩაწერის დროს წარმოებულები ჰაერიზონტალური კოორდინატებით ( $x, y$ ) შეცვლილია ცენტრალური სხვაობებით. ვერტიკალური კოორდინატით ( $p$ ) წარმოებულები გამოთვლილია შემდეგნაირად:

$$\partial f / \partial p |_{850} = (f_{700} - f_{850}) / (70 - 85); \quad \partial f / \partial p |_{700} = (f_{500} - f_{850}) / (50 - 85);$$


$$\partial f/\partial p|_{500} = (f_{500} - f_{700})/(50 - 70),$$

ხოლო  $\tau$ -ს შემოხვევაში  $\partial\tau/\partial p|_{850} = (\tau_{700}-\tau_h)/(70-P_h)$ , სადაც  $\tau_h$  განსაზღვრულია ქვედა სასაზღვრო (5) პირობით და მასში შემავალი უ და  $v$ -ს გამოთვლა ხდება (1) და (2) გამოსახულებებით 850 პ-ის დონეზე. ასეთი დაშვება გამართლებულია, რადგან სათვლელი ბადის 280 კვანძიდან 245 კვანძში  $P_h \leq 850$  პ-ზე.


პროგნოზის თვეის დროს საწყის მონაცემებად გამოიყენება გეო-პოტენციალის მნიშვნელობები 850, 700 და 500 ჰპ-იან დონეებზე ბა-დის  $22 \times 28$  კვანძში, ბიჯით 100 ქმ. ამონსნა მიიღება ბადის ცენტრ-ალურ  $10 \times 16$  კვანძში. ამონსნის არის გარე საზღვრის 6-6 რიგში, თოხივე მხრიდან, გამოიყენება ცვლადი სასაზღვრო პირობები. დრო-ითი ბიჯი  $\Delta t = 1800$  წთ-ს.

24 საათიანი პროგნოზის გათვლას პერსონალურ კომპიუტერზე(სიხშირით 100 მეგაჰერცი და მეტი) ჭირდება საშუალოდ 3 წუთზე ნაკლები. პროგნოზების შეფასება ხდებოდა ბადის ცენტრალური ნაწილის, ერთმანეთისაგან 300 ქმ-ით დაშორებულ, 4 x 6 წერტილში.


ნახ.1-4-ზე მოცემულია ატ-850-ის 24 საათიანი პროგნოზის მაგალითი 24.01.97 წლის 03 საათის მონაცემებით(ნახ.1). ამ პროგნოზის შეფასების შედეგები მოცემულია ცხრ.1-ის ზედა ნაწილში, სადაც  $E$ -პროგნოზის ფარდობითი ცდომილებაა;  $kk$ -პროგნოზირებულ და ფაქტიურ ცვლილებებს შორის კორელაციის კოეფიციენტია;  $df$  - მთელ ველზე(4 x 6) გეოპოლიტიკური ცვლილების საშუალოა გეოპოლიტიკურ დეპარტამენტში(გვდ).




ნამ. 1. საწყისი ველი, 24.01.97, 03 სო.



ნახ. 2. ფაქტიური ველი, 25.01.97, 03 სთ.



ნახ. 3. პროგნოზირებული ველი ოროგრაფიის გავლენის  
გათვალისწინებით



ნახ. 4. პროგნოზირებული ველი ოროგრაფიის გავლენის  
გათვალისწინების გარეშე

ცხრილი 1. ცვლადი სასაზღვრო პირობებით გეოპოტენციალის 24 საათიანი პროგნოზის შეფასების შედეგები

პროგნოზების რაოდენობა	დონე	რელიეფის გავლენის				df	
		გათვალისწინებით		გათვალისწინების გარეშე			
		$\varepsilon$	kk	$\varepsilon$	kk		
1, (24.01.77)	850	0.06	0.98	0.15	0.95	6.1	
	700	0.16	0.97	0.20	0.96	6.3	
	500	0.19	0.98	0.21	0.98	5.6	
80	850	0.32	0.95	0.36	0.84	2.8	
	700	0.33	0.86	0.34	0.86	2.8	
	500	0.28	0.90	0.29	0.90	4.1	

ამ დღეს 850 მბ-არზე გეოპოტენციალის ცვლილება იყო არაჩვეულებრივად დიდი – საშუალოდ მთელ ველზე 6.1 გპდ. დაეცა წნევა ასტრახანთან 9, სიმფეროპოლიში 8, თბილისა და ბაქოში 6 გპდ-თი და ა.შ. მიუხედავად ასეთი დიდი ცვლილებისა, პროგნოზირებული

ველი(ნახ.3) კარგად ემთხვევა ფაქტიურ ველს (ნახ.2) -  $\varepsilon = 0.06$  და  $kk = 0.98$ -ს. ნახ.4-ზე შედარებისთვის მოცემულია იგივე პროგნოზი ოროგრაფიის გავლენის გათვალისწინების გარეშე ( $\mu = 1$ ). არც ეს პროგნოზია ცუდი ( $\varepsilon = 0.15$ ,  $kk = 0.95$ ), მაგრამ ნაკლებად ზუსტია, ვიდრე ოროგრაფიის გავლენის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი განსხვავება შეიმჩნევა სწორედ კავკასიის მთებით დაფარულ ტერიტორიებზე, რაც კარგად ჩანს ნახ.3,4-ზე 146, 148 და 150 გპდ-იანი იზოპიფსების შედარებიდან.

როგორც ცხრ.1-დან ჩანს, მოცემის მაგალითში ფარდობითი ცდომილება ( $\varepsilon$ ) ოროგრაფიის გავლენის გათვალისწინებით გაუმჯობესდა 2.5-ჯერ(0.15:0.06) 850 ჰპ-ზე, 25(0.20:0.16) და 11(0.21:0.19) პროცენტით შესაბამისად 700 და 500 ჰპ-ზე.

ცხრ.1-ის ქვედა ნაწილში მოცემულია 1997 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით გეოპოტენციალის 24 საათიანი 80 პროგნოზის შეფასების საშუალო შედეგები. როგორც ამ შედეგებიდან ჩანს, რელიეფის გავლენის გათვალისწინებით პროგნოზი საგრძნობლად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით 850 ჰპ-იან დონეზე.  $\varepsilon$  გაუმჯობესდა საშუალოდ 13(0.36:0.32=1.13), 3 %-ით შესაბამისად 850, 700 და 500 ჰპ-ზე. პროგნოზების აღნიშნული გაუმჯობესება მიღწეულია ოროგრაფიის გავლენის გათვალისწინებით, სიმაღლის მიხედვით ცვლადი,  $\mu$  პარამეტრის შემოტანით და ატმოსფეროს ქვედა საზღვარზე მთის კალთებზე პავრის მასების სრიალის პირობით. ამასთან, როგორც საშუალო მონაცემებიდან ჩანს, პროგნოზი 850 და 700 ჰპ-ზე ნაკლებად ზუსტია ( $\varepsilon = 0.32$ ,  $kk = 0.85$  და  $\varepsilon = 0.33$ ,  $kk = 0.86$  შესაბამისად), ვიდრე 500 ჰპ-ზე ( $\varepsilon = 0.28$ ,  $kk = 0.90$ ). ასეთი შედეგები, ვფიქრობთ განპირობებულია იმით, რომ ფაქტიურად ატმოსფერული პროცესების დინამიკაზე მთების გავლენა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მას აღწერს სრიალის პირობა. თუ შევძლებთ ამ პირობის ნაწილობრივ დაზუსტებას, თუნდაც ნაკადის პერპენდიკულარულ სიბრტყეში მთების სიმრავლის გათვალისწინებით [5], მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ პროგნოზის შედეგები კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

#### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

- Гандин Л.С., Лайхтман Д.Л., Матвеев Л.Т., Юдин М.И., 1955, Основы динамической метеорологии Л., Гидрометеоиздат, 647 стр.
- Кибель И.А., 1957, Введение в гидродинамические методы краткосрочного прогноза погоды, М., ГИТТЛ, 375 стр.
- Микашавидзе Б.А., 1967, Расчет вертикальных токов на разных уровнях атмосферы с учетом влияния орографии. Труды ЗакНИГМИ, вып. 24(30), Л. Гидрометеоиздат, стр.67-87.
- Микашавидзе Б.А., Чоговадзе И.В., Кварацхелия Д.П., 1982, Опыт региональных численных прогнозов метеорологических элементов в

- условиях Кавказа, Труды ЗакНИГМИ, вып. 75(81), Л. Гидрометеоиздат, стр.82-90.
მოდელის აღწერა. განვიხილოთ მოძრავი პარის მასა, რომელიც ქვემოდან შემოსაზღვრულია ოროგრაფიულად და თერმულად არაერთგვაროვანი  $\delta(x, y)$  დედამიწის ზედაპირით, ხოლო ზემოდან, ტროპოპაუზის სიმაღლეზე -  $H(x, y, t)$  თავისუფალი ზედაპირით, რომლის მდებარეობა განისაზღვრება ამოცანის ამონების პროცესში. ამასთანავე, პირველ ეტაპზე უგულებელებულობა ატმოსფეროში რადიაციის გადატანისა და შთანთქმის პროცესები.

მოდელის ვერტიკალური სტრუქტურა შემდეგ ფენებს მოიცავს:

- ტროპოსფერო, რომელიც განიხილება ქვედა ტურბულენტური ფენის ზემოთ ( $\delta(x, y) + h_a \leq z \leq H$ , სადაც  $z$  ღერძი მიმართულია ზღვის დონიდან ვერტიკალურად ზემოთ,  $h_a$  ტურბულენტური ფენის სისქეა, ხოლო  $\delta(x, y)$  რელიეფის აღმწერი ფუნქციაა);
- ატმოსფეროს ქვედა ტურბულენტური (მიწისპირა და წყლისპირა) ფენა ( $\delta(x, y) \leq z \leq \delta(x, y) + h_a$ );

- ნიადაგის აქტიური ფენა ( $0 \leq z_n \leq h_n$ , სადაც  $z_n$  დერძი მიმართულია დედამიწის ზედაპირიდან ნიადაგში,  $h_n$  აქტიური ფენის სისქეა);
- ზღვის აქტიური ფენა ( $0 \leq z_m \leq h_m$ , სადაც  $z_m$  დერძი მიმართულია ზღვის ზედაპირიდან ვერტიკალურად ქვემოთ, ხოლო  $h_m$  ზღვის აქტიური ფენის სისქეა).

თანახმად [1] მონოგრაფიისა, ამოცანის ფორმულირებისას გამოყენებულია თავისუფალი კონვექციის თეორიის გამარტივებები იმ ფაქტის მեջდელობაში მიღებით, რომ ლოკალური პროცესები ვთარდებიან არასწაციონარული დიდმასშტაბიანი (ფონური) პროცესების ფონზე. გარდა ამისა, მიწისპირა ფენასა და ნიადაგში პიდროვერმოდინამიკური პროცესების აღსაწერად გამოვიყენებოთ [2,3]-ში განხილულ პლანეტარული სასაზღვრო ფენა – ნიადაგის ქვაზიერთგანზომილებიან რიცხვით მოდელს, რომელიც მოდიფიცირებულია წყლის ფაზური გადასვლების გათვალისწინებით.

ფონური პროცესების მიმართ მივიღებთ, რომ

$$U = U(z, t), \quad V = V(z, t), \quad W = 0, \quad \Theta = \Theta(x, y, z, t), \quad Q = Q(z, t).$$

სადაც  $U, V$  და  $W$  ფონური დინების სიჩქარის კომპონენტებია  $x, y$  და  $z$  დერძების გასწვრივ, ხოლო  $\Theta$  და  $Q$  ფონური პოტენციალური ტემპერატურა და კუთრი სინოცივა.

მოდელის განტოლებებს შემდეგი სახე ექნებათ:

### ტროპოსფერული მოდელი

$$\begin{aligned} \frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + v \frac{\partial u}{\partial y} + w \frac{\partial u}{\partial z} &= -\Theta_0 \frac{\partial \varphi'}{\partial x} + lv + \mu \Delta u + \frac{1}{\rho} \frac{\partial}{\partial z} \rho v \frac{\partial u}{\partial z} + F_u, \\ \frac{\partial v}{\partial t} + u \frac{\partial v}{\partial x} + v \frac{\partial v}{\partial y} + w \frac{\partial v}{\partial z} &= -\Theta_0 \frac{\partial \varphi'}{\partial y} - lu + \mu \Delta v + \frac{1}{\rho} \frac{\partial}{\partial z} \rho v \frac{\partial v}{\partial z} + F_v, \\ 0 &= -\Theta_0 \frac{\partial \varphi'}{\partial z} + \lambda g', \quad \frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial v}{\partial y} + \frac{\partial w}{\partial z} = \sigma w, \\ \frac{\partial g'}{\partial t} + u \frac{\partial g'}{\partial x} + v \frac{\partial g'}{\partial y} + w \frac{\partial g'}{\partial z} + Sw &= \frac{L}{c_p} M + \mu_g \Delta g' + \frac{1}{\rho} \frac{\partial}{\partial z} \rho v g \frac{\partial g'}{\partial z} - \\ -u' \frac{\partial \Theta}{\partial x} - v' \frac{\partial \Theta}{\partial y}, \\ \frac{\partial q'_1}{\partial t} + u \frac{\partial q'_1}{\partial x} + v \frac{\partial q'_1}{\partial y} + w \frac{\partial q'_1}{\partial z} + \gamma_q w &= -M + \mu_q \Delta q'_1 + \frac{1}{\rho} \frac{\partial}{\partial z} \rho v q \frac{\partial q'_1}{\partial z}, \end{aligned} \quad (1)$$

$$\frac{\partial q_2}{\partial t} + u \frac{\partial q_2}{\partial x} + v \frac{\partial q_2}{\partial y} + w \frac{\partial q_2}{\partial z} = M + \mu_q \Delta q_2 + \frac{1}{\rho} \frac{\partial}{\partial z} \rho v_q \frac{\partial q_2}{\partial z},$$

$$F_u = -IV + \frac{\partial U}{\partial t}, \quad F_v = IU + \frac{\partial V}{\partial t}, \quad S = \frac{\partial \Theta}{\partial z}, \quad \gamma_q = \frac{\partial Q}{\partial z}.$$

$$u = U + u', \quad v = V + v', \quad w = w', \quad \vartheta = \Theta + \vartheta', \quad q_1 = Q + q'_1, \quad \varphi = \Phi + \varphi'.$$

### ნიაღავის ტერმულებების გენაზო

$$\begin{aligned} \frac{\partial \tilde{u}}{\partial t} &= \lambda \vartheta' \frac{\partial \delta}{\partial x} + I \tilde{v} + \frac{\partial}{\partial z} \tilde{v} \frac{\partial \tilde{u}}{\partial z} + F_u, \\ \frac{\partial \tilde{v}}{\partial t} &= \lambda \vartheta' \frac{\partial \delta}{\partial y} - I \tilde{u} + \frac{\partial}{\partial z} \tilde{u} \frac{\partial \tilde{v}}{\partial z} + F_v, \\ \frac{\partial \tilde{\vartheta}'}{\partial t} &= -\tilde{u}' \left( \frac{\partial \Theta}{\partial x} + S \frac{\partial \delta}{\partial x} \right) - \tilde{v}' \left( \frac{\partial \Theta}{\partial y} + S \frac{\partial \delta}{\partial y} \right) + \frac{\partial}{\partial z} \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{\vartheta}'}{\partial z} + \frac{L}{c_p} \tilde{M}, \\ \frac{\partial \tilde{q}'_1}{\partial t} &= -\tilde{u}' \gamma_q \frac{\partial \delta}{\partial x} - \tilde{v}' \gamma_q \frac{\partial \delta}{\partial y} + \frac{\partial}{\partial z} \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}'_1}{\partial z} - \tilde{M}, \\ \frac{\partial \tilde{q}'_2}{\partial t} &= \tilde{M} + \frac{\partial}{\partial z} \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}'_2}{\partial z}. \end{aligned} \tag{2}$$

### ნიაღავის აქტიურ გენაზო:

$$\frac{\partial T'_n}{\partial t} = k_n \frac{\partial^2 T'_n}{\partial z_n^2} \tag{3}$$

### ხდების აქტიურ გენაზო

$$\frac{\partial T'_m}{\partial t} = v_m \frac{\partial^2 T'_m}{\partial z_m^2} - \frac{1}{C_m \rho_m} \frac{\partial I}{\partial z_m}, \quad I = (1 - A_m) I_0 e^{-\alpha z}.$$

აქ გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:  $u, v$  და  $w$  პარამეტრების დინამიკის სიჩქარის კომპონენტებია შესაბამისად  $x, y$  და  $z$  დერეგბის გასწორები;  $\vartheta', \varphi', q'_1$  პოტენციალური ტემპერატურის, წნევის ანალოგისა და კუთრი სინოტივის გადახრებია შესაბამისი  $\Theta, \Phi, Q$  ფონური მნიშვნელობებიდან;  $q_2$  ღრუბლის წყლიანობაა;  $\rho$  ატმოსფეროს სიმძლავრე;  $g, \Theta_0, I$  სიმძლივის ძალის აჩქარება, ატმოსფეროს საშუალო პოტენციალური ტემპერატურა და კორიოლისის პარამეტრია;  $\sigma$  პარამეტრია, რომელიც ახასიათებს სიმკვრივის შემცირებას სიმძლივის

მიხედვით;  $c_p, R$  ატმოსფეროს კუთრი სითბოტევადობა და გაზური მუდმივაა;  $M$  პაერის ერთეულოვან მასაში კონდენსაციის (ორთქ-ლადქცევის) სიჩქარეა;  $L$  ორთქლადქცევის კუთრი სითბოა;  $T_n'$  და  $T_m'$  ნიადაგისა და ზღვის ტემპერატურის გადახრებია საშუალო დღე-დამური მნიშვნელობებიდან;  $\mu, \mu_g, \mu_q, v, v_g$  და  $v_q$  პორიზონტალური და გერტიკალური ტურბულენტური სიბლანტისა და დიფუზიის კოეფი-ციენტებია სითბოსა და წყლის ორთქლისათვის (აქ იგულისხმება, რომ დიფუზიის კოეფიციენტები წყლის ორთქლისა და წვეთებისა-თვის ერთი და იგივეა);  $k_n$ - ნიადაგში მოლექულური სითბოგამტა-რებლობის კოეფიციენტია;  $v_m, c_m$  და  $\rho_m$  შესაბამისად ზღვაში ვერ-ტიკალური ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტი, ზღვის წყლის კუთრი სითბოტევადობა და სიმკვრივეა;  $I_0$  ზღვის ზედაპირზე დაცე-მული ჯამური მოკლეტალდოვანი რადიაციის ნაკადია;  $A_m$  ზღვის ზედაპირის ალბედოა,  $\kappa_m$  ზღვის მიერ რადიაციის შთანთქმის კოეფიციენტია. სიმბოლო  $\sim$  აღნიშნავს შესაბამის სიდიდეთა მნიშვ-ნელობებს მიწისპირა და წყლისპირა ფენებში (1)-(4) განტოლებათა ინტეგრება ხდება ერთობლივად ვერტიკალზე შემდეგი სასაზღვრო პირობების გამოყენებით:

ტროპოპაზუზის სიმაღლეზე  $z = H$

$$w = \frac{\partial H}{\partial t} + u \frac{\partial H}{\partial x} + v \frac{\partial H}{\partial y}, \quad \varphi' = 0, \quad (5)$$

$$\rho v \frac{\partial u}{\partial z} = 0, \quad \rho v \frac{\partial v}{\partial z} = 0, \quad \rho v_g \frac{\partial \vartheta}{\partial z} = 0, \quad \rho v_q \frac{\partial q_1}{\partial z} = 0, \quad q_2 = 0;$$

მიწისპირა (წყლისპირა) ფენის ზედა საზღვარზე  $z = \delta(x, y) + h_a$

$$v \frac{\partial u}{\partial z} = \tilde{v} \frac{\partial \tilde{u}}{\partial z}, \quad v \frac{\partial v}{\partial z} = \tilde{v} \frac{\partial \tilde{v}}{\partial z}, \quad v_g \frac{\partial \vartheta}{\partial z} = \tilde{v}_g \frac{\partial \tilde{\vartheta}}{\partial z},$$

$$v_q \frac{\partial q_1}{\partial z} = \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}_1}{\partial z}, \quad v_q \frac{\partial q_2}{\partial z} = \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}_2}{\partial z}, \quad w = u \frac{\partial \delta}{\partial x} + v \frac{\partial \delta}{\partial y}, \quad (6)$$

$$u = \tilde{u}, \quad v = \tilde{v}, \quad \vartheta = \tilde{\vartheta}, \quad q_1 = \tilde{q}_1, \quad q_2 = \tilde{q}_2.$$

დედამიწის ზედაპირთან  $z = z_0$  ( $z_0$ - სიმქისის ფენის სიმაღლე)

ა) ხმელეთი

$$-c_p \tilde{v}_g \rho \frac{\partial \tilde{\vartheta}}{\partial z} - L \rho \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}_1}{\partial z} - ck_n \rho_n \frac{\partial T_n}{\partial z_n} = C_1 R_1, \quad (7)$$

$$R_1 = (1 - A) I - F,$$

$$u = v = 0, \quad \vartheta = T_n, \quad \tilde{q}_1 = r q_H(T_{n,0}), \quad (0 \leq r \leq 1), \quad \tilde{q}_2 = 0;$$

ბ) წევალი

$$\begin{aligned} \tilde{u} &= u_{_M}, \quad \tilde{v} = v_{_M}, \quad \tilde{q}_1 = q_H(T_{M,0}), \quad \tilde{\theta} = T_M, \quad \tilde{q}_2 = 0, \\ -c_p \tilde{v}_{\theta} \rho \frac{\partial \tilde{\theta}}{\partial z} - L \rho \tilde{v}_q \frac{\partial \tilde{q}_1}{\partial z} - c k_n \rho_n \frac{\partial T_n}{\partial z_n} &= C_2 R_2. \end{aligned} \quad (7')$$

ნიადაგის აქტიური ფენის ქვედა საზღვარზე

$$T'_n = 0, \quad \text{როცა } z_n = h_n$$

ზღვის აქტიური ფენის ქვედა საზღვარზე

$$T'_m = 0 \quad \text{როცა } z_m = h_m$$

საწყის  $t = 0$  მომენტში

$$u = u^0, \quad v = v^0, \quad \theta' = \theta'^0, \quad q'_1 = q'^0_1, \quad q_2 = 0$$

$$\tilde{u} = \tilde{u}^0, \quad v = \tilde{v}^0, \quad \tilde{\theta}' = \tilde{\theta}'^0, \quad \tilde{q}'_1 = \tilde{q}'^0_1, \quad \tilde{q}_2 = 0, \quad T'_n = T'^0$$

აქ  $u_{_M}$  და  $v_{_M}$  ზღვის ზედაპირული დინების სიჩქარის კომპონენტებია  $x$  და  $y$  საკოორდინატო დერძების გასწვრივ;  $T_{M,0}$  და  $T_{n,0}$  ზღვის ზედაპირის ტემპერატურა;  $R_1$  და  $R_2$  ხმელეთისა და ზღვის ზედაპირების რადიაციული ბალანსია, ხოლო  $C_1$  და  $C_2$  გმპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც გამოხატავენ დრუბლიანობის გავლენას რადიაციულ ბალანსზე;  $r$  ფარდობითი სინოტივეა ხმელეთის ზედაპირთან, ხოლო  $q_H$  ნაჯერობის კუთრი სინოტივეა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს მაგნუსის ფორმულით [4].

(5) სასაზღვრო პირობები გამოხატავენ იმპულსის, სითბოსა და სინოტივის ნაკადებისა და წნევის შეზფორთების ნულთან ტოლობას ტროპოპაუზის სიმაღლეზე, აგრეთვე დრუბელთა არარსებობასა და იმ ფაქტს, რომ ამოხსნის არის ზედა საზღვრის მოდელირებას გახდენთ თავისუფალი ზედაპირის სახით. (6) სასაზღვრო პირობები წარმოადგენენ იმპულსის, სითბოს, წყლის ორთქლისა და დრუბელში წყლიანობის ნაკადებისა და შესაბამისი ფუნქციების უწყვეტობას ქვედა ტურბულენტური ფენის ზედა საზღვარზე. როგორც (7) პირობებიდან ჩანს, თუ ქვეფენილი ზედაპირი წარმოადგენს ხმელეთს, მაშინ ქარის სიჩქარის კომპონენტებისათვის მოითხოვება მიწებების პირობა, ხოლო ტემპერატურისათვის - უწყვეტობის პირობა ხმელეთ-ჰაერის გამყოფ საზღვარზე. ხმელეთის ზედაპირზე განიხილება აგრეთვე მიწის ზედაპირის სითბური ბალანსის განტოლება, ხოლო თუ ამონახსნის არ მოიცავს ზღვის ნაწილს, მაშინ საჭირო ხდება (7') პირობების გამოყენება. რაც შეეხება გეერდით სასაზღვრო პირობებს, აქ საჭიროა ისეთი სასაზღვრო პირობების გამოყენება, რომლებიც პრაქტიკულად არ დაამახინჯებს ამონახსნებს ჩვენთვის სასურველი საინტეგრო დროის განმავლობაში. ჩვენი და სხვა ავტორთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ სასაზღვრო

პირობებად შეიძლება განხილულ იქნას გვერდითი საზღვრების ნორმალის გასწერივ მეტოროლოგიურ სიდიდეთა წარმოებულების ნულთან ტოლობა.

(1) და (2) განტოლებებში შემავალი ფონური სიდიდეების შემცველი წევრები აღწერენ დიდმასშტაბური სინოპტიკური პროცესების ენერგეტიკულ ზემოქმედებას ლოკალურ პროცესზე და ისინი შეიძლება განხილულ იქნას როგორც სინოპტიკური პროცესების პარამეტრიზაციის შედეგად მიღებული წევრები. ცხადია, რომ ინფორმაცია ფონური სიდიდეების სივრცით-დროითი განაწილების შესახებ მიიღება დიდმასშტაბური ატმოსფერული პროცესების რიცხვითი მოდელის რეალიზაციის შედეგად. მოდელური რიცხვითი ექსპრიმენტების ჩატარებისას კი აღნიშნული წევრები განისაზღვრება პარიორულად, როგორც დროისა და სივრცითი კოორდინატების ცნობილი ფუნქციები.

უნდა შეგნიშნოთ, რომ სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო შეუძლებელია ამოცანის რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა. აյ შემოვისაზღვრებით მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულია ღრუბლიანობის ველის კორელაციულ გათვალისწინებისას და ამოხსნის არის რთულ გეომეტრიასთან.

(1) და (2) განტოლებათა სისტემებში კონდენსაციის სიჩქარის ცხადი სახით ფიგურირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცდომილებები ღრუბლიანობის ველის განსაზღვრაში.. ღრუბლიანობის ველის გამოვლა შესაძლებელია [4] – ში აღწერილი ცნობილი მეთოდის საფუძველზე, რომელიც დაფუძნებულია განტოლებებიდან კონდენსაციის სიჩქარის გამორიცხვაზე. ამის შემდეგ, ამოცანის რიცხვითი ამოხსნის გაადვილებისა და რელიეფის კორელაციულად გათვალისწინების მიზნით შეიძლება გადასვლა დეკარტის მართვულ კოორდინატთა სისტემიდან რელიეფთან დაკავშირებულ მრუდწირულ კოორდინატთა სისტემაში  $x_1, y_1, \zeta$ , სადაც

$$x_1 = x, y_1 = y, \zeta = \frac{z - [\delta(x, y) + h_a]}{h(x, y, t)},$$

$$h = H(x, y, t) - [\delta(x, y) + h_a]$$

აღნიშნული გარდაქმნების შედეგად (1) განტოლებათა სისტემიდან მიღებული სახეცვლილი განტოლებათა სისტემის ამოხსნა ხორციელდება სწორი გეომეტრიის მქონე ამოხსნის არეში – მართვულ პარალელეპიდებში შესაბამისი სასაზღვრო და საწყისი პირობების გამოყენებით.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Гутман Л. Н. Введение в нелинейную теорию мезометеорологических процессов. Л., Гидрометеоиздат, 1969, 295 с.

- Деметрашвили Д. И К вопросу о гидродинамическом прогнозе суточного хода температуры. Сообщения Академии наук Грузинской ССР, 1989, т. 133, №3, с.549-552.
- Деметрашвили Д. И Нестационарная квазиодномерная модель планетарного пограничного слоя.- Тр. ЗакНИИ, М., Гидрометеоиздат, 1989, вып. 91 (98). с. 84-93.
- Матвеев Л. Т. Динамика облаков.-Гидрометеоиздат, 1981, 311 с.

**უაკ 551.558.21:551.551.32**

ლოგალური ატმოსფერული პროცესების პიდროდინამიკური მოდელირების შესახებ/დ.დემეტრაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.114.-გვ.85-96.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შემოთავაზებულია ლოგალური ატმოსფერული პროცესების არასტაციონარული სივრცითი მოდელის ერთ-ერთი ვარიანტი წყლის ფაზური გადასვლებისა და დრუბელთა წარმოქმნის პროცესების გათვალისწინებით. მოდელს საფუძვლად უდევს ატმოსფეროს პიდროორმოდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა პიდროსტატიკურ მიახლოებაში. ქვეფენილ ზედაპირთან (ზღვა, ბელეკი) დინამიკური და თერმული ურთიერთქმედების გასათვალისწინებლად ატმოსფეროს მიწისპირა (წყლისპირა) ფენაში განიხილება პლანეტარული სასაზღვრო ფენის გამარტივებული ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემა ნიადაგისა და ზღვის აქტიურ ფენებში სითბოს გადატანის განტოლებებთან ერთად.

UDC 551.558.21:551.551.32

**On hydrodynamical modelling of local atmospheric processes./D. Demetashvili.**  
Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - t.114. – p.. 85-96 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

One of variants of a non-stationary spatial model of local atmospheric processes in view of phase transitions of a moisture and processes of clouds' formation is offered. The model is based on a full system of atmospheric hydrothermodynamic equations in hydrostatic approximation. For taken into account of dynamic and thermal interaction with the underlying surface (water, land) in the atmospheric surface layer the simplified one-dimensional equation system of a planetary boundary layer together with heat transfer equations in active layers of a soil and sea are considered.

УДК 551.558.21:551.551.32

**О гидродинамическом моделировании локальных атмосферных процессов./ Д. И. Деметрашвили/.** Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2007. – т.114. – с.85-96. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

Предложен один из вариантов нестационарной пространственной модели локальных атмосферных процессов с учётом фазовых переходов влаги и процессов облакообразования. В основе модели лежит полная система уравнений гидротермодинамики атмосферы в гидростатическом приближении. Для учёта динамического и термического взаимодействия с подстилающей поверхностью (вода, суши) в приземном (приводном) слое атмосферы рассматривается упрощённая одномерная система уравнений планетарного пограничного слоя вместе с уравнениями переноса тепла в активных слоях почвы и моря.

ბ.ბერიგაშვილი, ნ. კაპანაძე, ი. ჩოგოვაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

551

ცირკულაციური პროცესების მინაშენის თავისებურებები  
საქართველოში ამინდის მშენებელთა პირობების  
განვითარების დოკუმენტი

ბოლო პერიოდში, კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე აღინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მატება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის სოციალურ პირობებზე და იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს. ამასთან ამ პროცესის გამოვლინება ეკოლოგიურ და კლიმატურ პრობლემასაც წარმოადგენს. კერძოდ, იგი საფრთხეს უქმნის კავკასიონის მყინვარების ეკოლოგიურ წონასწორობას, რაც ნორმასთან შედარებით მაღალი ტემპერატურისა და ჰაერის მხარდა აეროზოლური დაჭუჭუიანების პირობებში მათი აბლაციის დაჩქარებაში გამოიხატება.

რედინგის უნივერსიტეტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოების [1,2] შედეგად აღმოჩნდა, რომ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში 1985-2000 წლებით პერიოდში მყინვარების აბსოლუტურმა უძრავლესობამ (94%) განიცადა უკან დახვა საშუალო სიჩქარით 8 მეტრი წარმატებით.

გაზომილი 113 მუნიციპალიტეტის მხრივ თრმა წაიტია წინ. უკუკცევის მაქსიმალურმა მანძილმა შეადგინა 571 მ, ხოლო წინსვლის მანძილმა 108 მ. რადგან მუნიციპალიტეტი მოიაზრება კლიმატის ცვლილების საიმედო ინდიკატორებად, ეს უფროს კენელი კი თავის მხრივ დამოკიდებულია ატმოსფეროს ცირკულაციის გლობალურ და რეგიონალურ ანომალიებზე, მაშინ ცხადია რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცირკულაციური პროცესების თავისებურებათა შესწავლასა და მახასიათებელი ტრანზიტის გამოვლენას.

ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს 50 წელზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია [3,4,5], მაგრამ მათ შრომებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ცალკეული სტიქიური მოვლენების განვითარების მომენტში არსებული აეროსინოპტიკური პროცესების აღწერასა და ტიპიზაციაზე და არ განიხილებოდა პროცესების დინამიკა და მათი რაოდენობრივი მახასიათებლები.

ბრივი შეფასების საშუალება. მაგალითად, თუ  $\Delta F > 0$ , მაშინ რუკის მოცემული წერტილის ირგვლივ დაიკვირვება ციკლონური წარმონაქმნი (ციკლონი, ციკლონის დარი, დაბალი წნევის არე), ხოლო როდესაც  $\Delta F < 0$ , მაშინ ადგილი აქვს ანტიციკლონური წარმონაქმნის განვითარებას (ანტიციკლონი, ანტიციკლონის თხემი, მაღალი წნევის არე). ჰაერის მასების მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ აღგილი აქვს, როდესაც  $F_x > 0, F_x < 0, F_y > 0, F_y < 0$  შესაბამისად.


აღნიშნული ცირკულაციის ინდექსების გამოთვლა მიზანშეწონდნია AT-500 პპა რუკების მონაცემების გამოყენებით, ვინაიდან ციკლონური და ანტიციკლონური წარმონაქმნების არსებობა განაპირობებს სითბოსა და სიცივის კერების არსებობას ტროპოსფეროს შუა ფენაში(5.5კმ), რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მიწისპირა ფენაში ამინდის პირობების ჩამოყალიბებაზე. ინდექსების გამოთვლის დროს გამოიყენება მართკუთხა ბადე, რომელზედაც დატანილია 25 წერტილი. წერტილებს შორის მანძილი 500 კმ-ის ტოლია [6]. ცირკულციის პარამეტრების განსაზღვრა წარმოებს არა ლოკალურ წერტილში, არამედ დიდ ტერიტორიაზე ( $4 \cdot 10^6 \text{ კმ}^2$ ) ე.ო. ვაფიქსირებო ფართომასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების ამსახველ პარამეტრებს, რაც ძალაზე მნიშვნელოვანია.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში 2008 წლის ექსტრემალურად ცივი იანვრისა და ცხელი და მშრალი აგვისტოს თვეების ცირკულაციურ თავისებურებათა ანალიზი ამ ინდექსების გამოყენებით.


ნახ.1-ზე წარმოდგენილია  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  ინდექსების გრაფიკები 2008 წლის იანვრის თვეში. როგორც ნახ.1-ადან ჩანს, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტროპოსფეროს შუა ფენაში (AT-500 პპა) იანვარში ადგილი პქონდა ციკლონური და ანტიციკლონური ბარიული ველების საკმაოდ მყაფიოდ გამოხატულ მორიგეობას. ციკლონური ველის ზემოქმედება აღინიშნა 4-ჯერ: 1-3, 7-12, 17-21 და 26-27 იანვარს. მათგან ძლიერი იყო 1-3 და 7-12 იანვრის ზემოქმედებები, შედარებით სუსტი 17-21 იანვრის ზემოქმედება და ძალიან სუსტი 26-27 იანვრის ზემოქმედება. ანტიციკლონური ველის ზემოქმედებას ადგილი პქონდა: 4-5 12-16, 21-25 და 28-30 იანვარს. მათ შორის უკელაზე ინტენსიური იყო 4-5 იანვრის ზემოქმედება, უკელაზე ხანგრძლივი კი 12-16 იანვრის ზემოქმედება. საერთო ჯამში ციკლონურ და ანტიციკლონურ ზემოქმედებათა რაოდენობა თვის განმავლობაში საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული. ამასათან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის იანვრის თვეში სიცივის ჩამოყალიბებაში ატმოსფერული ცირკულაციის ამ ინდექსს გადამწყვეტი როლი არ ექვნის.

ნახ.1-ბ-ზე წარმოდგენილი  $F_x$ -ის გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ ამიერკავკასიის თავზე ტროპოსფეროს შეა ფენაში 2008 წლის იანვრის თვეში საქმაოდ ხანგრძლივად აღინიშნებოდა ჰაერის მასების მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ( $F_x < 0$ ). ამასთან, მოძრაობა ხშირად გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ინტენსივობითაც ( $F_x < -3$ ). რაც შეეხება დღეთა საერთო რაოდენობას ჰაერის მასების მოძრაობით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მათმა რიცხვმა 17-ს მიაღწია, ხოლო დღეთა რიცხვი ჰაერის მასების მოძრაობით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ 7 დაფიქსირდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ  $F_x$ -ის ინდექსის მსგავსობა საქმაოდ დამაჯერებლად ხსნის საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის იანვარში სიცივის ჩამოყალიბების მიზეზს. კერძოდ, ეს მიზეზი მდგომარეობს ტროპოსფეროს შეა ფენაში ცივი ჰაერის მასების ხანგრძლივ მოძრაობაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.


ა)  $\Delta F$



ბ)  $F_x$



გ)  $F_y$




ნახ.1  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  ინდექსების გრაფიკები 2008 წლის იანვრის თვეში

საყურადღებოა  $F_y$ -ის გრაფიკიც. როგორც ნახ 1-დან ჩანს 5-დან 20 იანვრამდე ტროპოსფეროს შეა ფენაში ამიერკავკასიის თავზე ბლოკირებული იყო ჰაერის მასების მოძრაობის დასავლეთის მდგრელი ( $F_y \leq 0$ ) და მხოლოდ თვის ბოლოს აღინიშნა ჰაერის მასების გადაადგილების დასავლეთის მდგრელის გაძლიერება ( $F_y > 0$ ). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჰაერის მასების გადაადგილების დასავლეთის მდგრელის გააქტიურება, როგორც წესი, ხელს უწყობს თბილი ჰაერის გავრცელებას მოცემულ რეგიონში. ამრიგად, თუ შევადარებო  $F_x$ -სა და  $F_y$ -ის გრაფიკებს აღმოჩნდება, რომ  $F_y$ -ის გრაფიკ აფიქსირებს იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის თავზე ძირითადად აღინიშნებოდა ჰაერის მასების მოძრაობა მხოლოდ ჩრდილოეთიდან და აღინიშნებოდა ჰაერის მასების მოძრაობა მხოლოდ სამხრეთისაკენ.


ლოკომოტივთა სამხრეთისაკენ, რაც საბოლოო ჯამში კიდევაც აისახა საქართველოში დაბალი ტემპერატურების ჩამოყალიბებაზე.

2008 წლის აგვისტოს თვეში პირიქით, საქართველოში დაფიქ-სირდა პაერის ტემპერატურის ნორმიდან მნიშვნელოვანი დაღებითი გადახრა, რასაც თან ახლდა მცირენალექიანობაც. ნახ.2.-ზე მოცე-მულია,  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  ინდექსების გრაფიკები 2008 წლის აგვისტოში. როგორც ნახ.აზიდან (ა) ჩანს 2008 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის თავზე ტროპოსფეროს შუა ფენაში დღეთა განმეორადობა (22) ანტი-ციკლონური ველით ( $\Delta F < 0$ ) მნიშვნელოვნად ჭარბობს დღეთა განმეო-რადობას (9) ციკლონური ბარიული ველით ( $\Delta F > 0$ ).


ა)  $\Delta F$



ბ)  $F_x$



გ)  $F_y$



ნახ.2  $F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  ინდექსების გრაფიკები 2008 წლის აგვისტოს თვეში

სწორედ ანტიციკლონური ბარიული ველის უპირატესმა განვითარებამ განაპირობა აგვისტოს თვეში ცხელი და მშრალი ამინდის პი-რობების ჩამოყალიბება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოშიც. იმავე ნახაზიდან (ბ) ჩანს, რომ 2008 წლის აგვი-სტოს თვეში ამიერკავკასიის თავზე მხოლოდ ერთხელ (28 აგვისტოს) აღინიშნა პაერის მასების გადაადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთი-საკენ, დანარჩენ შემთხვევაში კი პაერის მასები მოძრაობდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ბ-გ).

ნახ.3-ზე მოცემულია პაერის სამუალო დღედამური ტემპერატურის ნორმიდან გადახრის მხვდლელობა ქ. თბილისში 2008 წლის იანვარსა (ა) და აგვისტოში (ბ). როგორც ნახაზიდან ჩანს, იანვარში კავკასიის რეგიონში ციკლონური ველის პირველი შემოტკრიდვა (4-5 იანვარი), თბილისში საქმაოდ ხანგრძლივია აცივდა. ამ პერიოდში ტროპოსფე-როს შუა ფენაში ამიერკავკასიის თავზე ჩამოყალიბებული იყო პაე-რის მასების ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოძრაობის ტენდენცია, რაც ასევე კარგად ჩანს  $F_y$ -ის გრაფიკიდანაც (ნახ.1გ). მხოლოდ იანვა-რის თვის მესამე დეკადაში დაიწყო დათბობა საქართველოში, რო-დესაც ტროპოსფეროს შუა ფენაში საკმაოდ ხშირად აღინიშნებოდა პაერის მასების მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. რაც შე-

ეხება აგვისტოს, აქ მოედი თვის განმავლობაში (გარდა 9-10 რიცხვისა) დაიგვირვებოდა პაერის საშუალო დღეგლამური ტემპერატურის ნორმიდან დადებითი გადახრა. ეს საქმაოდ ანომალური შემთხვევაა და მჭიდროდაა დაკავშირებული ცირკულაციის ფაქტორთან, რაც დაფიქსირებულია ინდექსების მნიშვნელობებითაც (ნახ.2). აგვისტოს თვეში ამიერკავკასიაზე გაბატონებული იყო  $\Delta F$ -ის უარყოფითი მნიშვნელობები. ეს კი იმაზე მეტველებს, რომ ამიერკავკასიაზე ტროპოსფეროს შუა ფენაში ცირკულაციური პროცესების განმსაზღვრელი იყო ანტიციკლონური ველი, რაც ძირითადი პირობაა მიწისპირა ფენაში თბილი და მშრალი ამინდების ჩამოყალიბებაში. აგვისტოში (ნახ.2-ბ) თითქმის არ პქრინა ადგილი პაერის მასების მოძრაობას ტროპოსფეროს შუა ფენაში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რასაც შეიძლება გამოეწვია პაერის ტემპერატურის დაწევა საქართველოს ტერიტორიაზე.


ამინდის ექსტრემალური პირობების მახასიათებლების შემაჯამებელი მნიშვნელობები 2008 წლის იანვარსა და აგვისტოში მოცემულია ცხრილში 1. როგორც ცხრილიდან ჩანს, თბილის ში 1-23 იანვარს პაერის საშუალო დღეგლამური ტემპერატურის უარყოფითა გადახრამ ნორმიდან  $-3,7^{\circ}\text{C}$ , ხოლო 1-31 აგვისტოს დადებითმა გადახრამ  $2,7^{\circ}\text{C}$  შეადგინა. ცირკულაციის ინდექსი ( $\Delta F$ ) იანვარში  $\Delta F=0.17$ -ის, ხოლო აგვისტოში  $\Delta F=-1.04$ -ის ტოლი აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთოთქმს, რომ იანვარში ამიერკავკასიის თავზე ტროპოსფეროში დაიკირვებოდა სუსტი ციკლონური ველი. აგვისტოში კი ძლიერი ანტიციკლონური ველი. რაც შეეხება პაერის მასების მოძრაობას, იანვარში აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი ჩრდილოეთის ( $F_x=-1.94$ ) და სუსტი დასავლეთის ( $F_y=0.16$ ) მდგენელი, ხოლო აგვისტოში ზომიერი სამხრეთის ( $F_x=0.63$ ) და ძლიერი დასავლეთის ( $F_y=1.23$ ) მდგენელი.

ცხრილი 1. 2008 წლის იანვრისა და აგვისტოს ამინდის ექსტრემალური პირობების მახასიათებლები

პროცესის დახარისხი	პროცესის დახარისხი	ხანგრძლივობა (დღე)	საშუალო დღეგლამური (C) ტემპერატურის ინდექსი	გადახრა ნორმიდან T° C	ინდექსის საშუალო მნიშვნელობა (T-500 ჰა)			პროცესის დახასიათებები
					$\Delta F$ წ/წ <sup>1</sup>	$F_x$ მ/წ <sup>1</sup>	$F_y$ წ/წ <sup>1</sup>	
01.01.08	23.01.08	23	-2,3	-3,7	0,17	-1,94	0,16	სიცივის ტალღა
01.08.08	31.08.08	31	26,7	2,7	-1,04	0,63	1,23	სითბოს ტალღა

როგორც ვხედავთ, საქართველოს ტერიტორიაზე პაერის ტემპერატურის ნორმიდან მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრის პერიოდები ემთხვევა დროის იმ მონაცემებს, როდესაც ამიერკავკასიის თავზე

ტროპოსფეროს შეა ფენაში გააქტიურებული იყო პაერის მასების მოძრაობის ჩრდილოეთის მდგრენელი, ხოლო დადებითი გადახრის პერიოდები ემთხვევა დროის იმ მონაკვეთებს, როდესაც პაერის მასები გადაადგილდებოდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რაც საკმაოდ მკაფიოდაა გამოსახული  $F_x$ -ისა და  $F_y$ -ის გრაფიკების საშუალებით (ნახ.1 და ნახ.2).



ნახ.3 პაერის საშუალო დღედამური ტემპერატურის ნორმიდან გადახრის მსგავსობა ქ. თბილისში 2008 წლის იანვარსა (ა) და აგვისტოში (ბ)

რაც შექება ციკლონური ( $\Delta F > 0$ ) და ანტიციკლონური ( $\Delta F < 0$ ) ფორმის ცირკულაციური წარმონაქმნების მსგავსობის კავშირს პაერის ტემპერატურის ნორმიდან გადახრასთან, აქ გადამჴყვები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ამ წარმონაქმნების რომელი სეტემბრით ხორციელდება ზემოქმედება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

მაგალითად, 2008 წლის იანვრის თვეში ხშირი იყო ციკლონური წარმონაქმნების ზურგით ნაწილში განვითარებული ჩრდილოეთის დენების ( $F_x < 0$ ) ზემოქმედება ამიერკავკასიაზე, ხოლო აგვისტოს თვეში ანტიციკლონური ვალის ფონზე განვითარებული სამხრეთისა და დასავლეთის დენების ( $F_x > 0$ ,  $F_y > 0$ ) ზემოქმედებები.

ამრიგად, ინდექსების  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  გამოვლა შესაძლებელობას გვაძლევს დავაფიქსიროთ ფართომასშტაბიანი ცირკულაციის კომპლექსური პირობები, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურული ანომალიების ჩამოყალიბებას, აგრეთვე დავადგინოთ ამ ანომალიების ტრენდული ხასიათის კავშირი აღნიშნული ინდექსების დინამიკასთან.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Stokes C.R. Gurney S.D., Shahgedanova M., Popovnin V. Late-20<sup>th</sup>-century changes in glacier extent in the Caucasus Mountains, Russia/Georgia. Jurnal of Glaciology, 2006, VOL.116 52, No.176.
2. Shahgedanova M., Stokes C.R., Gurney S. D. Interactions between mass balance, atmospheric circulation, and recent climate change on the Djankuat Glacier, Caucasus Mountains, Russia. Jurnal of Geophysical Research, 2005, VOL.116110, D 04108.
3. Напетваридзе Е.А., Папинашвили К.И. Синоптико-аэрологические условия особых явлений погоды в Закавказье и некоторые правила их

- прогнозирования на естественный синоптический период. Труды ТбилисИГМИ, 1957, вып. 2.
4. Чиракадзе Г. И. Засуха, бездождный период и суховей на территории Кавказа. Л., Гидрометеоиздат, 1980.
  5. Гигинеишвили В.М., Напетваридзе Е.А. и Папинашвили К.И. Атмосферные процессы как фактор колебания ледников большого Кавказа. Труды ТбилисИГМИ, 1961, вып. 8.
  6. Чоговадзе И.В. В кн. "Руководство по краткосрочным прогнозам погоды". -часть 1, Л.:Гидрометеоиздат, 1986.
  7. Тикишвили Ц.Ф. Количественная оценка элементов циркуляции атмосферы при выпадении сильных и очень сильных осадков Западной Грузии. Тр. ЗакНИГМИ, 1989, вып.91(98).

უაკ 556.16.06

**ცირკულაციური პროცესების დინამიკის თავისებურებები საქართველოში ამინდის ექსტრემალური პირობების განვითარების დროს. /ბ. ბერიაშვილი,  
ნ. კაპანაძე, ი. ჩოგოვაძე/ პმ-ს შრომათა კრებული – 2009 – ტ.116. გვ.  
ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**  
საქართველოში 2008 წლის ექსტრემალურად ცივი იანვრისა და ცხელი  
აგვისტოს თვეების ცირკულაციური ინდექსების  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  გამოყენებით  
ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე  
ტემპერატურული ანომალიების ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფართო-  
მასშტაბური ცირკულაციის კომპლექსური პირობები, ასევე ამ ანომალიების  
ტემპერატურული ხარakterის რაოდენობრივ მნიშვნელობათა კავშირი ცირკულაციის  
ინდექსების დინამიკასთან.

UDC 556.16.06

**Features of atmospheric processes dynamics during the extreme weather conditions development in Georgia.** / B. Beritashvili,Nn. Kapanadze, I. Chogovadze./ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology of Georgia. – 2009, – V.116 – p. – Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

On the basis of analysis of monthly circulation indexes  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$  during the extremely cold January and extremely hot August of 2008, the complex conditions for the large-scale circulation processes causing the temperature anomalies on the territory of Georgia are established, as well as the relation of numerical values of this anomalies with the dynamics of circulation indexes.

УДК 556.16.06

**Особенности циркуляционных процессов над Грузией при развитии экстремальных условий погоды** /Б.Ш Бериташвили, Н.И Капанадзе, И.В Чоговадзе./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2009, - Т.116, с. Груз., Рез. Англ., Рус. На основе анализа с использованием циркуляционных индексов  $\Delta F$ ,  $F_x$ ,  $F_y$ , характеризующих экстремально холодный январь и экстремально теплый август 2008 года в Грузии, установлены комплексные условия, определяющие формирование температурных аномалий на территории Грузии, а также связь между численными значениями трендовых характеристик этих аномалий с динамикой циркуляционных индексов.

პირველი გეოგრაფიული ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
**TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114**  
**ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114**

ზ. ხვედელიძე, თ. დავითაშვილი, ი. სამხარაძე

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551

მთა-ხეობებში მიმოცირკულაციური პროცესების მათემატიკური  
 მოდელირება ორობრაჟიული ზაქტორების ბათვალისწინებით

აერო-პიდროდინამიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ჰაერის ნაკადის დინების შესწავლა მცირე სიგანის არხში. ეს საკითხი უფრო საინტერესო ხდება იმ შემთხვევაში, როცა არხის ფსკერი წარმოდგენილია მთა-ბურცობული რელიეფის სახით. ასეთი პირობები რეალურად არსებობს მთა-ხეობებში, მდინარეთა კალაპოტებში, მცირე სიმაღლის ბურცობებიან ტერიტორიაზე ჰაერის მასათა გარსდენისას. საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ ადგილას არსებობს მსგავსი სიტუაციები, მათ შორის ბაქო-თბილის-ჯეიპანის ნავთობ-მაგისტრალის გასწვრივ. აქედან გამომდინარე აღნიშნულ პრობლემას აქვ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დირექტულება.

ამოცანა ისმის ასე: შესწავლილი იქნას აერო-პიდრო ნაკადების დინება პორიზონტისადმი მცირე ა კუთხით დახრილ, მცირე ხ სიგანის არხში, სუსტი ( $V < 10\text{m/s}$ ) ქარის დროს. განიხილება სტაციონალური დინება  $\mathbf{xoz}$  სიბრტყეში სიმძიმის ძალის და ფსკერის რელიეფის გავლენის გათვალისწინებით. კოორდინატთა სათავე მოთავსებულია მდინარის ან ხეობის ძირში, იხ დერდი მიმართულია ნაკადის გასწვრივ, ხოლო  $oz$  – გერტიკალურად ზევით. იგულისხმება რომ ნაკადის ინტენსიტაბა მცირე  $At$  დროში უცვლელია და ატმოსფერული წნევის მოქმედება მუდმივია. ამრიგად გვაქვს [1,2]:

$$\frac{\partial p}{\partial x} = 0; \quad (1)$$

ხოლო

$$P_x = g \sin \alpha; \quad p_z = g \cos \alpha, \quad (2)$$

სადაც  $p$  წნევაა,  $g$  – სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მითითებულ პირობებებში პიდროდინამიკის განტოლებათა სისტემა ჩაიწერება შემდეგი სახით [1, 2, 3].

$$g\rho \sin \alpha + \mu \left( \frac{\partial^2 V}{\partial y^2} + \frac{\partial^2 V}{\partial z^2} \right) = 0 \quad (3)$$

$$\frac{\partial p}{\partial y} = 0; \quad (4)$$

$$\frac{\partial p}{\partial z} + g\rho \cos \alpha = 0 \quad (5)$$

(3)-(5) ინტეგრირდება შემდეგი სასაზღვრო პირობებით:

$$\text{როცა } z=0, \quad V=0, \quad (6)$$

$$\text{როცა } z=h, \quad \frac{\partial V}{\partial z} = 0, \quad (7)$$

$$\text{როცა } z=h, \quad p=p_0, \quad (8)$$

სადაც  $\rho$  პაკერის (სითხის) სიმკვრივეა,  $h$  – თავისუფალი ზედაპირის სიმაღლე,  $\mu$  – სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტი. ასეთი სახით დასმული ამოცანა ამოხსნილია [1, 2] და შესაბამისი მახასიათებელი სიდიდეები სიჩქარე, წნევა და გამავალი ნაკადის რაოდენობა  $Q$  განსაზღვრულია შემდეგი დამოკიდებულებით:

$$p = p_0 + g\rho(h-z)\cos\alpha, \quad (9)$$

$$V = \frac{g\rho(2h-z)}{2\mu}\sin\alpha, \quad (10)$$

$$Q = \frac{g\rho b h^3 \sin\alpha}{3\mu}, \quad (11)$$

სადაც  $Q$  არის ნაკადის სიმძლავრე იმ შემთხვევაში, როცა არხის ქვედა ზედაპირი არის მცირე სიმაღლის (რამოდენიმე მეტრის რიგის) ბურცობული დროულებით დაფარული, მოძრაობს სტრუქტურის გამოსაკვლევად  $z$  კოორდინატი ნაცვლად შემოვიტანოთ ახალი კოორდინატი  $z'$  შემდეგი დამოკიდებულებით [3-6]:

$$z_1 = \frac{z - \xi(x, y)}{h - \xi(x, y)} h, \quad (12)$$

სადაც  $\xi(x, y)$  არის არხის ფსკერის რელიეფის ფორმა. კოორდინატთა ახალ სისტემაში (3)-(5) განტოლებათა სისტემა (6)-(8) სასაზღვრო პირობებით მიიღებენ შემდეგ სახეს:

$$g\rho \sin\alpha + \mu \left( \frac{\partial^2 V}{\partial y^2} + a^2 \frac{\partial^2 V}{\partial z_1^2} \right) = 0, \quad (13)$$

$$\frac{\partial p}{\partial y} = 0, \quad (14)$$

$$a \frac{\partial p}{\partial z_1} + g \cos\alpha = 0, \quad (15)$$

$$\text{როცა } z_1 = \xi(x, y), \quad \text{მაშინ } V=0, \quad (16)$$

$$\text{როცა } z_1=h, \quad \text{მაშინ } \frac{\partial V}{\partial z_1} = 0, \quad (17)$$

$$p=p_0.$$

$$\text{აქ } a = \frac{h}{h - \xi(x, y)} \text{ და ითვლება მუდმივად. რაც შეეხება (9) - (11)}$$

ფორმულებს, ისინი  $a$ -ს გათვალისწინებით ასე გადაიტერებიან:

$$p = p_0 + \frac{g\rho}{a} (h - z_1) \cos \alpha , \quad (18)$$

$$V = \frac{\partial \rho \sigma_1 (2h - z_1)}{2a^2 \mu} \sin \alpha , \quad (19)$$

$$Q = \frac{\partial \rho b h^3}{3a^2 \mu} \sin \alpha . \quad (20)$$

(18) – (20)-დან ჩანს, რომ პაერის ნაკადის სიჩქარე და სიმძლავრე ფსკერის რელიეფს მახსიათებელ სიდიდეზე დამოკიდებულია მისი კვადრატის უკუპროპორციულად. ამრიგად, არსები ფსკერის რელიეფის გავლენის გათვალისწინებამ შეამცირა როგორც ნაკადის სიჩქარე, ასევე ინტენსივობის რაოდენობა. აქედან გამომდინარე პაერის (სითხის) ნაკადში ადგილობრივი დაჭუქებიანების წყარო (სხვადასხვა მინარევის დაქა) ნელა გადაადგილდება და თვითგაწმენდის პერიოდი გაიზრდება.

ახლა განვიხილოთ ისეთი პაერ-პიდორ ნაკადი, რომელიც შეიცავს დაჭუქებიანების წრეტილოვან ან წრფივ წყაროებს და დინებისას პორიზონტალურ სიბრტყეში წარმოქმნის ინტენსიობის გრიგალებს – ცირკულაციურ დინებებს [1]. ვისარგებლოთ პიდროდინამიკის განტოლებათა სისტემით დამბა – გრომოკის ფორმით, რომელიც უშვებს სიჩქარისა და ძალის ველის პოტენციურობას ე.ო. [3]:

$$U = \frac{\partial \Phi}{\partial x}; \quad V = \frac{\partial \Phi}{\partial y}; \quad W = \frac{\partial \Phi}{\partial z} . \quad (21)$$

ამიტომ განტოლებათა სისტემა ასე ჩაიტერება:

$$- qrad(\varphi + \Pi + E) = qrad\left(\frac{\partial \Phi}{\partial t}\right), \quad (22)$$

სადაც  $\varphi$  – მასიური ძალების პოტენციალია,  $\Phi$  – სიჩქარეთა ველის პოტენციალი,  $E$  – კინეტიკური ენერგია,  $\Pi = \frac{P}{\rho}$  უტემშვადი

გარემოსათვის,  $\Pi = \frac{\chi - 1}{\chi} \frac{P}{\rho}$  კუმულატური

პირობებისათვის,  $\chi = \frac{C_p}{C_v}$   $C_p$  – გუთრისითბო-ტევადობა მუდმივი

წნევის დროს,  $C_v$  – კუთრისითბოტევადობა მუდმივი მოცულობისას. (22)-დან მიიღება დაგრანჯის ინტეგრალი [1, 3]:

$$-(\varphi + \Pi + E) = \frac{\partial \Phi}{\partial t} + c(t) , \quad (23)$$

სადაც  $c(t)$  – მუდმივია და როცა იგი უდრის 0-ს (23) გადადის ეფლერის ფორმულაში, რომელსაც ბაროტროპული გარემოსათვის აქვს სახე:

$$\rho\varphi + P + \frac{\rho V^2}{2} + \rho \frac{\partial \Phi}{\partial t} = 0 . \quad (24)$$

იმის დაშვებით, რომ დინება სტაციონალური ( $\Phi = const$ ) მცირე დროით ინტერვალზე ox დერძის მიმართულება ემთხვევა „გრიგალს“ დერძს ( $\varphi = 0$ ) მაშინ (24) ასე გადაიწერება:

$$P - P_\infty = -\frac{\rho V^2}{2} , \quad (25)$$

სადაც  $P_\infty$  შეესაბამება წნევის მნიშვნელობას წყაროდან შორ მანძილზე, სადაც  $V=0$ . როგორც თეორიიდან ცნობილია [1,4,5] დინების სიჩქარეები კლებულობენ წყაროდან დაშორების r სიდიდის უძუპროპორციულად. ე.ო.

$$V = \frac{Q}{2\pi r} , \quad (26)$$

(26)-ის გათვალისწინებით (25) ასე გადაიწერება:

$$P - P_\infty = -\frac{\rho Q^2}{8\pi^2 r^2} , \quad (27)$$

ე.ო. გრიგალური დინებისას წნევა კლებულობს ცენტრისკენ მანძილის კვადრატის უკუპროპორციულად. ამასთანავე რადგან  $P < P_\infty$  ხდება პარის (წყლის) ნაკადის შეწოვა ცენტრისკენ. ეს ფაქტიც აგრეთვე ხელს უწყობს დინების ნაკადში არსებულ დამჭუქებიანებელი მინარევების გადატანა-გაფანტვის შესუსტებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ქარის „გრიგალური“ სიჩქარის ასეთი თვისებით აისხება „ქარბორბალას“ წარმოქმნა. ქარბორბალა გადაადგილებისას პერიფერიულიდან ცენტრისკენ იწოვს პარის მასებს და თან მიაქვს სხვადასხვა საგნები. აშრობს წყალს მდინარეთა კალაპოტში, ამსხვრევს სახლებს და ხეებს.  $P - P_\infty$  – სხვაობის აბსულუტური მნიშვნელობის სწრაფად ზრდა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ქარბორბალა ვრცელდება ვიწრო ზოლზე და საზღვრებზე ხელუხლებელს ტოვებს იმ საგნებს, რომელთა მსგავსს ცენტრში ანადგურებს.

როცა პროცესები ადიაბატურია და გარემო კუმულაცია, მაშინ მსგავსად (27)-სა ტემპერატურისათვის გვექნება

$$T - T_\infty = -\frac{(\chi-1)}{R} \frac{1}{8\pi^2 r^2} \frac{Q^2}{\chi} , \quad (28)$$

სადაც  $R$  – გაზის უნივერსალური მუდმივაა. (28)-დან კარგად ჩანს, რომ გრიგალურ ნაკადებში ტემპერატურა ცენტრისკენ მცირდება, ეს

უზრუნველყოფს იმას, რომ დინების გასწვრივ დაფიქსირებული იქნას „ცივი“ და „ცხელი“ უბნები. ასეთ უბნები მართლაც დაიკვირვება დიდი (ატომური ვულკანური) აფეთქებებისას და მოსალოდნელია შეიქმნას ნავთობ-გაზ საღვების გასწვრივ კატასტროფული სიტუაციების შემთხვევაში.

საინტერესო ერთ-ერთი მთავარი აქტუალური პრობლემა, კერძოდ ჭარბი წნევის მნიშვნელობა მძლავრი (შედარებით ხანგრძლივი დროის პერიოდში) აფეთქების დროს. ზოგადობისათვის მივიღოთ, რომ აფეთქების ნაკადი ვრცელდება სფერულად (ცხადია, ნაკადის გავრცელება შეიძლება წყაროდან ცალკეულ სექტორებში, განსაკუთრებით გაბატონებული ქრის მიმართულების გათვალისწინებით). ასეთ შემთხვევაში ნაკადის სიჩქარე წყაროს Q – სიმძლავრესთან დაკავშირებულია შემდეგი ფორმულით [1,5].

$$V = \frac{Q}{4\pi r^2}, \quad (29)$$

აღვნიშნოთ, რომ ამ დროს მოძრაობა არასტაციონალურია, საწყის მოქმედები სიჩქარე ყველგან ნულია, ხოლო  $\Delta t$  დროს შემდეგ სიჩქარე ხდება (29) გამოსახულებით მოცემული მნიშვნელობის ტოლი. (ცხადია, რომ

$$\varphi = -\frac{Q}{4\pi r}, \quad (30)$$

ლანგრაჟის ინტეგრალი კი მოგვცემს

$$\frac{\partial \varphi}{\partial t} + \Pi + \frac{V^2}{2} = \Pi_\infty. \quad (31)$$

მცირე  $\Delta t$  დროისათვის (31)-დან მივიღებთ:

$$p - p_\infty = \rho \frac{Q}{4\pi \Delta t} - \frac{\rho Q^2}{32\pi^2 r^4}, \quad (32)$$

$\Delta t$ -დროში  $r$  ტოლია, ამიტომ (32)-ში მეორე წევრი მარჯვენა მხარეში შეიძლება სიმცირის გამო უგულველყოთ. ამრიგად გვრჩება

$$p - p_\infty = \frac{\rho Q}{4\pi \Delta t} \cdot \frac{1}{2}. \quad (33)$$

მივიღეთ, რომ წნევა აფეთქების ცენტრის მიახლოებისას იზრდება მანძილის უკუპროპორციულად, ეს განსხვავებული დასკვნაა წინა შემთხვევისგან, რაც გამოწვეულია პროცესის არა სტაციონალობის გათვალისწინებით.

## ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Фабрикант О. Н. "Аэродинамика". Изд. "Наука", 1964г. с. 815.
2. Берлянд М. "Современные проблемы атмосферной дифузии и загрязнения атмосферы", Л., гидрометеоздат, 1975, с. 449.
3. ბევრები ზ. „დინამიკური მეტოდოლოგია“ თსუ, გამომ. 2002წ, გვ. 535.

- Шевченко М.В. Органические вещества природны и методы их управления. Киев: Наукова думка, 1966.
- Davitashvili T., Samkharadze I. Mathematical Modeling of Georgian Territory Pollution With Account of «Hot Points» Elanlarged Sessions of I. Vekua Institute of Applied Mathematics. Vol. 20. 2005. № 3.
- Белов Н.и др. "Численные методы прогноза почодве, Л., гидрометеоздат, 1989, с. 375.

უაკ. 6 32155027

**მთა-ხეობებში მიქროცირკულაციური პროცესების გათვალისწინებით /ზ. ხვდელიძე, თ. დავითაშვილი, ი.სამხარაძე /.** პმ-ს შრომათა კრებული-2007.-ტ.114.-გვ.85-96.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

პიდროთერმოდინამიკური მეორდების დახმარებით შეისწავლება სუსტი აერო-პიდრო დინებების თავისებურებები მცირე დახრილობის მქონე არხებში. ნაჩვენებია, რომ დინების სიჩქარე და სიმდლავრე უკუპროპორციულია არხის რელიეფის მახასიათებელი სიდიდის კვადრატისა. გრიგალურ დინებათა შემთხვევაში პიდრო-აერო დინებათა წნევა მცირდება ცენტრიდან დაშორების მანძილის უკუპროპორციულად. შემოთვაზებული თეორია საშუალებას იძლევა განისაზღვროს დინებათა სიჩქარეები და დამაბინძურებელ ნივთიერებათა გავრცელება მდინარეთა და მთათა შორის ხეობებში.

UDC632155027

**Mathematical Modelling of The Mountain-Pass Microcirculatory Processes Taking Into Account Orographic Factors./Khvedelidze Z., Davitasvili T., Samkharaze I./.** Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - т.114. – п.. 85-96 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ

In present report the peculiarities of the hydro-dynamical flows in a narrow canals with small slope bottom, at low velocities of the stream, have been studied. It has been shown that the velocity and power of the currents are inversely proportional to the square of the parameter characterized the special features of the canal's bottom . In the existing vortex stream the pressure decreases inversely proportional to the distance from the center. The present theory gives possibility to determine the velocity of flows and spreading of pollutants in the rivers or intermountain plains.

УДК 632155027

**Математическое Моделирование Горно- Ущелье Микроциркуляционных Процессов с Учетом Орографических Факторов./** Хведелидзе З.В., Давиташвили Т.П., Самхарадзе И.Н./. Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии.–2007.– т.114.–с.85-96.–Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

С помощью гидродинамических методов изучены особенности гидровоздушных потоков в узких каналах с малым наклоном дна при слабых течениях. Показано, что скорость и мощность потока обратно пропорциональны квадрату величины, характеризующей рельеф дна канала. При вихревых течениях давление гидровоздушных потоков уменьшается обратно пропорционально квадрату расстояния от центра. Предложенная теория позволяет определять скорости потоков и распространения загрязняющих веществ в ущельях рек и равнин междугорья.

პირველი გარემოში მიმღინარე პირველი ურთის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

დ. დემეტრაშვილი

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.465:551.509

გვეპრიგ გარემოში მიმღინარე პირველი ურთის შრომები და  
ეპოლოგიური პროცესების მოძღვირების ზოგიერთი შედებები

ბუნებრივი გარემო, რომელშიც ცხოვრება და სამეურნეო საქმი-  
ანობა უხდება ადამიანს, ბოლო ათეულ წლებში სწრაფ ცვლილებებს  
განიცდის. ეს ცვლილებები გამოწვეულია ადამიანის გაზრდილი  
სამეურნეო საქმიანობითა და მასთან დაკავშირებული გარემოზე ინ-  
ტენსიური ანთროპოგენური ზემოქმედებით. სწორედ ეს პქონდათ მხე-  
დველობაში ამერიკულ გეოფიზიკოსების რ. რეველსა და გ. სუესს,  
რომლებმაც ჯერ კიდევ 1957 წელს შენიშვნეს, რომ კაცობრიობა ატა-  
რებს “დიდმასშტაბიან გეოფიზიკურ ექსპერიმენტს”, ატარებს მას არა  
ლაბორატორიაში ან კომპიუტერზე, არამედ საკუთარ პლანეტაზე [1].  
ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი რესურსების  
რაციონალურად ათვისებასა და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის  
ოპტიმალურად წარმართვას, რაც თავის მხრივ აუცილებელსა ხდის  
ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისა და მისი შესაძლო ცვლილებების  
შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღების საჭიროებას. ეს  
გარემოება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა წინაშე წარმოშ-  
ობს ისეთი მათემატიკური მოდელების შექმნის აუცილებლობას,  
რომლებიც რეალურან მაქსიმალური მიახლოებითა და მაღალი  
გარევისუნარიანობით აღწერენ ბუნებრივი გარემოს ობიექტებში მიმ-  
ღინარე დინამიკურ და ეკოლოგიურ პროცესებს.

წინამდებარე სტატია, რომელიც მიმოხილვით ხასიათს ატარებს,  
შეეხება ავტორის უშეალო მონაწილეობით ბოლო წლებში შემუშავე-  
ბული შავი ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკისა და შავ ზღვაში  
მინარევების გავრცელების მათემატიკური მოდელების რეალიზაციის  
ზოგიერთ შედეგს.


ამჟამად ჩვენს მიერ შემუშავებულია შავი ზღვის დინამიკის ბა-  
როკლინური პროგნოსტიკული მოდელი, რომელსაც საფუძვლად  
უდევს ზღვის პიდროთერმოდინამიკის დიფერენციალურ განტოლება-  
თა სრული სისტემა პიდროსტატიკურ მიახლოებაში შესაბამისი სა-  
საზღვრო და საწყისი პირობებით. განტოლებათა სისტემა ჩაწერილია  
დეკარტის მართკუთხოვან კოორდინატთა სისტემაში და განხილულია  
თერმოდინამიკური სიდიდეების – ტემპერატურის, წნევისა და სიმ-  
კვრივის გადახრებისათვის მათი სტანდარტული ვერტიკალური გა-  
ნაწილებებიდან. ეს მოდელი წარმოადგენს სრულყოფას გასული სა-  
უკუნის 70-იან წლებში პირველად შემუშავებული შავი ზღვის დინა-  
მიკის პროგნოსტიკული მოდელისა, რომელიც დაფუძნებულია ოკეა-

ნის პიდროთერმოდინამიკის განტოლებათა სრულ სისტემაზე [2-4]. მისგან განსხვავებით, ჩვენი მოღელი ითვალისწინებს შავი და მარმარილოს ზღვების წყლების გაცვლას ბოსფორის სრუტის მეშვეობით, მდღუნაის ჩამონადენს, მზის ჯამური რადიაციის შთანთქმას ზღვის ზედაპირული წყლების მიერ, პორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტური სიბლანტისა და დიფუზიის კოეფიციენტების ცვლილებას დროსა და სივრცეში, შავი ზღვის აქვატორიის ზემოთ განვითარებული ატმოსფერული ცირკულაციური ტიპების მონაცემებას; გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სათვლელი ბადის გარჩევისუნარიანობა, როგორც პორიზონტალური პიჯი 5 კმ, ასევე ვერტიკალური (32 სათვლელი დონე). ატმოსფერული ზემოქმედება ზღვის პიდროლოგიურ რეჟიმზე გათვალისწინებულია სასაზღვრო პირობებით ზღვის ზედაპირზე, სადაც მოიცემა ქარის ხახუნის ტანგენციალური დაძაბულობის კომპონენტები, ტემპერატურა და მარილიანობა (ან სითბოს ნაკადები, ატმოსფერული ნალექები და ორთქლება), როგორც ცნობილი ფუნქციები. ზღვის ფსკერთან დინების სიჩქარის სამივე კომპონენტი და სითბოსა და მარილიანობის ნაკადები მიღებულია ნულის ტოლად. გვერდით საზღვარზე, რომელიც ზღვის აკვატორიას გამოჰყოფს ხმელეთისაგან, განისილება სიჩქარის პორიზონტალური კომპონენტებისა და სითბოსა და მარილიანობის ნაკადების ნულთან ტოლობა. მოდელის განტოლებათა სისტემის ამოსხას საფუძვლად უდევს გახლების ორციკლიანი მეოთხი ფიზიკური პროცესების, ვერტიკალური საკორდინაციო სიბრტყეებისა და კოორდინაციების მიხედვით [5].

შავი ზღვის დინამიკის მოღელის რეალიზაციისას გამოიყენებოდა სხვადასხვა გარჩევისუნარიანობის სათვლელი ბადები შესაბამისად 37, 10 და 5 კმ პორიზონტალური ბიჯებით. ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მოდელი რეალურად ასახავს შავი ზღვის ცირკულაციისა და თერმოპალინური ველების ძირითად თავისებურებებს. კერძოდ, გამოთვლების შედეგად მიღებულია შავი ზღვის ძირითადი დინება, რომელიც პერიფერიებში გაძავალი ციკლონური რგოლის სახით გარს უვლის ზღვის აუზს და ძირითადი ციკლონური წრებრუნვები ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ შიდა ნაწილებში. გარდა ამისა, მოდელი კარგად აღწერს დაკვირვებებიდან ცნობილ სანაპირო ანგიციკლონური ხასიათის გრიგალებს, მაგალითად კ. წ. ბათუმის ანგიციკლონს ზღვის აქვატორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სტამბოლის ანტიციკლონურ გრიგალს და სხვ.

ნახ. 1-ზე იღუსტრაციის მიზნით წარმოდგენილია მოდელის საფუძველზე გათვლილი შავი ზღვის ცირკულაციის ველი საშუალო წლიური კლიმატური მონაცემების მიხედვით სხვადასხვა სიღრმეებზე [6].

შეფასებულია ცალკეული ფიზიკური ფაქტორების როლი შავი ზღვის პიდროლოგიური რეჟიმის ჩამოყალიბებაში, მათ შორის მზის



ნახ.1. გამოთვლილი შავი ზღვის დინების ველი საშუალო წლიური  
მონაცემების მიხედვით სხვადასხვა სიღრმეებზე: (ა) --- 5 მ, (ბ)--- 15 მ,  
(გ) --- 55 მ, (დ) --- 1005 მ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის ცირკულაციაზე ატმოსფერული ზემოქმედების გავლენის შესწავლა ზღვის აუზის ტერიტორიაზე განვითარებული ატმოსფერული ცირკულაციური ტიპებით.

ბის უწყვეტი მონაცელეობის პირობებში [8]. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილია შავი ზღვის ცირკულაციის მთელი რიგი თავისებურებანი ატმოსფერული ზემოქმედების ძლიერი არასტაციონარულობის პირობებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემუშავებული მოდელი ამჟამად გამოყენებას პოულობს შავი ზღვის შესწავლის საერთაშორისო პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებში, რომელთა მიზანია შავი ზღვის ოკერატიული პროგნოზული სისტემის შექმნა.

ზღვის დინამიკის მოდელის რეალიზაციაში შავი ზღვის აუზისა-თვის საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ეკოლოგიური პროცესების მოდელები, რომელებიც დაკავშირებულია შავი ზღვის ზედაპირზე ავარიულად დადგრილი ნავთობისა და შავი ზღვის ღრმა ფენებში მდებარე დაჭუჭყიანების წყაროდან არაკონსერვატიული მინარევის გავრცელებასთან [9]. მოდელები დაფუძნებულია სუბსტანციის გადა-ტანა-დიფუზიის თრ და სამგანზომილებიან განტოლებათა ამოხსნაზე, ხოლო განტოლებებში შემავალი ზღვის დინების კომპონენტებად გამოიყენება ზღვის ბაროტორპული და ბაროკლინური მოდელების საფუძველზე მიღებული მნიშვნელობები.


ნავთობის ჩაღვრის ადგილი ზღვაში განიხილებოდა როგორც წერილოვანი წყარო. რიცხვითი ექსპერიმენტები ჩატარებული იყო წყაროს სხვადასხვა მდებარეობის შემთხვევებში, როცა ნავთობის ავარიული ჩადინება ტოლი იყო 10000 ან 100000 ტ-ისა. ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შავ ზღვაში ნავთობის დიდი რაოდენობით ჩაღვრისას ზღვის საშუალო წლიური ცირკულაციის პირობებში აღ-გილი აქვს ნავთობის კონცენტრაციების გავრცელების შემდეგ ჯანმზომიერებებს:

- შავი ზღვის ზედაპირული წყლების ციკლონური ხასიათი და სახელდობრ, შავი ზღვის ძირითადი დინება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნავთობის გაჭუჭყიანების სივრცით-დროითი განაწილების ძირითად თავისებურებებს.
- ნავთობის ზღვაში ავარიულად ჩაღვრიდან რამოდენიმე ათეული დღის განმავლობაში ნავთობის კონცენტრაციების გავრცელების ხასიათი და მასშტაბი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ ფაქტთან თუ ზღვის რომელ რაიონში მოხდა ავარიული ჩაღვრა. ავარიულად ჩაღვრიდან დაახლოებით 1,5-2 თვის შემდეგ ნავთობის კონცენტრაციების გავრცელების პროცესი პრაქტიკულად აღარაა დამოკიდებული ნავთობის წყაროს ადგილმდებარეობაზე.

მინარევების გავრცელების სივრცითი მოდელის რეალიზაციისას რადიოაქტიური მინარევი სტრონციუმ-90 ( $S_r^{90}$ ) გამოიყოფოდა ზღვის გარემოში წერილოვანი პიპოლებური წყაროდან უწყვეტად მთელი ინტეგრების დროის განმავლობაში 2000 კიური რაოდენობით

წელიწადში. განტოლების ინტეგრება ხდებოდა დინამიკური წონასწორების დამყარებამდე. (ასეთი მდგომარეობა მიიღწეოდა დაახლოებით 39 მოდელური წლის შემდეგ).

ნახ.2-ზე ნაჩვენებია ერთ-ერთ რიცხვით გქსპერიმენტი ში გათვალისწინებული სტრუქტურის გელი 39 მოდელური წლის შემდეგ, როდესაც წყარო მდებარეობდა 1805 მ სიღრმეზე. ჩატარებული გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ შავი ზღვის ფსკერის გამოყენება ტრქეთიკურ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა სამარხად დაუშვებელია (როგორც ცნობილია, შავი ზღვა დრო და დრო გამოიყენებოდა ასეთ ნივთიერებათა სამარხად).




ნახ. 2. მინარევის კონცენტრაციის იზოწირები წყაროს მახლობელ ვერტიკალურ კვეთებში, როდესაც წყარო მდებარეობდა 1805 მ სიღრმეზე.

მნიშვნელოვანი პრაქტიკული დირექტულება გააჩნია ზღვის აუზში დაჭრების წყაროს მდებარეობის დადგენის ოეორიულ მეთოდს ზღვის ზედა ფენის ცალკეულ წერტილებში მინარევის ცნობილი კონცენტრაციების მიხედვით, რომელსაც საფუძლად უდევს გადატანა-დიფუზიის შეუდლებულ განტოლებათა ამონსნა [10]. მეთოდი აპრობირებულია იმ შემთხვევებში, როცა წყარო მდებარეობდა შავი ზღვის დრმა ფენებში (3 განზომილებიანი ამოცანა) და ზღვის ზედაპირზე (ნავთობის დადგრის შემთხვევა, ორგანზომილებიანი ამოცანა). გამოკვლეულია მეთოდის მგრძნობიარობა ამოცანაში შემავალი პარამეტრების მიმართ.

აგმოსფერული პროცესების შესწავლის მიზნით ჩატარებულ ჩვენს კვლევებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მეზომას-შტაბური პროცესების რიცხვითი მოდელების შემუშავებასა და მათ

რეალიზაციაზე საქართველოს ტერიტორიისათვის. ასეთი მოდელების შემუშავება განხსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგან მისი რეალიეფი მკვეთრად გამოხატული სხვადასხვა მასშტაბისა და ორიენტაციის მქონე ოროგრაფიული ელემენტების სიუხვით მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მეზომასშტაბური ცირკულაციური სისტემების ჩამოყალიბებასა და ევოლუციას. ეს უკანასკნელი ვთარდებიან სინოპტიკური პროცესების ფონზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის განმსაზღვრელი პარამეტრების სივრცით-დროით განაწილებაში. ჩვენს მიერ შემუშავებულია პლანეტარული სასაზღვრო ფენა-ნიადაგის ქაზიერთებაროვანი ჰიდროთექმოდინამიკური მოდელი [11] და ლოპალური პროცესების არასტაციონარული სივრცითი მოდელი ჰიდროსტატიკურ მიახლოებაში [12]. პირველი მოდელი საშუალებას იძლევა მივიღოთ ცალკეულ პუნქტებში მეტეოროლოგიურ სიდიდეთა გერტიკალური პროფილები მათი დღე-დღამური მსვლელობის გათვალისწინებით, ხოლო მეორე მოდელით მიიღება მეტეოროლოგიური ველების სივრცით-დროითი განაწილება მთელ ტროპოსფეროში ოროგრაფიულად და თერმიულად არაერთგვაროვანი ქვეფენილი ზედაპირის ზემოთ. ამასთანავე, გარდა იმისა, რომ პირველ მოდელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია, იგი ცალკეული ბლოკის სახით შემადგენელი ნაწილია მეორე – უფრო ზოგადი მოდელის. ნახ. 3-ზე ნაჩვენებია პირველი მოდელით გათვლილი მიწისპირა ტემპერატურის პროგნოზი ქ. თბილისისათვის 1986 წლის 17-18, 18-19 და 20-21 ივნისს. პროგნოზის გათვლისათვის საჭირო ინფორმაცია ფონური პროცესების მახასიათებლების შესახებ მიიღებოდა საქართველოს ჰიდრო-



მეტცენტრში ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის ქაზიერთებაროვანი რიცხვითი სქემიდან.

ნახ.3. მიწისპირა ტემპერატურის ( $z=2\text{m}$ ) დღე-დამური მსვლელობა ქ.თბილისისათვის (1986წ). 1 – პროგნოზი, 2 --- დიფომის მეტსა-დგურის მონაცემებით, 3 --- აეროპორტის მეტსადგურის მონაცემებით.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ბუნებრივ გარემოში მიმდინარე დინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მოდელირების დარგში მიმართული იქნება აღნიშნული მოდელების სრულყოფისა და მათი პრაქტიკული გამოყენებისაკენ ამ პროცესების სამდელო პროგნოზის მეთოდების შემუშავების მიზნით. ასეთ სამუშაოთა ნუსხაში მეცნიერული და პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მოდელების შემუშავება, რომლებშიც ბუნებრივი გარემო განიხილება ერთიანობაში გარემოს ობიექტებს შორის (ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ნიადაგის აქტიური ფენა) ურთიერთქმედების გათვალისწინებით.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Шнайдер С. Г. Меняющийся климат.- В Мире науки, М., Мир, 1989, N.11, с. 26-35.
2. Марчук Г. И., Кордзадзе А. А., Скиба Ю. Н. Расчёт основных гидрологических полей Чёрного моря на основе метода расщепления. - Изв. АН СССР, Физика атмосферы и океана. 1975, Т.11, N 4, с.379--393.
3. Марчук Г. И., Кордзадзе А. А., Залесный В. Б. Проблема математического моделирования морских и океанических течений. В кн.: Дифференциальные и интегральные уравнения. Краевые задачи. Тбилиси, 1979, с.99-151.
4. Кордзадзе А. А. Математическое моделирование динамики морских течений (теория, алгоритмы, численные эксперименты). М., ОВМ АН СССР, 1989, 218 с.
5. Марчук Г. И. Численное решение задач динамики атмосферы и океана. Л., Гидрометеоиздат, 1974, 303 с.
6. Demetashvili D. Modeling of hydrophysical fields in the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., v.8b, 2003, pp.19-27.
7. Кордзадзе А. А., Деметрашвили Д. И. Численные эксперименты по модели динамики Черного моря, учитывающей поглощение солнечной радиации. Вычислительная математика и математическое моделирование. Труды международной конференции, посвященной 75-летию со дня рождения акад. Г. И. Марчука и 20-летию основания Института Вычислительной математики Российской АН. М., 2000, Т. 1, с.125-134.
8. Kordzadze A., Demetashvili D. Results of numerical experiment on modeling of inner-annual hydrological regime of the Black Sea. J. Georgian Geophys. Soc., v.8b, 2003, pp. 3-18.
9. Demetashvili D., Kordzadze A. Numerical modeling of distribution of pollution substances in the Black Sea. Reports of enlarged sessions of the seminar of I. Vekua Institute of applied mathematics. vol. 17, N 3, 2002, pp. 44-57.

10. Demetashvili D., Kordzadze A. Determination of the pollution source location in the Black Sea on the basis of conjugate equations theory. Reports of enlarged sessions of the seminar of I. Vekua Institute of applied mathematics. vol. 17, N 3, 2002, pp. 58-70.
11. Деметрашвили Д. И Нестационарная квазидномерная модель планетарного пограничного слоя.- Тр. ЗакНИИ, М., Гидрометеоиздат, 1989, вып. 91 (98). с. 84-93.
12. დემეტრაშვილი დ. ლოკალური ატმოსფერული პროცესების პიდროვინამიკური მოდელირების შესახებ. პიდროვებეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, 2007 (იხ., წინამდებარე კრებული).

უაკ 551.465:551.509

ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პიდროვერმოდინამიკური და ზოგიერთი ქაოლოგიური პროცესის მოდელირების ზოგიერთი შედეგები. /დ.დ.ემეტრაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული-2007.-ტ.114.-გვ.85-96.-ქართ.; რუს. ქართ., ინგლ., რუს.

მიმოხილულია ავტორის უშუალო მონაწილეობით ბოლო წლებში შემუშავებული შავი ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკისა და შავ ზღვაში მინარევების გაგრცელების მათემატიკური მოდელების რეალიზაციის ზოგიერთი შედეგი.

UDC 551.465:551.509

**Some results of modelling of hydrothermodynamic and ecological processes in the natural environment./D. Demetashvili/. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - т.114. – p.. 85-96 - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.**

The review of some results of realization of mathematical models of dynamics of the Black Sea and atmosphere and distribution of impurity in the black Sea, developed in last years at direct participation of the author, is given.

УДК 551.465:551.509

**Некоторые результаты моделирования гидротермодинамических и экологических процессов в природной среде./ Д. И. Деметрашвили /. Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии.–2007.–т.114.–с.85-96.–Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.**

Даётся обзор некоторых результатов реализации математических моделей динамики Чёрного моря и атмосферы и распространения примесей в чёрном море, разработанных в последние годы при непосредственном участии автора.

V. მუზეოროლოგიის პრობლემები. თანამდვილების ინფორმაციის  
გამოყენება.

*V. Problems of Meteorology. Application of satellite information.*

V. Проблемы метеорологии. Использование спутниковой информации.

კიბრიშმაჟაროლობის ინსტიტუტის გარემონა, ზოვანი, № 114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

უაკ 551

კ.თავართქილაძე,

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ა.ქიქავა, რ.სოლომონიძე, ნ.გოგატიშვილი

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი

**პარის მიზისათრა ფემატრატურის რეზიტრაციულ ცვლილების**

**თავისებურებანი საქართველოში**

გლობალური დათბობის ფონზე რეგიონალური პავის ცვლილება განსაკუთრებული თავისებურებებით შეიძლება ხასიათდებოდეს. ეს თავისებურებები ძირითადად ვლინდება ისეთ რეგიონებში, რომლებიც დათბობისა და აცივების სასაზღვრო ზონაში იმყოფებიან. ცნობილია, რომ კასპიისა და შავი ზღვის აუზებში პავის ცვლილების ურთიერთ საწინააღმდეგო, დათბობისა და აცივების ტენდენციები შეინიშნება. ამ ურთიერთ საწინააღმდეგო პროცესების საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გადიოდეს. რომ ეს ასეა მრავალი გამოკვლევები ადასტურებს [1-7 და სხვ.]. აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო ზონაში დათბობიდან აცივებაში ან პირიქით გადასვლა მონოტონურად არ ხდება. საზღვრთან ახლოს, როგორც დათბობის ისე აცივების ზონაში, ჩნდება მცირე ტერიტორიული მონაკვეთები, სადაც ტემპერატურული ველის ცვლილება საწინააღმდეგო მიმართულებით მკვეთრადაა გამოხატული. ასეთი ფაქტი უშეალოდ დაიკვირვება საქართველოს ტერიტორიაზეც [2], ეს კი ართულებს პავის ცვლილების ჭეშმარიტი სურათის დადგენას.

საქართველოში რეგიონალური პავის ცვლილება მრავალრიცხოვან ლიტერატურულ წყაროებშია ასახული. შედგენილია რუკები, რომლებიც პავის ცვლილების როგორც მრავალწლიურ, ასევე სეზონურ სურათსაც იძლევიან. დადგენილია რიგი პროცესებისა, რომლებიც საქართველოში რეგიონალური პავის ცვლილებამ გამოიწვია, ან მომავალში შეიძლება გამოიწვიოს. წინამდებარე ნაშრომის ამოცანას შეადგენს დაადგინოს ჯერ შეუსწავლელი ზოგიერთი პროცესი, რომელიც რეგიონალური პავის ცვლილებამ გამოიწვია, ან შეიძლება გამოიწვიოს. კერძოდ, აქვს თუ არა ტემპერატურული ველის ცვლილების პროცესს რაიმე კანონზომიერება ზღვის დონიდან ადგილმდებარების სიმაღლესთან კავშირში და მიმდინარე ტემპერატურული ველის ცვლილების ფონზე რა ცვლილებას განიცდის საშუალო თვიური მაქ-

სიმაღლური და მინიმაღლური ტემპერატურები და შიდაწლიური ვარიაციების დისპერსია.

დასტული ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულია საქართველოში დაკვირვების 89 პუნქტის თვის საშუალო ტემპერატურები 1906-1995 წლებში. კოველი პუნქტისთვის მიწისპირული ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობების მიხედვით ცვლილება დადგენილი იქნა მონაცემთა მწერივის წრფივი აპროქსიმაციით [2]. ტემპერატურის ცვლილების მიმართულებებიდან გამომდინარე, ცვლილების ინტენსიურობის გათვალისწინების გარეშე, დაკვირვების პუნქტები გაიყო ორ ჯგუფად დათბობისა და აცივების მიხედვით. თითოეულ ჯგუფში მონაცემები განლაგდა სამ ქავაზუბად ზღვის დონიდან ადგილმდებარეობის სიმაღლის მიხედვით: 300 მეტრამდე; 300-დან 1000 მეტრამდე და 1000 მეტრს ზევით.

ცხრილ 1-ში მოცემულია ქვეჯგუფებში მოხვედრილი პუნქტების რაოდენობა, ტემპერატურის ცვლილების საშუალო სიდიდე, დათბობისა და აცივების მაქსიმალური და მინიმაღლური მნიშვნელობები და შესაბამისი დაკვირვების პუნქტები, სადაც აღნიშნულ მაქსიმუმს ან მინიმუმს ჰქონდა ადგილი. როგორც ცრილიდან ჩანს განხილული 89 პუნქტიდან 45-ში დათბობა და 44-ში აცივებას ჰქონდა ადგილი. ამასთან დათბობის საშუალო ინტენსიურობა ( $39^{\circ}\text{C}/100\text{წელი}$ ) გაცილებით დიდია ვიდრე აცივების ( $-0.22^{\circ}\text{C}/100\text{წელი}$ ). მაქსიმალური დათბობა აღინიშნა ბორჯომში, ხოლო აცივება – ახალციხეში. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის ცვლილების საშუალო ინტენსიურობა, როგორც დათბობის, ასევე აცივების ზონაში, 300-დან 1000 მეტრამდე განლაგებული დაკვირვების პუნქტებისთვისაა გამოკვეთილი.

ამრიგად, ცხრილი 1 ზოგადად ახასიათებს საქართველოში საშუალო წლიური ტემპერატურული ველის ცვლილების სურათს ადგილმდებარეობის სიმაღლის მიხედვით და უჩვენებს, რომ დათბობისა და აცივების პროცესი ადგილმდებარეობის სიმაღლეზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

საშუალო წლიური ტემპერატურული ველის ცვლილების ფონზე, გარკვეულ ინტერვეს შეადგენს იმის დადგენა, თუ რა ცვლილებებს განიცდის ტემპერატურის უკიდურესი.



მაქსიმალური და მინიმაღლური საშუალო თვიური ტემპერატურები. აგრეთვე, იცვლება თუ არა საშუალო თვიური ტემპერატურების შედაწლიური ვარიაციების დისპერსია. ამისათვის შედგენილი იქნა კოველწლიური მონაცემების სამი მწერივი. მწერივის წევრები მიღებული იყო დაკვირვების 89 პუნქტის მონაცემთა გასაშუალებით. ამრიგად, მიღებული მწერივები ასახავდა საშუალო თვიური ტემპერატურების მაქსიმალური და მინიმაღლური მნიშვნელობების და კოველი წლის საშუალო თვიურ ტემპერატურათა დისპერსიების

ცვლილებებს 1906-1995 წლებში, საშუალოდ საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.

ცხრილი 1. ტემპერატურის ცვლილების ( $^{\circ}\text{C}/100\text{წლი}$ ) განაწილება ზღვის დონიდან ადგილმდებარების სიმაღლის მიხედვით ცვლილების ინტენსიურობა როგორც დათბობის ასევე აცივების ზონაში მინიმალურია დაკაირვების პუნქტებისთვის, რომლებიც ზღვის დონიდან 300 მეტრამდე მდგბარეობენ.

დაკირიცხულების პერიოდის სამართულებით ნორჩ. დონიდან გმ	დათბობის მიმართულებით				აცივების მიმართულებით			
	მაქსიმალური		მაქსიმალური		მინიმალური		მინიმალური	
	მაქ. ცვლილება რიცხვი	ხას. ცვლილება	ცვლილება	პუნქტი	მაქ. ცვლილება რიცხვი	ხას. ცვლილება	ხას. ცვლილება	პუნქტი
< 0.3	7	0.17	0.47	მწვ.გონის	22	-0.16	-0.45	წულუბიძე
0.3-დან 1.0-მდე	22	0.51	1.17	ბორჯომი	12	-0.28	-0.65	ახალციხე
> 1.0	16	0.33	0.75	დმანისი	10	-0.24	-0.24	გუდაური
> 0	45	0.39	1.17	ბორჯომი	44	-0.22	-0.65	ახალციხე

მიღებული მწვრივების წევრთა მნიშვნელობები წლების მიხედვით დატანილია ნახ.1-ზე. როგორც სურათებიდან ჩანს წლების მიხედვით დისკერსია ძალიან დიდია. ჩვენ მაინც შევეცადეთ დაგვეღინა არსებობს თუ არა ცვლილების ტენდენციური მიმართულება. ამისათვის მოვახდინეთ თითოეული მწვრივის მონაცემთა წრფივი აპროქსიმაცია უმცირეს კვადრატთა მეთოდით [8]. მიღებული წრფეთა განტოლებები მაქსიმალური, მინიმალური ტემპერატურებისა და დისკერსიისთვის მოცემულია შესაბამისად ფორმულებით (1-3), სადაც  $n$  აღნიშნავს წლების გადათვლას დაწყებული 1906 წლიდან.



ნახ.1. საშუალო ოვიურ ტემპერატურათა (ა) ყოველწლიური მაქსიმუმების (\*), მინიმუმების (ი) და დისპერსიის (გ) ცვლილებები 1906-1995 წლებში საქართველოს დაკვირვების პუნქტებისთვის.

$$dT_{\max} = 0.213 - 0.000480 n \quad (1)$$


$$dT_{\min} = -0.0565 + 0.000144 n \quad (2)$$

$$dT_{\text{dis}} = 0.0107 + 0.000152 n \quad (3)$$

როგორც ფორმულებიდან ჩანს სამივე პარამეტრის ( $dT_{\max}$ ,  $dT_{\min}$ ,  $dT_{\text{dis}}$ ) ცვლილება წლების მიხედვით ძალზე უმნიშვნელოა ( $<0.05^{\circ}\text{C}/100\text{წელი}$ ) ეს კლიმატური ცვლილებას არ განიცდის. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან გაერთიანებულია დაკვირვების პუნქტების მონაცემები, რომლებიც დათბობასაც და აცივებასაც უჩვენებდნენ.

სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ თუ აღნიშნული პარამეტრების ყოველწლიურ მნიშვნელობებს საშუალო წლიური ტემპერატურების ცვლილების ინტენსიურობათა ზრდის (რანჟირების) მიხედვით დავალაგებთ.

ნახ.2-ზე საქართველოს დაკვირვების პუნქტების საშუალო წლიურ



ნახ.2. 1906-1995 წლებში საქართველოს დაკვირვების პუნქტების საშუალო წლიურ ტემპერატურათა წრფივი ცვლილების რანჟირებულ მნიშვნელობათა (1) მიხედვით დალაგებული მაქსიმალური (2) და მინიმალური (3) ტემპერატურების და დისპერსიის (4) ცვლილებები.

ტემპერატურათა ცვლილების სიდიდეები, დალაგებული ზრდის მიხედვით, (1) მრავდის სახეს დებულობს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, იგი იწყება  $-0.65^{\circ}\text{C}/100\text{წელი}$  მნიშვნელობიდან, ანუ დაკვირვების პუნქტის – ახალციხის მონაცემით და მთავრდება  $+1.17^{\circ}\text{C}/100\text{წელი}$  – ბორჯომის მონაცემით. საშუალო წლიურ ტემპერატურათა ცვლი-

ლების რანჯირებულ მნიშვნელობათა შესაბამისი მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურების ცვლილება (2) და (4) მრუდის სახეს დებულობს. აღნიშნული მრუდები დაახლოებით (1) მრუდის სახეს იმეორებენ, კ.ი. დაკვირვების პუნქტებში მაქსიმალურ და მინიმალურ ტემპერატურათა ცვლილების მიმართულებები თითქმის ემთხვევა საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების მიმართულებას. რაც შეეხება ცვლილებათა სიდიდეებს, რანჯირებული მრუდის საწყისსა და ბოლო მონაკვეთებში, (2) და(4) მრუდები უფრო ინტენსიურია, ხოლო შეა მონაკვეთში – პირიქით.

რაც შეეხება საშუალო თვიურ ტემპერატურათა შიდაწლიურ დისპერსიას (მრუდი 3), რეგიონალური ტემპერატურული ველის ცვლილების ფონზე, იგი ცვლილებას თითქმის არ განიცდის.

## **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Climate Change 1995. The Science of Climate Change. The Contribution of WG – 1 to the Second Assessment. Rep. of the IPCC. Cambridge Univ. Press – IPCC, 1996 (572).
2. თავართქილაძე კ., ელიზბარაშვილი ე., მუმლაძე დ., ვაჩნაძე ჯ. საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი. მეცნიერება, თბილისი, 1999 (128).
3. Бегалишвили Н.А., Тавартиклиадзе К.А., Вачнадзе Д.И. Современное изменение климата в Грузии. Вековое изменение влагосодержания атмосферы и его влияние на влагооборот. Тбилиси, 2007 (123).
4. თავართქილაძე კ., შეგგელია ი. ჰავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში. რადიაციული რეკიმის ცვალებადობა. მეცნიერება, თბილისი, 1999 (150).
5. Элизбарашвили Э.Ш. Влияние горного рельефа на распределение тепла и увлажнения Изв.АН СССР, сер. Геогр., №2, 1984 (77-83).
6. მუმლაძე დ., ლომიძე ბ. საქართველოს თერმული ველის ცვლილება კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე. ჰიდრომეტ. ინსტ. შრ., 118, 2008 (66-75).
7. ბერიტაშვილი ბ., მესხია რ. ტემპერატურული ანომალიების საუკუნოებრივი სვლა საქართველოს ტერიტორიაზე. . ჰიდრომეტ. ინსტ. შრ., 111, 2007 (144-151).
8. Мазмишвили А.И. Спосов найменьших квадратов. Недра, Москва, 1968 (436).

უაკ 551

პარენტის მიწისპირა ტემპერატურის რეგიონალური ცვლილების თავისებურებანი საქართველოში/კ.თავართქილაძე, ა.ქიქავა, რ.სოლომონიძე, ნ.გოგატიშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული -2007-ტ.114.-გვ.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. საქართველოს დაკვირვების 89 პუნქტის 1906-1995 წლების საშუალო თვიურ ტემპერატურათა ცვლილების სიდიდეებზე დაყრდნობით, შესწავლილია

ტემპერატურის ვალის ცვლილების კავშირი ადგილმდებარეობის სიმაღლეთან ზღვის დონიდან. მიღებულია, რომ ცვლილება როგორც დათბობის ასევე აცივების ზონაში ინტენსიურად მიმდინარეობს დაკვირვების პუნქტებისთვის, რომელიც განთავსებულია ზღვის დონიდან 300-1000 მეტრის ფარგლებში.

მაქსიმალური და მინიმალური საშუალო თვიური ტემპერატურების ცვლილება მსგავსია რანჟირებული საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების. ხოლო ტემპერატურის შიდაწლიურ ვარიაციათა დისპერსია ცვლილებას არ განიცდის

УДК 551

**Peculiarities of air surface temperature change in Georgia.**/K.Tavartkiladze, A.Kikava, R.Solomonidze, N.Gogatishvili./Transactions of the Georgian Institute of Hydro-meteorology. -2007. - т.114. – გ. – Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Based on the monthly mean temperature change values of 1906-1995 year 89 observation posts of Georgia, the relation of temperature field with the point elevation from the sea level has been studied. It has been established that change as in warming as in cooling zone intensively takes place for observation post that are located within 300-1000m from the sea level. The maximal and minimal monthly mean temperature change is similar to the ranged annual mean temperature change, and interannual variation dispersion hasn't been changed.

УДК 551

**Особенности регионального изменения приземной температуры воздуха в Грузии.**/К.Таварткиладзе, А.Кикава, Р.Соломонидзе, Н.Гогатишвили/ Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2007. – т.114. – с.. – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск

Опираясь на величины изменения среднемесячных температур 89 пунктов наблюдений 1906-1995 годов, изучена связь между изменением температурного поля и высотой местоположения над уровнем моря. Выявлено, что изменение как в зоне потепления, так и в зоне похолодания интенсивно протекает для пунктов наблюдений, которые расположены в пределах 300-1000 метров над уровнем моря.

Максимальное и минимальное изменение среднемесячной температуры похоже на изменение ранжированной среднегодовой температуры. А среднегодовая дисперсия вариации температуры не претерпевает изменения.

პირველი გამოცემის ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
 TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
 ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

რ. სამუკაშვილი  
 პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
 უაკ 551. 584.

**მდინარე მნიშვნის და გალის წყალსაცავების გაზლენა პარას  
 ტემპერატურაზე**

საკვლევ რაიონში გათვალისწინებული იყო 7 წყალსაცავის (გალი, ჯვარი, ხუდონი, ხაიში, ლატალი, ფარი და იფარი) მშენებლობა. აქედან ექსპლოატაციაში გადაეცა გალის (1969წ) და ჯვრის (1978წ) წყალსაცავები. ხუდონის წყალსაცავის მშენებლობა დაიწყო 1980 წელს და შეწყდა 1989 წელს. ამ წყალსაცავის მშენებლობის წინა-აღმდეგ წაეყნებული ძირითადი არგუმენტი მდგომარეობდა იმაში, რომ თითქოს ამ პროექტის რეალიზაციის შედეგად კატასტროფულად გაუარესდებოდა რაიონის ეკოლოგიური მდგომარეობა ერთ-ერთი კლიმატურმომწერლი ფაქტორის—აუზის ბურებრივი ქვეფენილი ზედაპირის სრულიად განსხვავდებული ფიზიკური თვისებების მქონე წყლის ზედაპირით შეცვლის შედეგად. ბუნებრივია, რომ მდინარის აუზის ქვეფენილი ზედაპირის ფიზიკური თვისებების მკვეთრმა ცვლამ გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლების (მათ შორის ჰაერის ტემპერატურის) სიდიდეზე, რომლის რაოდენობრივი შეფასება კვლევის სათანადო მეთოდების გამოყენებით წარმოადგენს განსაზღვრული აქტუალობის მქონე კოლორიუმი პრობლემას. წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის თერმულ რეჟიმზე განპირობებულია მათში არსებული წყლის მასის გაცივებისა და გათბობის პერიოდების ხანგრძლივობათ, რაც დამოკიდებულია წყლის დიდ სითბოტევადობაზე, ჰაერისა და წყლის ტემპერატურების სხვაობაზე. წყალსაცავებისა ფართობისა და სიღრმის ზრდისას მისი გამაცივებელი და გამათბობელი ეფექტის ინტენსივობა მატულობს. წყალსაცავების გარემოს თერმულ რეჟიმზე გავლენის სიდიდეზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მათი განლაგების რაიონის გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობები, სინოპტიკური სიტუაციების (სიცივისა და სითბოს აღვენები) და კვების რეჟიმის თავისებურებები.

როგორც ცნობილია, წყალსაცავის ზედაპირის სითბური ბალანსის განტოლებას აქვა შემდეგი სახე:

$$B = LE + P + Q, \quad (1)$$

სადაც, არის წყლის ზედაპირის რადიაციული ბალანსი, – სითბოს ტურბულენციური ნაკადი, კონდენსაციის ან აორთქლების შედეგად გამოყოფილი (ან დახარჯული) სითბოს რაოდენობა – სითბოს ნაკადი წყლის ზედაპირსა და წყლის მასას შორის. ამ გამოსახულებაში მხედვებლებაში არ არის მიღებული სითბოს ის

ნაკადი, რომლებიც დაკავშირებულია სითბოს ან სიცივის ადგექციასთან, ან წელის ფიზიკურ გარდაქმნებთან (გაყინვა, დნობა). წელიწადის სეზონის მიხედვით (I) გამოსახულების მდგრელების როლი იცვლება, რაც განაპირობებს წყალსაცავის გამათბობელ ან გამაცივებელ ეფექტს. როდესაც  $>0$  მაშინ წყალსაცავზე პაერის ფენა ობება, თუ  $<0$ -მაშინ ცივდება. ანალოგოურად თუ  $>0$  მაშინ აღგილი აქვს წყლის ტემპერატურის ზრდას, როდესაც  $<0$  მაშინ სახეზეა წყლის ტემპერატურის შემცირება. მდგრელი განსაზღვრავს წყლისაირა პაერის ფენაში ტენიანობის ცვლილებას (მატებას აორთქლების და შემცირებას კონდენსაციის პირობებში). ამ პროცესების შედეგად წელიწადის განმავლობაში წყალსაცავის სანაპირო ზონაში პაერის ტემპერატურა განიცდის გარკვეულ ტრანსფორმაციას. პაერის ტემპერატურის საწყისი (ხელეთზე) და ტრანსფორმირებული (წყლის აკვატორიაზე) მნიშვნელობების შედარება სათანადო მეთოდების გამოყენებით საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს წყალსაცავის გავლენის ეფექტი მიმდებარე ტერიტორიის თერმულ რეჟიმზე. ამ მეთოდებიდან აღსანიშნავია:

1. ტემპერატურის ცვლილება წყალსაცავის სავარაუდო გავლენის რაიონში განიხილება იმ პერიოდთან შედარებით, რომელიც წინ უსწრებდა წყალსაცავის ექსპლოატაციაში გადაცემის მომენტს.
2. განიხილება პაერის ტემპერატურის საშუალო სიღიდეების სხვაობა წყალაცავის გავლენის ზონაში და მის ფარგლებს გარეთ განლაგებულ რამდენიმე პუნქტში.
3. განიხილება “სივრცულ-სხვაობათა მეთოდი”, რომლის გამოყენებით ხდება გავლენის ზონისა და შესაძარებელი ზონის პაერის ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობების შედარება დაკვირვებათა რიგების ორი პერიოდისათვის: წყალსაცავის აშენებამდე და აშენების შემდეგ.

ჯვრის და გალის წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე პაერის ტემპერატურაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა “სივრცულ სხვაობათა მეთოდი”, რომელიც ემყარება იმ დაშვებას, რომ თუკი წყალსაცავი ახდენს გავლენას პაერის ტემპერატურაზე, მაშინ უნდა დაირღვეს ამ მეტეორელემნტზე დაკვირვებების მრავალწლიური რიგების ერთგაროვნება წყალსაცავის აშენების შემდეგ. ჯვრის და გალის წყალსაცავების განლაგების რაიონში პაერის ტემპერატურაზე დაკვირვებები წარმოქმნა წყალსაცავების აშენებამდე და აშენების შემდეგ. ამიტომ მათი სავარაუდო გავლენის ზონაში მეტეორსადგურებად აღებული იქნა ჯვარი, გალი და ხაიში. ამ სადგურებზე ტემპერატურაზე დაკვირვებების მრავალწლიური რიგები დაყოფილი იქნა ორ ნაწილად: წყალსაცავების აშენებამდე და აშენების შემდგომ პერიოდებად. ამასთანავე წყალსაცავების პაერის ტემპერატურაზე გავლენის

სანდოობის შეფასება ჩატარდა დაკვირვებათა რიგების ანალიზით სტიუდენტის პარამეტრის გამოყენებით. ამ მიზნით დაკვირვებათა რიგების ნაწილებისათვის გამოთვლილი იქნა საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები  $t_1$  და  $t_2$ , საშუალო კვადრატული გადახრები  $\sigma_1$  და  $\sigma_2$ .  $\hat{t}$  პარამეტრი, რომელიც ემორჩილება სტიუდენტის განაწილების კანონს მ+6-2 თავისუფლების სარისხით გამოითვლება შემდგენ გამოსახულებებიდან:

$$\hat{t} = \frac{\bar{t}_2 - \bar{t}_1}{\sqrt{n\sigma_1^2 + m\sigma_2^2}} \sqrt{\frac{nm(n+m-2)}{n+m}}, \quad (2)$$

რომელშიც მ და ნ არიან რიგის ნაწილების წევრთა რიცხვები  $\hat{t}$  პარამეტრის იმ მნიშვნელობების შემთხვევაში, რომლებიც აღემატებიან  $\hat{t}_{\text{კრიტ.}}$  მნიშვნელობებს (თავისუფლების მოცემული ხარისხისა და დონისათვის) უარყოფილი იქნება ნულ-ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ  $t_1$  და  $t_2$  ეკუთვნიან ერთი და იგივე გენერალურ ერთობლიობას, ე. ი.  $t_1$  და  $t_2$  საშუალოებს შორის განსხვავება არ სებითია და რომ განსაზღვრული ალბათობით შეიძლება მტკიცება  $\hat{t}_{\text{ყალსაცავის}}$  მიმდებარე ტერიტორიის პარამეტრის გავლენის უფლების შესახებ. სტიუდენტის ტემპერატურის რიგები ხაიშის, ჯვრისა და გალის მეტეოროდებულებისათვის, რომლებიც განლაგებულია აღნიშნული წყალსაცავების გავლენის ზონაში (ცხრ.1). პარამეტრის ტემპერატურის რიგი სადგურ ხაიში ხასიათდება სადგურის ადგილმდებარების შეცვლით განპირობებული არაერთგვაროვნებით ამის გარდა, მკაფიოდ ფიქსირდება პარამეტრის ტემპერატურის რიგის არაერთგვაროვნება, განპირობებული ჯვრის წყალსაცავის გავლენით 1978 წლის ნოემბრიდან. 1978-90 წლების პერიოდისათვის  $\hat{t}$ -ს ყველა გამოთვლილი მნიშვნელობა აღემატება  $\hat{t}_{\text{კრიტ.}}=2$ , რის შედეგად შეიძლება იმის მტკიცება, რომ არსებობს წყალსაცავის გავლენა პარამეტრატურაზე სადგურ ხაიში, ისევე როგორც ჯვარში და მესტიაში. ანალოგიურ მოვლენას 1969 წლიდან ადგილი აქვს სადგურ გალში.

როგორც ცხრ. 1-ში მოყვანილი მონეცემების ანალიზი გვიჩვენებს, წყალსაცავების აუნიერების შედეგად სადგურ ჯვარში უკანასკნელ პერიოდში (1979-90წწ.) პარამეტრის ტემპერატურის საშუალოთვიური მნიშვნელობები 10 თვის (VII-IV) განმავლობაში აღმოჩნდა ნაკლები, ხოლო მაისში და ივნისში მეტი წინა პერიოდის (1959-79) შესაბამის მნიშვნელობებზე. ტემპერატურის მნიშვნელობებს შორის განსხვავების სიდიდე მაქსიმალურია მარტში და აპრილში ( $-0,6^\circ$ ). საშუალოწლიური ტემპერატურა უკანასკნელ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით

ჯვარში და ხაიშში დაეცა 0,2<sup>0</sup>-ით, მესტიაში 0,1<sup>0</sup>-ით ხოლო გალში მომატა 0,4<sup>0</sup>-ით. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერ-აპრილში ჯვარში წყალსაცავის აშენების შემდეგ პერიოდში აღინიშნა ტემპერატურის დაბალი მნიშვნელობები წინა პერიოდთან შედარებით, რაც არ შეესაბამება წყალსაცავში მიმდინარე სითბური პროცესების (თერმული რეჟიმის) ფიზიკურ არსეს. მაგრამ, როგორც ადგილობრივი ქარების (განსაკუთრებით ფიონების) რეჟიმული მახასიათებლების ანალიზი გვიჩვენებს, სადგურ ჯვარში სითბოს ამ დამატებითი წყაროს გავლენით პაერის მიწისპირა ფენის ტემპერატურა უფრო მკვეთრად იზრდება, ვიდრე წყლის ზედაპირის ტემპერატურა, რაც კონკრეტულ გამოვლინებას პოულობს წყალსაცავის გამაგრილებელ ეფექტში, ამავე პროცესს უფრო ინტენსიურს ხდის შავი ზღვის სიახლოვეც. სადგურ ხაიშში წყალსაცავის გამაგრილებელ ეფექტს ადგილი აქვს ნოემბერ-თებერვლის, მესტიაში ოქტომბერ-არილის, გალში კი-ნოემბერ-იანვრის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ხუდონის წყალსაცავის აშენების შემთხვევაში პაერის ტემპერატურის ცვლილება სადგურ ხაიშში გახდება უფრო ინტენსიური, ვინაიდან იგი პრატბირულად განლაგებულია ხუდონის მშენებარე წყალსაცავის სანაპირო ზოლში.

ცხრილი 1. პაერის ტემპერატურის ( $\beta^0$ ) საშუალო მნიშვნელობები  
წყალსაცავების აშენებამდე ( $\beta^0_2$ ) და აშენების შემდეგ ( $\beta^0_1$ )  
სადგურები ჯვარი, ხაიში, მესტია, გალი

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	ელიტი
ჯვარი ( $t_1$ , 1979-1990; $t_2$ , 1959-1978)													
$t_1$	5.0	5.4	8.0	12.6	17.3	20.1	21.5	22.2	19.0	15.9	10.9	7.5	13.8
$t_2$	5.3	5.6	8.6	13.2	17.1	20.0	21.9	21.9	19.4	15.6	11.4	7.9	14.0
$t_1-t_2$	-0.3	-0.2	-0.6	-0.6	0.2	0.1	-0.4	-0.3	-0.4	-0.3	-0.5	-0.4	-0.2
ხაიში ( $t_1$ , 1979-1990; $t_2$ , 1959-1978)													
$t_1$	-0.5	1.5	5.2	10.8	15.3	18.1	20.6	20.3	16.7	11.0	5.9	1.3	10.5
$t_2$	-0.4	1.8	5.2	10.8	15.2	18.0	20.6	20.2	16.3	10.9	6.0	1.5	10.7
$t_1-t_2$	-0.1	-0.3	0.0	0.0	0.1	0.1	0.0	0.1	0.4	0.1	-0.1	-0.2	-0.2
მესტია ( $t_1$ , 1979-1990; $t_2$ , 1959-1978)													
$t_1$	-5.8	-4.4	-0.2	5.7	10.6	13.8	16.8	16.1	12.0	6.5	1.6	-4.0	5.7
$t_2$	-5.5	-3.9	0.0	5.8	10.2	13.5	16.4	15.5	11.7	6.7	1.8	-3.3	5.8
$t_1-t_2$	-0.3	-0.5	-0.2	-0.1	0.4	0.3	0.4	0.5	0.3	-0.2	-0.2	-0.7	-0.1
გალი ( $t_1$ , 1979-1990; $t_2$ , 1959-1978)													
$t_1$	4.9	5.8	7.9	12.2	16.5	20.2	22.3	22.5	19.5	14.6	10.3	6.8	13.6
$t_2$	4.6	6.8	9.2	13.3	16.9	20.2	22.3	22.7	19.8	15.0	9.7	6.4	14.0
$t_1-t_2$	-0.3	1.0	1.3	1.1	0.4	0.0	0.6	0.2	0.3	0.4	-0.6	-0.4	0.4

საკვლევი წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის ჰაერის ტმპერატურაზე რაოდენობრივად შეფასდა აგრეთვე რესეთის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დამუშავებული ნახევრადემ-ზორიული მეთოდით (Рекомендации по расчёту изменения температуры и влажности воздуха на побережье водоёмов, 1981), რომლის თანახმად წელიწადის განმავლობაში ჯვრის წყალსაცავის გავლენის შედეგად ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ ეცემა  $0,30^{\circ}\text{C}$ -ით. გამაცივებული პერიოდის დიდი ხანგრძლივობა (III-XI) განპირობებულია წყალსაცავის დიდი სიდრომით და ორგლ-მყინვარების დნობის შედეგად მასში ცივი წყლის დიდი მასის ფორმირებით. ჰაერის საშუალოთვიური ტემპერატურის ცვლილება წყალსაცავზე და სანაპიროდან სხვადასხვა მანძილზე დამოკიდებულია წყლის ღონებზე: წყალსაცავის გავლენის ზონა წელიწადის განმავლობაში იცვლება  $0-1,5^{\circ}\text{C}$ -ის საზღვრებში. ზამთარში, შემოღომის შესაცემაში და ზაფხულის ბოლოს იგი ვრცელდება  $1^{\circ}\text{C}$ -დენ, გაზაფხულზე და შემოღომის დასაწყისში  $0,5^{\circ}\text{C}$ -დენ. წეწლიწადის თბილი და ცივი სეზონების ცვლის პერიოდში ჰაერის ტემპერატურაზე წყალსაცავის გავლენის ზონა შემოიფარგლება მხოლოდ წყალსაცავის აგვატორიით. აქვთ ხაზი უნდა გაესგას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ორი მეთოდით გამოთვლების შედეგად მიღებული წყალსაცავის გამათბობელი (გამაცივებული) გავლენის ხანგრძლივობა და ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთ-მანეთისაგან: იმაზე დამოკიდებულებით, ოუ რომელი მეთოდით არის განსაზღვრული წყალსაცავში წყლის ზედაპირის ტემპერატურა (ინსტრუმენტალურად, ანალოგ-წყალსაცავების გამოყენებით, წყალსაცავების განლაგების რაიონისათვის წყლის ზედაპირისა და ჰაერის ტემპერატურებს შორის დაგენილი დამოკიდებულებით) გამოთვლების შედეგად შესაძლოა მიღებული იქნეს წყალსაცავების გამათბობელი ან გამაცივებული უფლების ხანგრძლივობისა და ინტენსივობის განსხვავებული გარიანტები, რომლებიც პრობლემის კორექტულად გადაჭრის მიზნით დღის წესრიგში აყენებს საკვლევი წყალსაცავების აკვატორიაზე წყლის ზედაპირის ტემპერატურაზე ხისტერმატური ინსტრუმენტალური დაკვირვებების ორგანიზაციის აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს თბიექტური შედეგების მიღებას.

## ლიტერატურა—REFERENCES\_ЛИТЕРАТУРА

1. Рекомендации по расчёту изменения температуры и влажности воздуха на побережье водоёмов, 1981, Изд. ГГО, Л., 16с.

უაკ 551. 584.

მდინარე ენგურის და გალის წყალსაცავების გავლენა ჰაერის ტემპერატურაზე /რ. სამუქაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული- 2007, გ. 114, გვ., ქართ., რეზ.-ქართ., ინგლ., რუს.

შეფასებულია ჯვრისა და გალის წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის ჰაერის ტემპერატურაზე. ჯვრის, მესტიის, ხაიშისა და გალის

მეტეოროლოგიურების მონაცემების ანალიზის საფუძველზე. წყალსა-ცავებისათვის დადგენილია გამათბობელი და გამაციკლელი პერიოდების ხანგრძლივობა და მათი ინტენსივობა. ცხრ. 1, ლიტ. დას.1.

UDC 551. 584.

**The influence of reservoirs the riv. Inguri and Gali on the air temperature** /R. Samukashvili/ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. v.114,p. Georg, Summ., Eng., Russ.

The influence Djvari and Gali reservoirs on the air temperature-for the adjoining territory on base of analysis of information (date) of meteorological stations of Djvari, Khaishi, Mestia and Gali is estimated.

For the reservoirs is settled the duration of heating and cooling periods and their intensivity. Tab. 1, Ref. 1.

УДК 551. 584.

**Влияние водохранилищ реки Ингури и Гали на температуру воздуха.** /Р.Самукашвили/. Сб. Трудов Института гидрометеорологии Грузии-2007, т., 114, с. Груз., Анг., Русск.

Оценено влияние водохранилищ Джвари и Гали на температуру воздуха прилегающей территории. На основе анализа данных метеостанции Джвари, Хаиши, Местия и Гали для водохранилищ установлены продолжительности периодов нагревания и охлаждения и их интенсивность. Таб. 1, Лит. 1.

პიროვნეულობის ინსტიტუტის შრომები, ტომი №114  
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.114  
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 114

ლ. შენგელია, გ. კორძახია,

მ. ტატიშვილი, ი. მურნალიძე

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

გ. თვალი

მ. ნოლიას გეოფიზიკის ინსტიტუტი,

უაკ 551.50.501.7

შპგი ზღვის საქართველოს აკგატორიის ეკოლოგიური

შსაზროვნებისათვის თანამდბავრული ინფორმაციის

ბაზობრივი კარსამტივები

ევროკავშირის პროგრამით „ტრასექა“ (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია) დიდი პარტნიორის გზის და ნავთობისა და გაზის მიღსადენების ამოქმედებასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალურია შავი ზღვის ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რიცხვითი მოდელების საშუალებით საზღვაო და ეკოლოგიური პროგნოზების გამოყენებას. საზღვაო პროგნოზის გამოყენება რეალურ დროში უზრუნველყოფს ზღვის დინებების დადგენას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვაზე გადაზიდვების უსაფრთხოების გაზრდისათვის. ამავდროულად ეს უკანასკნელი აუცილებელია ნავთობის ჩაღვრების შემთხვევაში ე.წ. ეკოლოგიური პროგნოზების გამოყენებისათვის და ხელს უწყობს ანთროპოგენული ზემოქმედების და ასევე ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების პრევენციას და/ან შერპილებას.

XX საუკუნის მიწურულიდან მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მიმდინარეობს მუშაობა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით ზღვის ზედაპირის ტემპერატურის (ზზტ) საიმედო მონაცემების მისაღებად და ამ ინფორმაციის პროგნოსტიკულ მოდელებში გამოსაყენებლად ამჟამად შემუშავებულია შავი ზღვის დინამიკის მათურაციური მოდელები, რომლებიც დაფუძნებულია პიდრო-დინამიკის განტოლებათა სრულ სისტემაზე [1,2,3]. მათ შორის ადსა-ნიშნავია მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის შავი ზღვის დინამიკის ბაროკლინური მოდელი [3]. უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოიყენებოდა ევროკავშირის კომისიის მიერ დაფინანსანს ებულ პროექტში „ARENA“, რომელიც აერთიანებდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების (რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი) წამყვან სპეციალისტებს.

ორწლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად 2005 წლის ივლისში ჩატარდა უნიკალური სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერიმენტი. ჩატარებულმა გამოვლებებმა დაადასტურეს საქართველოში დამუშავებული მათემატიკური მოდელის ეფექტურობა საზღვაო პროგნოზების გამოყენების 48 საათის წინასწარობით.

ზღვის დინამიკის მოდელის გამოსათვლელად აუცილებელია ზზტ-

ის ცოდნა რეგულარული ბადის კვანძებში. ასეთი მონაცემების არ არსებობის გამო გეოფიზიკის ინსტიტუტის შავი ზღვის დინამიკის ბაროკლინურ მოდელში მათი შეცვლა ხდება სითბოს ნაკადის შესახებ ინფორმაციით.

შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის რეალური მონაცემების მოსაპოვებლად ყველაზე ეფექტურია თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება [4], რაც საშუალებას მოგვცემს რეალურ დროში გამოვითვალოთ ზზტ-ის მნიშვნელობები რეგულარული ბადის კვანძებში. ასეთი მონაცემების მიღების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ზღვის დინამიკის პროგნოზის გამოვლა.

ინტერნეტის დია წყაროების (5,6,7), გამოყენებით შესაძლებელია თანამგზავრული ინფორმაციის მიღება ხილულ და ინფრაწითელ დიაპაზონში. სპექტრის ხილულ დიაპაზონში მიღებულ სურათებზე სიკაშეთა სხვაობა დაკავშირებულია ობიექტის ამონებრძობის უნართან, ხოლო ინფრაწითელ დიაპაზონში – გამოსხივების ტემპერატურებს შორის სხვაობასთან. ინფრაწითელ სპექტრში გადაღებული სურათები მიღება როგორც დღისით, ასევე დამით (განსხვავებით ხილულ სპექტრში მიღებული სურათებისაგან, რომლებიც მხოლოდ დღისით მიღება).

დადგინდა, რომ ზზტ-ის რეალური მონაცემების მისაღებად მიზანშეწონილია ინფრაწითელ სპექტრში მიღებული თანამგზავრული სურათების გამოყენება, რომლებიც მოითხოვენ გარკვეულ შესწორებებს და შესაბამისი ცდომილებების დადგენას. რეგულარული ბადის კვანძებში ზზტ-ის საიმედო თანამგზავრული მონაცემების მისაღებად აუცილებელია მონაცემთა ხარისხის შეფასება და კონტროლი. ამისათვის უნდა დამუშავდეს სპეციალური მეთოდოლოგია, როგორც პიქსელის (წერტილის, ბადის კვანძის), ასევე ბადურ დონეზე.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. ზზტ-ის თანამგზავრული ინფორმაციის მიღება ინტერნეტის დახმარებით;
2. თანამგზავრული მონაცემების დამუშავების შედეგად გამოთვლილი ზზტ-ის მნიშვნელობების რეალურ ტემპერატურასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მათი ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემებთან შედარება სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე;
3. შავი ზღვის საქართველოს აკვატორიისათვის ზზტ-ის თანამგზავრულ და ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზის შექმნა როტაციული (განახლებადი) ფაილების გამოყენებით სტატისტიკური ანალიზისათვის;
4. ზზტ-ის თანამგზავრულ მონაცემთა ხარისხის შეფასების და კონტროლის მეთოდოლოგიის დამუშავება პიქსელის და ბადურ დონეზე;

5. შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის თანამგზავრულ მონაცემთა ხარისხის შეფასების და კონტროლისათვის ჰიდრომეტეოროლოგურ მონაცემების გარდა ზეტ-ის თანამედროვე გაზომვის საშუალებების-დრიფტერების მონაცემების გამოყენება;
  6. შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის მნიშვნელობების გამოთვლა რეგულარული ბადის კვანძებში;
  7. შავი ზღვის დინამიკის ჰიდროლინამიკურ მოდელში გამოთვლების სრულყოფისათვის საწყისი მონაცემების სახით ზეტ-ის თანამგზავრული მნიშვნელობების გამოყენება.
- ზღვის დინამიკის მოდელი ამჟამად გამოიყენება მხოლოდ კვლევებისათვის. დასმული ამოცანების გადაწყვეტის შემთხვევაში მოდელი გახდება ოპერატიულად გამოსაყენებელი ანუ შესაძლებელი გახდება რეალურ დროში შემავალი ინფორმაციის, მათ შორის თანამგზავრულის ათვისება და ჰიდროფიზიკური ველების ოპერატიულ რეჟიმში გამოთვლა, რაც რეალურს გახდის ზღვის დინამიკის მოდელით პროგნოზირებას.

ევროკავშირის „ტრასეკას“ მნიშვნელობის შეფასება საქართველოს კონომიკისა და სოციალური სფეროსთვის აღმასრულებელია. ეს არის პროექტი, რომელიც ემსახურება ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში შესვლას. იგი შესაბამება ევროკავშირის გლობალურ სტრატეგიას პირველადი პარტნიორი ქვეყნების (ხუთი ცენტრალური აზიის და სამი სამხრეთ კავკასიის - საქართველო, აზერბაიჯანი, სამხედრო) მიმართ.

